# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 აგვისტო **ხუთშაბათი** 2011

№ 181 (13 478) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექს გარსია

## გვინდა, გაგახაროთ!



# ავსტრიალდით

## ჩემპიონთა ლიგაში ჩვენთვის ჯერ თავსხმაა



# რეიქია WEEK END

↳2

ისლანდიელებს ერთიღა ადარდებთ: ვაუ, რა ცხელა

რენი-მეტალურგი

## დღეს რუსთაველები საფრანგეთს ნახავენ

## ნუ გაიმარჯვებთ ქართულ ფეხბურთზე!

## აქეთ ძუ  ძუ იქით, ყველაფერი პირიქით




სილიკონიანი ბურთებით სავსე ტელესივრცეში ჩვენებურად გაგორებული ბურთის ბედი სერიალების ლამაზმანების გრძელ ფეხებზე ჰკიდია

↳4


უეფას ევროპის ლიგა 2011-2012
III საკვალიფიკაციო ეტაპი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

UEFA EUROPA LEAGUE

დინამო
თბილისი

რეიკიავიკი
ისლანდია

4 აგვისტო 2011
21:00

დაუბრუნდი დინამოს !

ბილეთის ფასი 3, 5 ლარი

PrivatBank HYUNDAI

www.fcdinamo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ლიგა

# გარსიამ კარგი სიტყვა ახსენა: ვალდებულება გაახარო ქომაგი

## საცოდავი ისლანდიელები დღეს, ალბათ, დადნებიან, მაცივრიდან ბუხარში მოხვდნენ



გიორგი კახელიშვილი და ალექს გარსია

**"დინამოს"** თავი თითქმის ქუდში, უფრო ზუსტად კი, ევროპის ლიგის პლეი ოფში აქვს. ამისთვის საჭიროა, ალექს გარსიას გუნდი დღეს ეროვნულ სტადიონზე ისლანდიურ "რეიკიავიკთან" სამი ან მეტი ბურთის სხვაობით არ დამარცხდეს, რაც, დაგვეთანხმებით, ფანტასტიკის სფეროს უფრო მიეკუთვნება. 4:1-ის შესანარჩუნებლად კი არა, "დინამო", დარწმუნებულები ვართ, მორიგი შთამბეჭდავი გამარჯვებისთვის იბრძოლებს, რაშიც, ცხადია, ქომაგის მხარდაჭერაც სჭირდება.

ბილეთის ფასი ხელმისაწვდომია – 3 და 5 ლარი, თამაში კი, შეგახსენებთ, 21 საათზე დაიწყება. შინ დარჩენილებს მისი პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით შეეძლებათ. შეხვედრას პოლონელი არბიტრი პაველ გილი განსჯის.

გუშინ კი "ბორის პაიჭაძეზე" ოთხივე მატჩამდელი ღონისძიება გაიმართა – მედიის წინაშე ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელები წარდგნენ, რის შემდეგაც ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა "დინამოსა" და "რეიკიავიკის" ღია ვარჯიშები იხილეს.

### ყველაზე უხერხული მეტოქე მოედანია

პრესკონფერენციაზე მედიისა და ფეხბურთელების საერთო სატკივარზეც ითქვა – ვგულისხმობთ ეროვნული სტადიონის მოედნის საფრის საგანგაშო მდგომარეობას. გაზონი, **თემურ ქეცბაიას** თქმისა არ იყოს, ყანას უფრო ჰგავს, ვიდრე საფეხბურთო სარბიელს, არადა, უახლოეს პერიოდში "დინამო" და "ზესტაფონი" აქ საერთაშორისო მატჩებს ჩაატარებენ და, თუ საქმე ჯგუფურ ეტაპზე მიდგა, ევროპული მასშტაბითაც შევრცხვებით. ამას გარდა, წინაა ეროვნული ნაკრების შესარჩევი მატჩები და საქართველოს ჩემპიონატი...

მოკლედ, უახლოეს თვეებში ახალი საფრის დასაგებად დრო საერთოდ არ იქნება და საკითხავია, რატომ არავინ იზრუნა ამ პრობლემის მოგვარებაზე ივნისში, როცა "ბორის პაიჭაძეზე" არავინ თამაშობდა?

**ალექსა გარსიამ** თქვა, რომ ამ საკითხს "დინამო" აუცილებლად დააყენებს.

პრესკონფერენციაზე მას **გიორგი კახელიშვილი** ახლდა, რომელსაც დარბაზმა შვილის შეძენა მიულოცა.

**გარსია:** - იმის მიუხედავად, რომ საგარეო მატჩი სამბურთიანი უპირატესობით მოვიგეთ, სულაც არ მიმაჩნია, რომ პლეი ოფი უკვე განაღდებული გვაქვს. ვალდებულები ვართ, აქაც ბოლომდე ვიბრძოლოთ და გულშემატკივრები გავახაროთ. მოედანი კი მართლაც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რაც, უპირველესად, ჩვენნაირ ტექნიკურ გუნდებს უშლის ხელს.

**- კაკუბავა და ხმალაძე გუნდს როდის დაუბრუნდებიან?**

- ხმალაძე ჯერაც არ მომჯობინებულა, კაკუბავა კი უკვე დაგვიბრუნდა და "რეიკიავიკთან" 18-კაციან განაცხადშიც იქნება. არც ის არის გამორიცხული, ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს. როგორც იცით, ტრავმირებულია შოთა კაშიაც.

**- "რეიკიავიკთან" შთამბეჭდავი გამარჯვების მიუხედავად, "დინამომ" დაცვაში კვლავ დაუშვა უხეში შეცდომები. ამ რგოლის გაძლიერებას არ აპირებთ?**

- ახლა მთლიანად ამ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი, როცა პლეი ოფში გავალთ, მერე ვიმსჯელებთ, გვჭირდება თუ არა ახალი ფეხბურთელები.

**- გადმოდის თუ არა "დინამოში" გოგიტა გოგუა?**

- ამ ფეხბურთელთან კლუბი მოლაპარაკებებს ნამდვილად აწარმოებდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

**კახელიშვილი:** - ისლანდიაში გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ აქაც ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. მეტოქე ხელწამოსაკრავი სულაც არ არის და მის წინააღმდეგ თბილისშიც სრული მობილიზებით თამაში გვმართებს.

"დინამოს" ვარჯიშში მონაწილეობა 22-მა ფეხბურთელმა მიიღო, რომელთა შორისაც იყვნენ **ჩისკო, გიორგი რეხვიაშვილი** და **ნიკა კვეკვესკირი.** შეგახსენებთ, ისლანდიაში მიღებული გაფრთხილებების გამო ისინი ამ შეხვედრას გამოტოვებენ, დღევანდელ 18-კაციან განაცხადს კი გარსია ამ 19 მოთამაშიდან შეარჩევს:

მეკარეები: **გიორგი ლორია, სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ნადირაძე;**

მცველები: **დავით ოდიკაძე, გულვერდ თომაშვილი, ირჟი ჰომოლა, ლევან კაკუბავა;**

ნახევარმცველები: **ალექსანდრე კოშკაძე, ჯამბულ ჯიღაური, გიორგი თექთურმანიძე, ირაკლი ლექვთაძე, ნიკა ფირცხალავა, გიორგი კახელიშვილი, გოგა ბერაია, კარლეს კოტო, რობერტინიო;**

თავდამსხმელები: **ალბერტო იაგუე, ლადო ახალაია, ვახტანგ ფანცხავა.**

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, "დინამოს" განაცხადში მინდვრის ყველა მოთამაშე მოხვდება, სამი მეკარიდან კი იქ ორი დარჩება.





რუნარ კრისტონსონი

# ისლანდიელებმა ხელი ჩაიქნიეს

"რეიკიავიკი" თბილისში მხოლოდ 15 ფეხბურთელით ჩამოვიდა. როგორც ისლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა **რუნარ კრისტონსონმა** აღიარა, შემდეგ ეტაპზე უკვე აღარ ფიქრობს და ამიტომაც რამდენიმე ფეხბურთელს დასვენების საშუალება მისცა.

*"ძალიან გადატვირთული კალენდარი გვაქვს და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, თბილისში მხოლოდ 15 მოთამაშე წამოგვეყვანა. დანარჩენებმა, სჯობს, დაისვენონ და ისლანდიის ჩემპიონატის მომდევნო მატჩებისთვის მოემზადონ. გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი რეიკიავიკში დავტოვე, თბილისში კი ახალგაზრდებს გამოვცდი"*, - განაცხადა კრისტონსონმა.

კითხვას, როგორ შეძლო მისმა გუნდმა სლოვაკური "ჟილინას" დამარცხება, "რეიკიავიკის" დამრიგებელმა ასე უპასუხა: *"ჟილინა" "დინამოზე" უკეთესი გუნდია, მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადოდ არ შეგვაფასა, "დინამოსთან" კი ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ვითამაშეთ, თანაც, ქართველებმა საგოლე მომენტები კარგად გამოიყენეს."*

ასეთი შეფასების მიუხედავად, კრისტონსონმა ისიც აღიარა, რომ "დინამო" ტექნიკური ფეხბურთით გამოირჩევა. ბოლოს კი დასძინა, თბილისური ამინდი ხელს ძალიან შეგვიშლისო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

26.07. გრაცი. UPC არენა.
12 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| შტურმი | 1 |
| ზესტაფონი | 0 |

**პირველი მატჩი 1:1**

1:0 კინასტი (68)

| შტურმი | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| გრატცაი | რ. კვასხვაძე |
| ერენრაიხი | ალადაშვილი |
| დუდიჩი | გ. ონიანი |
| ბურგშტალერი | მ. კობახიძე |
| გ. ფოფხაძე | ელიავა |
| ვოლფი | აფციაური |
| ვებერი | დაუშვილი |
| მურატოვიჩი | ძარია |
| პიოლცლი | გრიგალაშვილი |
| კინასტი | დვალი |
| შაბიჩი | გელაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ფ. ფოლდა | გ. გეგუჩაძე |

**შტურმი**

74. შაბიჩი – **ბოდული**
85. ვოლფი – **კაინცი**
90. კინასტი – **ჰაასი**

სათადარიგოები: ჩავლინა, პიურხერი, ნოიჰოლდი

**ზესტაფონი**

52. დაუშვილი – **გორგიაშვილი**
76. აფციაური – **ბაბუნაშვილი**
80. ძარია – **წინამძღვრიშვილი**

სათადარიგოები: მამალაძე, თ. ლონლაძე, ბენაშვილი, ს. ლომია

გაფრთხილება: ვოლფი (51), გელაშვილი (58), ონიანი (66), გრიგალაშვილი (84)
არბიტრი: ა. გოტიე (საფრანგეთი)

ჩემპიონთა ლიგა. საპასუხო მატჩი

# შეტევა შეგვიძლია

## ევროპაში გატანაც უნდა ვისწავლოთ

ისევე, როგორც თბილისში, "ზესტაფონმა" გრაცშიც ბევრი იბრძოლა, მაგრამ "შტურმის" კარის დასალაშქრი იარაღი არსენალში არ აღმოაჩნდა. ძალიან მტკივნეულია, როცა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფამდე და მინიმუმ ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის დაბევებამდე ასე ახლოს იყავი, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს ჩემპიონს ამ მიზნის მიღწევამდე რაღაც დააკლდა. "ზესტაფონი", რომელიც შემტევი სტილით გამოირჩევა, ავსტრიის ჩემპიონთანაც ძალიან აქტიური იყო, მაგრამ მის კარს გასაღები ვერა და ვერ მოარგო.

იყო უიღბლობის მომენტიც (ოღონდ ეს პირველ მატჩზე უფრო ითქმის), მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ემოციები არ განელებულა, ვფიქრობთ, "ზესტაფონის" მარცხი გულსატკენთან ერთად, ალბათ, კანონზომიერიც იყო. როგორ არ გავიხსენოთ თბილისში დაშვებული საბედისწერო შეცდომები, მაგრამ ისტორიას ხომ ყველაზე უკეთ შედეგი ამახსოვრდება.

"შტურმი" საშუალო ევროპული დონის გუნდია, მაგრამ მისი დაცვის გასატეხად საკმარისი არ აღმოჩნდა ის მეთოდები, რაც საქართველოს ჩემპიონატში კარგად ჭრის. ფეროელთა სამწვრთნელო შტაბი მარცხის მიზეზებს ჩვენზე უკეთ გააანალიზებს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ "ზესტაფონს" შეტევის დასაგვირგვინებლად ერთდროულად დააკლდა საშემსრულებლო ოსტატობა, სწრაფი აზროვნება, ზოგადად სისწრაფე, პრაგმატულობა და თავდაჯერება.

ბოლო კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება. გუშინ არაერთი იყო ისეთი ეპიზოდი, როცა ამა თუ იმ შემტევს სახიფათოდ დარტყმა შეეძლო, მაგრამ ან უარეს პოზიციაში მდგომი თანაგუნდელი მოძებნა, ანაც მეურვის ჩამოცილება სცადა და ამით ძვირფასი დრო დაკარგა.

"ზესტაფონმა" ვერც 0:1-ის შემდეგ ივარგა, უფრო მეტიც, დაწინაურებული ავსტრიელები გაცილებით მეტი თავდაჯერებით (რაც არც მანამდე აკლდათ) ათამაშდნენ და მატჩის დასკვნით ნაწილში, როცა კოკისპირულად გაწვიმდა, ქართველებს შტურმის მოწყობის საშუალება არ მისცეს და პირიქით, თავად გაანიავეს საგოლე კონტრიერიში.

მატჩს "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით ნახავდით და მისი დეტალური განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

პირველი ტაიმი "ზესტაფონის" საგრძნობი უპირატესობით წარიმართა და, მართალია, ასპროცენტიანი საგოლე შანსი არ გვქონია, მაგრამ **გელაშვილისა** და **გრიგალაშვილის** დარტყმები გასახსენებლად მაინც ღირს. მეორემ საჯარიმოს გარედან დაარტყა, პირველმა — უფრო ახლოდან და ორივე შემთხვევაში "შტურმის" მეკარე **გრატცაიმ** იმარჯვა.

მასპინძელთა ტაქტიკა, რომელიც გამიზნულად იყო აწყობილი "მეორე ნომრობაზე", შესვენების შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა, რაც დრო გადიოდა, სტუმართა დაცვაში სიცარიელეები უფრო ხშირად ჩნდებოდა და ავსტრიელები კონტრშეტევებს რიგიანად ახორციელებდნენ. სწორედ ამგვარად გაიტანა "შტურმმა" გამარჯვების გოლი. **რომან კინასტმა** გამოზომილი გადაცემა მიიღო, მეურვე ეფექტურად ჩამოიცილა და **კვასხვაძეს** შანსი არ დაუტოვა.

"ზესტაფონი" ამის შემდეგ თითქოს უფრო შებოჭილად ათამაშდა და ყველაზე სუსტად შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი ჩაატარა. ხეირი ვერც **გია გეგუჩაძის** მიერ განხორციელებულ შეცვლებს მოჰყვა, წინა მატჩის მსგავსად, გათამაშებული კუთხურებიდან შედეგი გუშინაც ნულოვანი იყო და ავსტრიელები მაინცდამაინც ვერც ინდივიდუალური ოსტატობით დავჯაბნეთ...

"შტურმი" უკვე წარსულია, სამწუხაროდ, ავადმოსაგონარი წარსული, ისლა თუ გვანუგეშებს, რომ საქართველოს ჩემპიონს ევროპაში თავი არ შეურცხვენია, წლიდან წლამდე იზრდება და ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევენ.

ასეთი მარცხი მეტისმეტად ძნელი გადასატანია, მაგრამ სხვა გზა არ არის, ბიჭები ამ მარცხს მალევე უნდა გაუმკლავდნენ – ორ კვირაში "ზესტაფონს" უკვე ევროპის ლიგის პლეი ოფი ელის და გვჯერა, მისი წევრები "შტურმთან" მარცხისგან, რომელიც მხოლოდ უიღბლობით არ ყოფილა გამოწვეული, სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. ევროსეზონი გრძელდება და, თუ წილისყრამ არ გაგვწირა, ჯგუფური ეტაპის თბილისში ხილვის შანსიც გვექნება.





ამბები



## კრასნოდარმა მარცვალაძე ოფიციალურად განაცხადა

**ოთარ მარცვალაძე** "ვოლგადან" "კრასნოდარში" რამდენიმე კვირის წინ გადავიდა, მაგრამ მიზეზთა გამო ახალი კლუბის განაცხადში მისი შეყვანა გაჭიანურდა და "კრასნოდარი" რუსულ პრემიერლიგაში მის გარეშე თამაშობდა.

გუშინ ეს პრობლემა მოგვარდა და 27 წლის ქართველი ფორვარდი უკვე "კრასნოდარის" განაცხადშია. ახალ გუნდში მისი დებიუტი კი, სავარაუდოდ, 7 აგვისტოს შედგება, როცა კრასნოდარელები სტუმრად პერმის "ამკართან" ითამაშებენ.

პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მარცვალაძემ 5 გოლი გაიტანა.

## ანანიძე არ დაგვაკლდება



რუსეთის პრემიერლიგაში "ყუბანთან" მატჩისას **ჯანო ანანიძემ** მიკროტრავმა მიიღო, რის გამოც მოსკოვის "სპარტაკში" ერთი ვარჯიში ინდივიდუალური პროგრამით ჩაატარა. საბედნიეროდ, ანანიძეს დაზიანება არ გართულებია და სრული დატვირთვით ვარჯიშიც განაახლა, ასე რომ, მისი ნაკრებსმიღმა დარჩენის საფრთხე გამოირიცხა. შეგახსენებთ, ჯანო საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** 10 აგვისტოს პოლონეთთან ჩასატარებელი გასვლითი ამხანაგური შეხვედრისთვის გამოიძახა.

## პერტია ოლიმპსის მაშველია

**თამაზ პერტია**, რომელიც ბოლო რამდენიმე თვე უმუშევარი იყო, სამწვრთნელო კარიერას რიგის "ოლიმპსში" განაგრძობს. ცნობისთვის: ამ კლუბის დირექტორი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი **ალექსანდრე რეხვიაშვილია**.

შეგახსენებთ, რომ პერტიას ბოლო კლუბი რიგისავე "დაუგავა" იყო, სადაც საკმაო წარმატებით მუშაობდა.

რაც შეეხება "ოლიმპსს", იგი ჯერჯერობით მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. მეტიც, კატასტროფულ მდგომარეობაშია – ლატვიის 9-გუნდიან ვირსლიგაში, რომელიც გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ეწყობა და უკვე 18 ტური ჩატარებული, ორად ორი ქულა აქვს და, შესაბამისად, ერთი მატჩიც კი არ მოუგია.

## ზურაბ არზიანი ვოლგაშია

ბოლო ხანებში "ვოლგა" **გოგიტა გოგუამ** და **ოთარ მარცვალაძემ** დატოვეს, მაგრამ ნიჟნინოვგოროდულ კლუბში ქართველთა მატებაცაა – იქ განაგრძობს კარიერას 23 წლის ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი**, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი თბილისის "დინამოში" გაატარა.

არზიანი აქამდე მახაჩყალის "ანჟის" საკუთრება იყო, იგი რუსეთის მოქალაქეა და, შესაბამისად, ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტი არ შეეხება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ზურაბ არზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატი ქართულ ტელესივრცეში

# კაცურად, გაგვიგეთ კაცებს

# ჩვენი სერიალი ჩვენი ფეხბურთია!

გასული საფეხბურთო სეზონი ადრინდელთაგან ბევრით განსხვავდებოდა: ჩემპიონატს მეტ-ნაკლები ინტრიგა ჰქონდა, რამდენიმე ახალი სახეც გამოჩნდა და, რაც მთავარია, თბილისისა და ერთი-ორი ქალაქის გარდა, თითქმის ყველგან ქომაგი ტრიბუნებს ავსებდა. მოკლედ, ეროვნული ჩემპიონატისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა და ამაში დიდი წვლილი ქართველი ჟურნალისტებისაც იყო. ყოველდღიური სპორტული გამოცემები თუ სხვადასხვა ვებგვერდი მაქსიმალურად და ოპერატიულად აშუქებდნენ ჩვენი ჩემპიონატის მატჩებს. თუმცა განსაკუთრებული ადგილი მაინც ტელევიზიებს ეკავათ, სამ სხვადასხვა არხზე კვირაში ერთხელ მაღალპროფესიული საფეხბურთო გადაცემებით რომ ანებივრებდნენ ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს. შეგახსენებთ, რომ ყოველ ორშაბათს, 23 საათიდან „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ სპორტული გადაცემა „არენაა“, რომელსაც უცვლელი წამყვანი დავით მინაშვილი უძღვება; ასევე ორშაბათობით, ოღონდ, უფრო გვიან (დაახლოებით ღამის 12 საათისთვის) „რუსთავი 2”-ზე წმინდა საფეხბურთო გადაცემა „საფეხბურთო ღამე“ ინყებოდა ასევე უცვლელ წამყვან დიმა ობოლაძესთან ერთად; ხოლო პარასკეობით ტელეკომპანია „მზეზე“, საკმაოდ „რეიტინგულ“ დროს (22 საათზე) ლაშა დვალიშვილის საავტორო გადაცემა „105 წუთი“-ის დრო დგებოდა, რომელიც მთლიანად ქართულ ფეხბურთს ეძღვნებოდა. აი, ასე მასშტაბურად შუქდებოდა ქართული ფეხბურთი ჩვენს ტელესივრცეში და ბუნებრივია ის ინტერესიც, კარს მომდგარი ახალი სეზონის დაწყების წინ რომ ექნება ნებისმიერ გულშემატკივარს. მით უფრო, რომ იმავე „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ კარგა ხანია, პირდაპირ ტელერეპორტაჟებსაც „დაგვაჩვია“: XXII ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან მოყოლებული, ტურის ცენტრალურ მატჩებს ხომ თვალს ვადევნებდით, ახლა უკვე ევროტურნირებზე ჩვენი გუნდების თამაშებსაც ვუცქერთ და, რაც ყველაზე მთავარია, გასვლითი მატჩების პირდაპირი რეპორტაჟებიც „ჩვეულებრივ მოვლენად“ იქცა!

ახლა კი იმის თაობაზე, თუ რა სიახლეებს ჰპირდებიან ახალი სეზონის დაწყების წინ ტელემაყურებელსა თუ გულშემატკივარს ქართული ტელევიზიები, — სიტყვას ჩვენს კოლეგებს გადავცემთ. თუმცა, მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ სიტუაცია აშკარად არაერთგვაროვანია..



დავით მინაშვილი

## პირველ არხზე არ მოიწყენთ...

**დავით მინაშვილი** (“საზოგადოებრივი მაუწყებელის” სპორტული მიმართულების პროდიუსერი): „გადაწყვეტილი ამბავია, რომ ამ წლის ბოლომდე საქართველოს ჩემპიონატის ყველა ტურის ერთ მატჩს ფეხბურთის მოყვარულები ჩვენი არხის მეშვეობით მიადევნებენ თვალს. გამონაკლისი, თუ არ ვცდები, ერთადერთი ტურია — ისიც იმიტომ, რომ შუა კვირაში ტარდება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში პირდაპირი ტელერეპორტაჟები კვირაობით მოეწყობა და ერთსა და იმავე დროს, 18 საათზე დაიწყება. თუმცა, არ არის გამორიცხული, პირდაპირი ტრანსლაცია უფრო გვიანაც დაიწყოს: ასე, მაგალითად: პირველი ტურის ცენტრალური მატჩის — „ტორპედო“-„ზესტაფონი“ — რეპორტაჟი 21 საათიდან იგეგმება. საერთოდაც, ჩვენი სურვილი იყო, უმაღლესი ლიგის 12-ივე გუნდის საშინაო მატჩები გვეჩვენებინა — ამით ხომ ფეხბურთელებსაც დამატებითი მოტივაცია გაუჩნდებოდათ და გულშემატკივრებისთვისაც ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა, ნებისმიერ გუნდზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეღო. სამწუხაროდ, ასე ვერ მოხერხდება და ისე, როგორც წინა სეზონში, ამჯერადაც მთავარი პრობლემა სტადიონების განათების საკითხია — იმ სტადიონებიდან, სადაც განათება პრობლემურია, პირდაპირ ტელერეპორტაჟებს ვერ ვაწარმოებთ, არადა, დიდი სურვილი გვქონდა, ვთქვათ, ბოლნისიდანაც თუ მცხეთიდანაც გადაგვეცა პირდაპირი ტრანსლაციები. ანალოგიური პრობლემა იყო რუსთავშიც, თუმცა გვპირდებიან, რომ ამ საკითხს დადებითად გადაჭრიან. ამას გარდა, არის სხვა ტექნიკური პრობლემაც: ზოგ სტადიონზე პრაქტიკულად გამორიცხულია ჩვენი მოძრავი სატელევიზიო სადგურის განთავსება. სხვანაირად კი, მერწმუნეთ, პირდაპირი ტელერეპორტაჟები გამორიცხულია, მით უფრო, რომ თითოეულ მატჩზე 11 სატელევიზიო კამერა იმუშავებს.

... მოგეხსენებათ, რომ ორშაბათობით ჩვენი არხის ეთერში სპორტული გადაცემა „არენა“ გადიოდა; ეს გადაცემა კვლავაც დარჩება „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, ოღონდ, ამიერიდან ხუთშაბათობით გავა და ფეხბურთთან ერთად სპორტის სხვა სახეობებსაც გავაშუქებთ. სამაგიეროდ, ორშაბათობით, თანაც იმავე დროს, 23 საათზე დაიწყება ახალი საფეხბურთო გადაცემა „გოლი“. ეს იქნება წმინდა საფეხბურთო გადაცემა, რომელიც მთლიანად დაეთმობა საქართველოს ჩემპიონატსა თუ საქართველოს ნაკრებთა შეხვედრების მიმოხილვებს, საუკეთესო გოლებსა და ასე შემდეგ. „გოლის“ პირველი გადაცემას 8 აგვისტოს შევთავაზებთ ჩვენს მაყურებელს.

## საფეხბურთო ღამის რექვიემი

**დიმიტრი ობოლაძე:** „რუსთავი 2“-ის ეთერში 2 წლის განმავლობაში გადიოდა გადაცემა „საფეხბურთო ღამე“. თავდაპირვლად ამ გადაცემას მე და არჩილ არველაძე ვუძღვებოდით, ბოლო ერთი



დიმიტრი ობოლაძე

წელი კი მარტოს მიწევდა გადაცემის წაყვანა. რა თქმა უნდა, ტელემაყურებლის განსასჯელი თუ შესაფასებელია „საფეხბურთო ღამის“ რეიტინგი — ყოველ შემთხვევაში, მას ნამდვილად არ აკლდა ტელემაყურებელთა ზარები და საერთოდაც, ვიცოდი, რომ მაყურებელთა სოლიდური აუდიტორია გვყავდა. სამწუხაროდ, ახალი სეზონის დაწყების წინ ფეხბურთის გულშემატკივარი „საფეხბურთო ღამეს“ ველარ ნახავს — გადაცემა დაიხურა! მიზეზი კი, როგორც ჩვენი ტელეკომპანიის ხელმძღვანელებისგან ვიცი, თურმე... „საფეხბურთო ღამის“ დაბალი რეიტინგი ყოფილა; უფრო ზუსტად, ჩვენს გადაცემამდე „რუსთავი 2“-ის ეთერში პოპულარული პროექტი „ნიჭიერი“ გადიოდა, არნახულად რეიტინგული გადაცემა; აი, „საფეხბურთო ლამეს“ კი, მსგავსი რეიტინგი ვერაფრით ექნებოდა და ჩვენი არხის ხელმძღვანელებმაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ერთი მხრივ, ვერავინ გაამტყუნებს: კერძო ტელევიზიაა და ნებისმიერი კომპანიის მფლობელი იმას ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჰქონდეს. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული ფეხბურთი არ არის მომგებიანი ბიზნესი, რაც კერძო ტელეკომპანიას აინტერესებს. თუმცა ისიც მინდა ვთქვა, რომ „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელებს ქართულ ფეხბურთზე გული საბოლოოდ არ აუცრუებიათ: შეხვედრისას მითხრეს, რომ გადაცემის ახალი ფორმატი მომეფიქრებინა, სადაც გარკვეული დოზით ჩვენი ჩემპიონატიც იქნება წარმოდგენილი. ახლა შვებულებაში ვარ, თუმცა სამომავლო პროექტზეც ვფიქრობ, რომელიც, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის იქნება მზად. ფორმატი კი შეიცვლება, მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, ქართული ფეხბურთი ამ გადაცემაში მაინც ფიგურირებდეს. მანამდე კი „რუსთავი 2“-ის მაყურებელს შევახსენებ, რომ 16-17 აგვისტოდან ჩვენს არხზე ჩემპიონთა ლიგის მატჩების ჩვენებას დავიწყებთ: წინ ხომ პლეი ოფის შეხვედრებია. ამის შემდეგ ევროპის სუპერთასი — „ბარსელონა“-„პორტუ“, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა და უშუალოდ ჯგუფური ეტაპის მატჩებიც გველოდება...“

## თოქშოუც კარგია, სერიალებიც, მაგრამ ფეხბურთი?

**ლაშა დვალიშვილი:** „საფეხბურთო გადაცემა „105 წუთი“, ყოველ პარასკევს ტელეკომპანია „მზის“ ეთერით რომ გადიოდა, დროებით შეჩერებულია. ყოველ შემთხვევაში, ხვალ ეს გადაცემა არ იქნება — არადა, დიდი იმედი მქონდა, რომ სეზონის დაწყების წინ ტელემაყურებელს სხვადასხვა სიახლით შევხვდებოდით. თუმცა „მზის“ ხელმძღვანელების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს — პირიქით, მადლობა მინდა გადავუხადო, რადგან ამ ერთი წლის განმავლობაში მუშაობისთვის ყველა პირობა მქონდა. ამასთან, არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი და ამ არხის თანამშრომლობა ისევ გაგრძელდეს, რისი სურვილიც მაქვს და იმედიც. აქვე ერთ საჭირბოროტო საკითხსაც მინ-



ლაშა დვალიშვილი

და შევეხო: ალბათ, უკვე მოვიდა დრო, რომ საფეხბურთო გადაცემებისადმი მიდგომა შეიცვალოს. წინა სეზონში „პირველ არხზე“, „რუსთავი 2“-სა და „მზეზე“ კვირაში ერთხელ საფეხბურთო გადაცემები გადიოდა და ეს ... არასაკმარისადაც კი მიმაჩნდა, ახლა კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მხოლოდ „პირველ არხზე“ იქნება საფეხბურთო გადაცემა. საერთოდაც, მართლაც საინტერესოა, თუ რა კრიტერიუმებით ადგენენ ამა თუ იმ სატელევიზიო გადაცემის რეიტინგებს. გადახედეთ ჩვენს ტელესივრცეს, წალეკილია გასართობი შოუებითა თუ სერიალებით; რა თქმა უნდა, არც ამ გასართობი თოქშოუების წინააღმდეგი ვარ და არც — სერიალების, მაგრამ იმის შესაძლებლობაც ხომ არის, რომ თითო არხზე, სულ მცირე, თითო საფეხბურთო, გნებავთ, სპორტული გადაცემაც არსებობდეს?! მით უმეტეს, მაშინ, როცა ფეხბურთის განვითარებაზე სახელმწიფო სერიოზულად ზრუნავს; როცა ჩვენი გუნდები მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობენ ევროტურნირებზე; როცა საქართველოს ნაკრების ასევე წარმატებულმა თამაშმა გულშემატკივარი სტადიონზე დააბრუნა... და ამ დროს საფეხბურთო გადაცემები კი არ უნდა იხურებოდეს, არამედ გაუმჯობესებაზე უნდა იყოს ლაპარაკი...

... ახალი სეზონის დაწყების წინ ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელებს ვესაუბარე იმის თაობაზე, რომ ჩემი საავტორო გადაცემა ამ არხზე გასულიყო. რა დასამალია, ჩემთვის უფრო პრიორიტეტულია ისეთი არხები, დაფარვის მაქსიმალური ზონა რომ ექნებათ და „იმედიც“ ამიტომ ავირჩიე, მაგრამ, ეტყობა, ამ არხზე სპორტული თემატიკის გადაცემები არ აინტერესებთ. ამას გარდა, დიდი ხნის სურვილიც მინდა გაგიმხილოთ: ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ ქართულ რადიოში საქართველოს ჩემპიონატის მატჩების „რადიოგადაძახილის“ მოწყობა მსურს. ვნახოთ, ამ საკითხზეც ვმუშაობ და, ალბათ, ურიგო არ იქნება, რადიომსმენელმა ჩვენი ჩემპიონატის ყველა მატჩის პერიპეტიების მოსმენა რომ შეძლოს. ბოლოს კიდევ ერთ იდეაზეც: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას უკვე ველაპარაკე საფეხბურთო არხის შექმნის თაობაზე. თავდაპირველად თუნდაც საკაბელო ტელევიზიის დონეზეც რომ იყოს, მაინც დიდ საქმეს გავაკეთებთ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას მოემსახურება“.

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ლაშა დვალიშვილისა არ იყოს, ჩვენც გვაინტერესებს, თუ რა „კრიტერიუმებით“ ადგენენ ამა თუ იმ ტელეგადაცემის რეიტინგს. ყოველ შემთხვევაში, იქნებ ფეხბურთის გულშემატკივართა აზრიც გაითვალისწინონ და ერთნაირი შინაარსის ლათინურამერიკულ სერიალებსა თუ უგემოვნო, ვითომ გასართობ თოქშოუებთან ერთად „ხანდახან“ საფეხბურთო გადაცემებიც გვაჩვენონ ხოლმე. რა თქმა უნდა, კერძო ტელეკომპანიის მფლობელის გადასაწყვეტია, რომელი გადაცემა უფრო პრიორიტეტულია (ანუ მომგებიანი) და რომელი — არა, მაგრამ იმავე „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, უცნაური სიტუაცია შეიქმნა. აბა, „საფეხბურთო ღამეს“ რომ იმიტომ დახურავ, აქაოდა, დაბალი რეიტინგი აქვსო, მართლაც გასაკვირია და სხვა არაფერი. თან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორიც არ უნდა დაგვავიწყდეს: ეტყობა, ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, ამა თუ იმ ტელეკომპანიის ხელმძღვანელს... ფეხბურთი რამდენად უყვარს! ჰოდა, ამ მხრივ ჩვენს კოლეგებს „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ მართლაც გაუმართლათ — პირველი არხის გენერალური დირექტორი გია ჭანტურია სპორტს და, კერძოდ, ფეხბურთს აშკარად „კარგი თვალით“ უყურებს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ნიუკასლი

# ვირტუალური შურისძიება



ჯოი ბარტონი

25 წლის **ხოსე ენრიკე ჯოი ბარტონის** და **კევინ ნოლანის** მსგავსად „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ მიდის — „ლივერპულმა“ მასში 10 მილიონი ფუნტის გადახდა გადაწყვიტა. ენრიკე გახდა მეორე „კაჭკაჭი“, რომელმაც „სენტ ჯეიმსი’ზ პარკის“ დატოვება ინტერნეტის, უფრო ზუსტად კი სოციალური ქსელის, „ტვიტერის“ დახმარებით მოახერხა. გუშინ ბარტონის ამბავს მოგახსენებდით, რომელმაც „ტვიტერში“ „ნიუკასლის“ ხელმძღვანელები გააკრიტიკა, რამაც ისინი გააბრაზა და ფეხბურთელი კლუბიდან გააგდეს. თავის მხრივ „ნიუკასლიც“ ისტორიაში შევიდა — გახდა მსოფლიოში პირველი კლუბი, რომელმაც ფეხბურთელი „ვირტუალური მიზეზით“ გააგდო. ინტერნეტ-გაგდება უნიკალური შემთხვევაა. „ლივერპული“ კი იმიტომ აჩქარდა, რომ ხოსე ენრიკეს მიმართ „ჩელსის“ ინტერესი დაინახა. თუ **კენი დალგლიში** ესპანელს მართლა იყიდის, მისი საზაფხულო დანახარჯი 50 მილიონ ფუნტამდე გაიზრდება.

ხოსე ენრიკე „ნიუკასლის“ გულშემატკივრებში პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა ამ ზაფხულს „ვალენსიას“, „სელტას“ და „ვილიარეალის“ ყოფილ მოთამაშეს კლუბთან ურთიერთობა გაუფუჭდა — მან „კაჭკაჭებთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა, შემდეგ კი „ტვიტერში“ დაწერა მწარე-მწარეები, რის გამოც ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს. მისი გუნდიდან წასვლა „ნიუკასლისთვის“ სერიოზული დანაკლისი იქნება. ამბობენ, რომ ბოლო ხანს დატრიალებული მოვლენებით აღშფოთებული ფანები ამ უქმეებზე საპროტესტო გამოსვლებს გეგმავენ.

რაც შეეხება 28 წლის ბარტონს, მას ბრიტანულ პრესაში ბევრი გამოექომაგა. დაწერეს, რომ „ნიუკასლი“ მისი გაშვებით ჰარაკირს იკეთებს, თუმცა კლუბი ამაყად დადგა და განაცხადა რომ ნახევარმცველი გუნდში ურთიერთობებს ურევდა. პაპარაცებმა დააფიქსირეს, როგორ გამოჰქონდა ფეხბურთელს „კაჭკაჭთა“ საწვრთნელი ბაზიდან თავისი პირადი ნივთებით სავსე დიდი ყუთი.

„ბარტონის“ აგენტთან ფეხბურთელის გადაბირებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წამოიწყეს „ასტონ ვილამ“ და „ტოტენჰემმა“. ამბობენ, რომ შოტლანდიიდან „სელტიკიც“ გააქტიურდა, თუმცა არავის სჯერა, რომ წარმოშობით ლივერპულელი ნახევარმცველი შოტლანდიის პრემიერლიგაში გადაიკარგება. ბარტონის მიზანი გასაგებია: მას ისეთ გუნდში უნდა მოხვედრა, რომელიც ნაკრებში დაბრუნებაში დაეხმარება და გაისად ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე მოახვედრებს. ისე, ბარტონის შემთხვევაში ნაკრებში დაბრუნებაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, რადგან ამ ბუნებით გაუწონასწორებელ ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში 2007 წელს ერთადერთხელ აქვს ნათამაშები. მისმა მეგობრება ინგლისურ ტაბლოიდებს უთხრეს, რომ ფეხბურთელი ყველა წინადადებას განიხილავს, მაგრამ კლუბს ხელფასის მიხედვით არ აარჩევს. მისთვის, ამ ეტაპზე, მთავარი მხოლოდ ფეხბურთია.

ბარტონი გრძნობს, რომ აყალმაყალით სავსე წარსულის გამო, წლების მანძილზე ნაკრებში თამაშის ძალიან დიდი შანსი გაუშვა ხელიდან. ბოლო დღეებში მან, რასაკვირველია, კვლავ მიაშურა კომპიუტერს და „ტვიტერში“ დაწერა:

*„სანამ ახალ გუნდს ვიპოვი, ისევ „ნიუკასლის“ საკუთრება ვარ და ამ კლუბმა მარტო ვარჯიში მომისაჯა. ჰა,ჰა, ჰა, რამდენად მოსალოდნელი იყო — ორი კვირის ხელფასიც დამიქვითეს. ნაქცეულისთვის წიხლის ჩარტყმა ხომ ახ ხალხისთვის ჩვეულებრივი ამბავია“.*

ბევრი დაიწერა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედს“ მობეზრდა ჯოი ბარტონის გაუთავებელი კონფლიქტები თანაგუნდელებთან, ბოლო წვეთი კი გასულ უქმეებზე „ლიდსთან“ ნაგებული ამხანაგური თამაშის შემდეგ მომხდარი მორიგი ინციდენტი იყო. ბარტონმა გადაწყვიტა ამ ბრალდებისთვისაც გაეცა პასუხი და თან ყველა გააოცა, რადგან მწერალ **ჯორჯ ორუელის** ციტატა მოიტანა. 1984-ის ავტორს უთქვამს, საყოველთაო ტყუილების ეპოქაში სიმართლის თქმა რევოლუციური ქმედებააო. ბარტონმა დაწერა:

*„თუ კლუბს ამდენი ტყუილის გამოქვეყნება უნდა, დაე აქვეყნოს და ისიამოვნოს. „სენტ ჯეიმსი’ზ პარკზე“ ყველამ კარგად იცის, რომ სიმართლე ჩემს მხარესაა. ამასთან ერთად, მინდა დავადასტურო ჩემი დიდი პატივისცემა თანაგუნდელებისა და ფანებისადმი. წვრილმან კამათში ჩაყოლას არც მათ ვაკადრებ და მეც ძალიან გამძაფრებული მაქვს ღირსების გრძნობა“.*

გაზეთებისთვის ცნობილი გახდა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, **ალან პერდიუმ** ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები შეკრიბა და განუცხადა, რომ ამიერიდან „ტვიტერში“ კლუბის შესახებ წერა დაისჯება.

ცნობისთვის: ენრიკე „ნიუკასლის“ პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. შაბათს „კაჭკაჭები“ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ „ფიორენტინასთან“.

● არსენალი



სამირ ნასრი (მარცხნივ) და სესკ ფაბრეგასი

# ფაბრეგასის და ნასრის საგიჟეთი

დღეს „არსენალი“ სეზონისწინა ფოტოს იღებს და კლუბი ითხოვს, რომ სხვებთან ერთად კადრში **სესკ ფაბრეგასი** და **სამირ ნასრიც** იყვნენ. მოგეხსენებათ, რომ ფაბრეგასი და ნასრი ჩრდილოლონდონური კლუბიდან წასვლას ითხოვენ. ორივე ფეხბურთელი 24 წლის არის. ფაბრეგასი მშობლიურ „ბარსელონაში“ გადასვლას ცდილობს, ნასრის კი „ჩელსი“ და „მანჩესტერ სიტი“ ეპატიჟებიან.

დღეს „არსენალს“ „ღია კარის დღე“ აქვს — გულშემატკივრები „ემირეით სთედიუმზე“ ვარჯიშს დაესწრებიან, ფოტოგრაფებს კი საქმე არ მოაკლდებათ. საინტერესოა, რომ „მეთოფეებმა“ შესაძლოა ორი ფოტოც კი გადაიღონ. ერთში ის ფეხბურთელებიც მოხვდებიან, რომელთაც გუნდიდან წასვლა აქვთ გადაწყვეტილი, მეორეში კი არა.

„მეთოფეთა“ კაპიტან ფაბრეგასს ამ ზაფხულში ჩრდილოლონდონელთა არც ერთ ამხანაგურ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა. მიზეზად ესპანელი ვარსკვლავი თეძოს ტკივილს ასახელებს. დანამდვილებით ძნელია თქმა, „ბარსელონას“ სკოლის აღზრდილს ტრავმა მართლა აწუხებს თუ ეს მიზეზი გამალებული ვაჭრობის დასაფარავად მოიგონეს. მიმომხილველების ვარაუდით „არსენალი“ შიშობს, რომ კატალონიელები სატრანსფერო სეზონის ბოლომდე დაიცდიან და ბოლო იერიშს 31 აგვისტოს განახორციელებენ. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს „მეთოფეებმა“ უკვე ორი უარი შეუთვალეს. მიზეზი: ორივეჯერ „ბარსა“ 40 მილიონ ფუნტზე ნაკლებს სთავაზობდა. 40 მილიონი ფუნტი დღევანდელი კურსით 45,9 მილიონი ევროა.

რაც შეეხება ჩრდილოლონდონელთა 19 წლის ნახევარმცველ **ჯეკ უილშირს**, მას, მოგეხსენებათ, ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში „ნიუ იორკ რედ ბულზთან“ ფეხი ეტკინა და მოედნიდან გაიყვანეს. ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ამბობს, რომ მას კოჭზე ანთება აქვს და რამდენიმე დღეში კარგად იქნება.

*„სკანირებამ ანთებითი პროცესი აჩვენა. იმედი მაქვს, რომ ის რამდენიმე დღეში ჩაცხრება“.*

სავარაუდოდ, უილშირი შაბათს, „ბენფიკასთან“ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მას ინგლისის ნაკრების ქომაგები არც შემდეგ შაბათს, „უემბლიზე“, ჰოლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში უნდა ელოდონ.

● ბლექბერნი

# სამბას დეზი დააჭირეს



კრისტოფერ სამბა

„ბლექბერნის“ კონგოელი მცველი, 27 წლის **კრისტოფერ სამბა** „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ სამიზნეზეა. „დეზები“ მის სანაცვლოდ 12 მილიონი ფუნტის გადახდას აპირებენ, თუმცა, რამდენადაც პრესაში გაჟონა, ისინი რივერსაიდელებს ფულად სრული თანხის მხოლოდ ნაწილს სთავაზობენ. სხვა სიტყვებით, საქმე „ფულს პლუს ფეხბურთელის“ ტიპის გარიგებასთან გვაქვს.

სამბას შეძენა აგრეთვე სურთ „არსენალსა“ და „ევერტონსაც“, თუმცა ბოლო დღეებში ეს ორი კლუბი ჩუმად იყო, „სფურზმა“ კი კონკრეტული ნაბიჯი გადადგა. დავაზუსტოთ: ჩრდილოლონდონელთა თავკაცი **ჰარი რედნაპი** „ბლექბერნს“ 10 მილიონ ფუნტს სთავაზობს, 2 მილიონის ხურდად კი **ჯერმაინ დეფოს**, **რობი კინს**, **დევიდ ბენტლის** ან **სებასტიან ბასონგს** სთავაზობს. თავად სამბა „ტოტენჰემში“ გადასვლაზე ყაბულსაა, თუმცა არც „არსენალზე“ იტყოდა უარს. მოგეხსენებათ, „მეთოფეებსაც“ დაცვის ცენტრში აქვთ პრობლემა და სეზონისწინა ამხანაგურ შეხვედრებში გაშვებული გოლების გამო დიდ კრიტიკასაც აწყდებიან. ბოლოს „არსენალს“ ევერტონელი **ფილ ჯეგიელკას** ყიდვა უნდოდა, თუმცა, **არსენ ვენგერი** ჩასაფრებულია და თუ „ბლექბერნმა“ სამბას ფასი დააკლო, მომენტს ხელიდან არ გაუშვებს. საქმე ის გახლავთ, რომ სამბა ჯეგიელკაზე ნაკლებიც ღირს და ხელფასიც ნაკლები უნდა.

რაც შეეხება „ტოტენჰემის“ შეთავაზებას, ექსპერტები ელიან, რომ ჯერჯერობით „ბლექბერნი“ მასზე უარს იტყვის.

● მანჩესტერ სიტი



კარლოს ტევესი (მარცხნივ) და დავიდ სილვა

# კარლოსს გაუმარჯოს!

„მანჩესტერ სიტის“ 25 წლის ესპანელი ფორვარდი **დავიდ სილვა** არგენტინელ თანაგუნდელს, 27 წლის **კარლოს ტევესს** მოუთმენლად ელის და ამბობს, რომ ისტლენდზე მის დაბრუნებას ყველა მოუთმენლად და სიხარულით ელოდება. ფორვარდი, რომელიც რა ხანია „სიტიდან“ სხვაგან გადასვლას ლამობს, მაგრამ არაფერი გამოუდის, ქერინკტონის საწვრთნელ ბაზაზე, წესით, დღეს უნდა დაბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ ტევესი მანჩესტერიდან წასვლის მიზეზად ოჯახურ პრობლემას ასახელებს. მისი თქმით, ცოლ-შვილი ინგლისში ცხოვრებას ვერ ეგუება, ის კი შვილებისგან შორს ვერ ძლებს. ზაფხულის წინა ორ თვეში იყო ლაპარაკი, თითქოს ტევესი ბრაზილიურ „კორინთიანსში“ ან „ინტერში“ გადადიოდა, მაგრამ ორივე ტრანსფერი ჩაიშალა. დღეს სილვა ნატრულობს, არგენტინელმა გადაწყვეტილება შეცვალოს და „ეტიჰედ სთედიუმზე“ დარჩეს.

*„კარლოსი უნდა დაბრუნდეს და ეს დიდებულია. ის ჩვენი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. არა მგონია, დარჩენის შემთხვევაში მას რაიმე პრობლემა შეექმნას. „სიტიში“ კარლოსს ყველანი ძალიან კარგად ვიცნობთ და თუ დარჩება, ძალიან კმაყოფილები დავრჩებით.*

*ჩვენს გუნდში დიდი კონკურენციაა, მაგრამ ყველა ფეხბურთელი დანარჩენებს წარმატებას უსურვებს. ტევესის დაბრუნება ამ მხრივაც ძალიან მოუხდება „სიტის“.*

გვერდი მოამზადა
ილა **ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია. ბუნდესლიგა 2011/2012. განაცხადები

### ვერდერი (ბრემენი)

**დაარსდა:** 04.02.1899
**სტადიონი:** „ვეზერშტადიონი“ (42 100)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ტიმ ვიზე | 17.12.1981 |
| 21. სებასტიან მილიტცი | 18.07.1989 |
| 33. კრისტიან ვანდერი | 24.10.1980 |
| **მცველები** | |
| 2. სებასტიან ბიონიში | 29.10.1975 |
| 4. ნალდო (ბრა) | 10.09.1982 |
| 8. კლემენს ფრიტცი | 07.12.1980 |
| 15. სებასტიან პრიოდლი (ავს) | 21.06.1987 |
| 16. მიკაელ სილვესტრი (საფ) | 09.08.1977 |
| 22. სოკრატის პაპასტატოპულოსი (საბ) | 09.06.1988 |
| 23. ანდრეას ვოლფი | 12.06.1982 |
| 29. პერ მერტეზაკერი | 29.09.1984 |
| 37. ლეონ ბალოგუნი | 28.06.1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| 5. ვესლი (ბრა) | 24.06.1987 |
| 6. ტიმ ბოროვსკი | 02.05.1989 |
| 10. მარკო მარინი | 13.03.1989 |
| 13. ლუკას შმიტცი | 13.10.1988 |
| 14. აარონ ჰანტი | 04.09.1986 |
| 18. ფელიქს კროოსი | 12.03.1991 |
| 20. მეჰმეთ ექიჩი (თურ) | 25.03.1990 |
| 25. ტომ ტრიბული | 09.03.1993 |
| 31. პრედრაგ სტევანოვიჩი (სერ) | 09.031991 |
| 32. იოზჯან ილდირიმი | 10.04.1993 |
| 34. ალექსანდარ სტევანოვიჩი (სერ) | 16.02.1992 |
| 35. ფლორიან ტრინკსი | 11.03.1992 |
| 44. ფილიპ ბარგფრედე | 03.03.1989 |
| 45. ტიმო პერთელი | 11.02.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. მარკო არნაუტოვიჩი (ავსტრია) | 19.04.1989 |
| 9. დენი ავდიჩი (შვედ) | 05.09.1988 |
| 11. მარკუს როზენბერგი (შვედ) | 27.09.1982 |
| 19. სანდრო ვაგნერი | 29.11.1987 |
| 24. კლაუდიო პისარო (პერ) | 03.10.1978 |
| 28. კევინ შინდლერი | 21.05.1988 |
| 30. მარკო ფუტაჩი (უნგ) | 22.02.1990 |
| 36. ლენარტ თაი | 25.02.1992 |
| 46. ონურ აიქი (თურ) | 28.01.1990 |
| ***მწვრთნელი:** თომას შააფი* | *30.04.1961* |

### ბორუსია (დორტმუნდი)

**დაარსდა:** 19.12.1909
**სტადიონი:** „სიგნალ იდუნა პარკი“ (ვესტფალენშტადიონი, 80 552)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. რომან ვაიდენფელერი | 06.08.1980 |
| 20. მიტჩელ ლანგერაკი (ავსტრალ) | 22.08.1988 |
| 41. იოჰანეს ფოხერი | 20.01.1990 |
| **მცველები** | |
| 2. იულიან კოხი | 11.11.1990 |
| 4. ნევენ სუბოტიჩი (აშშ) | 10.12.1988 |
| 15. მატს ჰუმელსი | 16.12.1988 |
| 24. კრის ლიოვე | 16.04.1989 |
| 25. პატრიკ ოვომოიელა | 05.11.1979 |
| 26. ლუკაშ პიშჩეკი (პოლ) | 03.06.1985 |
| 27. ფელიპე სანტანა (ბრა) | 17.03.1986 |
| 29. მარსელ შმელცერი | 22.01.1988 |
| 44. მარკ ჰორნშუ | 02.03.1991 |
| **ნახევარმცველები** | |
| 5. სებასტიან კელი | 13.02.1980 |
| 6. ფლორიან კრინგე | 18.08.1982 |
| 7. მორიტც ლაიტნერი | 08.12.1992 |
| 8. ანტონიო და სილვა (ბრა) | 13.06.1978 |
| 11. მარიო გიოტცე | 03.06.1992 |
| 14. ივან პერიშიჩი (ხორ) | 02.02.1989 |
| 16. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (პოლ) | 14.12.1985 |
| 19. კევინ გროსკროიტცი | 19.07.1988 |
| 21. ილქაი გიუნდოგანი | 24.10.1990 |
| 22. სვენ ბენდერი | 27.04.1989 |
| 23. შინჯი კაგავა (იაპ) | 17.03.1989 |
| 31. მარვინ ბაკალორცი | 13.09.1989 |
| 36. მარიო ვრანჩიჩი | 23.05.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. რობერტ ლევანდოვსკი (პოლ) | 21.08.1988 |
| 10. მოჰამედ ზიდანი (ეგვ) | 11.12.1981 |
| 13. დამიენ ლე ტალეკი (საფ) | 19.04.1990 |
| 18. ლუკას ბარიოსი (პარ) | 13.11.1984 |
| ***მწვრთნელი:** იურგენ კლოპი* | *16.06.1967* |

### ფრაიბურგი

**დაარსდა:** 30.05.1904
**სტადიონი:** „ბოდენოვაშტადიონი“ (24 000)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ოლივერ ბაუმანი | 02.06.1990 |
| 19. დანიელ ბატცი | 12.01.1991 |
| 21. მანუელ ზალცი | 06.08.1985 |
| **მცველები** | |
| 2. პაველ კრმასი (ჩეხ) | 03.03.1980 |
| 3. ფელიქს ბასტიანსი | 09.05.1988 |
| 4. ბეგ ფერატი (შვეიც) | 10.11.1986 |
| 5. ჰაიკო ბუტშერი | 28.07.1980 |
| 15. ოლივერ ბართი | 06.10.1979 |
| 24. მენსურ მუჯა (ხორ) | 28.03.1984 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. იაჩინე აბდესადკი (მარ) | 01.01.1981 |
| 7. ჩედრიკ მაკიადი | 23.02.1984 |
| 8. იან როზენტალი | 07.04.1986 |
| 10. მაქსიმილიან ნიკუ (რუმ) | 25.11.1982 |
| 14. ანტონ პუცილა (ბელ) | 10.06.1987 |
| 17. ჯონათან შმიდი (საფ) | 26.06.1990 |
| 18. იოჰანეს ფლუმი | 14.12.1987 |
| 20. ივიცა ბანოვიჩი (ხორ) | 02.08.1980 |
| 23. იულიან შუსტერი | 15.04.1985 |
| 29. კრისტიან ბიკელი | 27.01.1991 |
| 40. დანიელ კალიჯური | 15.01.1988 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. პაპის დემბა სისე (კამ) | 03.06.1985 |
| 11. გარა დემბელე (მალი) | 21.02.1986 |
| 22. კიშო იანო (იაპ) | 05.04.1984 |
| 26. ერიკ იენდრიშეკი (სლოვაკ) | 26.10.1986 |
| 27. შტეფან რაიზინგერი | 14.09.1981 |
| 33. სიმონ ბრანდშტეტერი | 02.05.1990 |
| ***მწვრთნელი:** მარკუს ზორგი* | *24.12.1965* |

### ჰამბურგი

**დაარსდა:** 29.09.1887
**სტადიონი:** „ნორდბანკ-არენა“ (57 000)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. იაროსლავ დროზდი (ჩეხ) | 18.10.1979 |
| 12. ვოლფგანგ ჰესლი | 13.01.1986 |
| 29. ტომ მიკელი | 19.04.1989 |
| **მცველები** | |
| 2. დენის დიკმაიერი | 20.10.1989 |
| 3. მაიკლ მანსიენი (ინგ) | 08.01.1988 |
| 4. ჰაიკო ვესტერმანი | 14.08.1983 |
| 5. ჯეფრი ბრუმა (ჰოლ) | 13.11.1991 |
| 6. დენის აოგო | 14.01.1987 |
| 7. მარსელ იანსენი | 04.11.1985 |
| 19. ლენარდ სოვა | 23.08.1992 |
| 20. გი დემელი (კოტ) | 13.06.1981 |
| 33. მიროსლავ სტეპანეკი (ჩეხ) | 15.01.1990 |
| 34. მუჰამედ ბესიჩი (ბოს) | 10.09.1992 |
| 37. იანეკ შტერნბერგი | 19.10.1992 |
| **ნახევარმცველები** | |
| 8. ტომას რინკონი (ვენ) | 13.01.1988 |
| 11. ელჯერო ელია (ჰოლ) | 13.02.1987 |
| 13. რობერტ ტეშე | 27.05.1987 |
| 14. დავიდ იაროლიმი (ჩეხ) | 17.05.1979 |
| 17. გიოქჰან თიორე (თურ) | 20.01.1992 |
| 18. რომეო კასტელენი (ჰოლ) | 03.05.1983 |
| 22. ჯაკოპო სალა (იტა) | 05.12.1991 |
| 25. პერ სკიელბრედი (ნორ) | 16.06.1987 |
| 27. სიორენ ბერტრამი | 05.06.1991 |
| 28. თოლგაი არსლანი | 16.08.1990 |
| 31. დანიელ ნაგი (უნგ) | 15.03.1991 |
| 32. ენის ბენ-ჰატირა | 18.07.1988 |
| 36. კევინ ინგრესო (ფილ) | 10.02.1993 |
| 44. გოიკო კაჩარი (სერ) | 26.01.1991 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. პაოლო გერერო (პერ) | 01.01.1984 |
| 10. მლადენ პეტრიჩი (ხორ) | 01.01.1981 |
| 15. ჰიონ-მი სონი (კორ) | 08.07.1992 |
| 16. მარკუს ბერგი (შვედ) | 17.08.1986 |
| ***მწვრთნელი:** მიხაელ იონინგი* | *27.09.1965* |

### ჰანოვერი

**დაარსდა:** 12.04.1896
**სტადიონი:** „ავედე-არენა“ (49 000)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. რონ-რობერტ ცილერი | 12.02.1989 |
| 14. მარკუს მილერი | 08.04.1982 |
| 21. სამუელ რადლინგერი (ავსტრია) | 07.111992 |
| **მცველები** | |
| 3. ქარიმ ჰაგი (ტუნ) | 20.01.1984 |
| 4. ემანუელ პოგატეცი (ავსტრია) | 16.01.1983 |
| 5. მარიო ეგიმანი (შვეიც) | 24.01.1981 |
| 6. სტივენ ჩერუნდოლო (აშშ) | 19.02.1979 |
| 19. კრისტიან შულცი | 01.04.1983 |
| 24. კრისტიან პანდერი | 28.08.1983 |
| 27. ედრალ აკდარი (თურ) | 05.06.1993 |
| 34. კონსტანტინ რაუში | 15.03.1990 |
| 35. კრისტოფერ ავევორი | 11.02.1992 |
| **ნახევარმცველები** | |
| 2. ლეონ ანდრეასენი (დან) | 23.04.1983 |
| 7. სერჟიო პინტუ (პორ) | 16.10.1980 |
| 8. ალტინ ლალა (ალბ) | 18.11.1975 |
| 15. ჰენინგ ჰაუგერი (ნორ) | 17.07.1985 |
| 17. მორიტც შტოპელკამპი | 11.12.1988 |
| 20. კარლიტოსი (პორ) | 06.09.1982 |
| 23. სოფიან ჩაჰედი | 22.11.1989 |
| 26. დენიზ აიჩიჩეკი | 05.06.1990 |
| 28. ლარს შტინდლი | 26.08.1988 |
| 31. იანის პლეშკე | 06.02.1993 |
| 33. მანუელ შმიდებახი | 05.12.1988 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. არტურ სობიეხი (პოლ) | 12.06.1990 |
| 11. დიდიე ია კონანი (კოტ) | 22.05.1984 |
| 13. იან შლაუდრაფი | 18.071983 |
| 25. მოჰამედ აბდელაუ (ნორ) | 23.10.1985 |
| ***მწვრთნელი:** მირკო სლომკა* | *12.09.1967* |

### ჰოფენჰაიმი

**დაარსდა:** 01.07.1899
**სტადიონი:** „რაინ-ნეკარ-არენა“ (ზინსჰაიმი, 30 150)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. დანიელ ჰაასი | 01.08.1983 |
| 30. კოენ კასტეელსი (ბელ) | 25.06.1992 |
| 33. ტომ შტარკე | 18.03.1981 |
| **მცველები** | |
| 2. ანდრეას ბეკი | 13.03.1987 |
| 3. მათიას იაისლე | 05.04.1988 |
| 5. მარვინ კომპერი | 14.06.1985 |
| 14. იოზიპ შიმუნიჩი (ხორ) | 18.02.1978 |
| 16. ფაბიან ჯონსონი | 11.12.1987 |
| 25. ისააკ ვორსა | 02.06.1988 |
| 26. ანდრეას იბერტსბერგერი (ავს) | 27.07.1982 |
| 28. ედსონ ბრააფჰაიდი (ჰოლ) | 08.04.1983 |
| 29. იანიკ ვესტერგაარდი (დან) | 03.08.1992 |
| 35. კევინ კონრადი | 10.08.1990 |
| 37. მანუელ გულდე | 12.02.1991 |
| 41. ფილიპ კლინგმანი | 22.04.1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. სებასტიან რუდი | 28.02.1990 |
| 7. ბორის ვუკჩევიჩი | 16.03.1990 |
| 11. გილფი სიგურდსონი (ისლ) | 08.09.1989 |
| 17. ტობიას ვაისი | 30.07.1985 |
| 21. დომინიკ კაიზერი | 16.09.1988 |
| 22. რობერტო ფირმინიო (ბრა) | 02.10.1991 |
| 23. სეიად სალიჰოვიჩი (ბოსნია) | 08.10.1984 |
| 36. ფრანკო ძუკულინი (არგ) | 05.09.1990 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. სვენ შიპლოკი | 08.11.1988 |
| 10. რაიან ბაბელი (ჰოლ) | 19.12.1986 |
| 15. პენიელ მლაპა | 20.02.1991 |
| 18. პრინს ტაგო (გან) | 09.11.1986 |
| 19. ვედად იბიშევიჩი (ბოსნია) | 08.06.1984 |
| 20. ჩინედუ ობასი ოგბუკე (ნიგ) | 01.06.1986 |
| 34. დენის ტომალა | 16.08.1992 |
| 38. კაი ჰერდლინგი | 27.06.1984 |
| კოულეჯ მუსონა (ზიმ) | 21.06.1990 |
| ველინგტონი (ბრა) | 11.02.1988 |
| ***მწვრთნელი:** ჰოლგერ სტანისლავსკი* | *26.09.1969* |

### კიოლნი

**დაარსდა:** 13.02.1948
**სტადიონი:** „რაინ-ენერგი-შტადიონი” (50 000)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. მიხაელ რენზინგი | 14.05.1989 |
| 24. დანიელ შვაბკე | 19.07.1989 |
| 26. ტიმო ჰორნი | 12.05.1993 |
| 22. მირო ვარვოდიჩი (ხორ) | 15.05.1989 |
| **მცველები** | |
| 2. მიშო ბრეჩკო (სლოვენ) | 01.05.1984 |
| 3. იუსუფ მოჰამადი (ლიბ) | 01.07.1980 |
| 4. კრისტიან აიხნერი | 24.11.1982 |
| 12. ანდრეზინიო (ბრა) | 09.10.1981 |
| 16. კრისტოფერ შორხი | 30.01.1989 |
| 18. ტომოაკი მაკინო (იაპ) | 11.05.1987 |
| 21. პედრო ჟერომელი (ბრა) | 21.09.1985 |
| 23. კევინ მაკენა (კან) | 21.01.1980 |
| კონსტანტინოს იანულისი (საბ) | 09.12.1987 |
| **ნახევარმცველები** | |
| 5. საშა რიტერი | 23.03.1983 |
| 6. კევინ პეცონი | 22.03.1989 |
| 8. პეტიტი (პორ) | 25.09.1976 |
| 13. მარტინ ლანიგი | 11.07.1984 |
| 15. სლავომირ პეშკო (პოლ) | 19.02.1985 |
| 19. მატო ჟაჟალო (ხორ) | 24.05.1988 |
| 20. ადილ ჩიჰი (მარ) | 21.02.1988 |
| 25. ადამ მატუშიკი (პოლ) | 14.02.1989 |
| 27. კრისტიან კლემენსი | 04.08.1991 |
| 28. ოდისე როში (ალბ) | 22.05.1991 |
| 29. კრისტოფერ ბუხტმანი | 25.04.1992 |
| 30. ვინფრიდ სანუ (ბურ) | 16.03.1984 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. სებასტიან ფრაისი | 23.04.1985 |
| 9. მანასე იშიაკუ (ნიგ) | 09.01.1983 |
| 10. ლუკას პოდოლსკი | 04.06.1985 |
| 11. მილოვოე ნოვაკოვიჩი (სლოვენ) | 18.05.1979 |
| 14. ალექსანდრუ იონიტა (რუმ) | 05.08.1989 |
| 31. მარკ უთი | 24.08.1991 |
| 38. თიემო-ჟერომ კიალკა | 12.01.1989 |
| ***მწვრთნელი:** სტალე სოლბაკენი (ნორ)* | *27.02.1968* |

### ბაიერი (ლევერკუზენი)

**დაარსდა:** 01.07.1904
**სტადიონი:** „ბაი არენა“ (30 500)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. რენე ადლერი | 15.01.1985 |
| 22. დავიდ იელდელი (აშშ) | 01.10.1981 |
| 36. ფაბიან გიფერი | 17.05.1990 |
| **მცველები** | |
| 2. დანიელ შვააბი | 23.08.1988 |
| 3. შტეფან რაინარტცი | 01.01.1989 |
| 4. ბასტიან ოჩიპკა | 12.01.1989 |
| 5. მანუელ ფრიდრიხი | 13.09.1979 |
| 20. დანი და კოშტა | 13.07.1993 |
| 21. იომერ ტოპრაკი | 21.07.1989 |
| 24. მიხალ კადლეცი (ჩეხ) | 13.12.1984 |
| 27. გონსალო კასტრო | 11.06.1987 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. სიმონ როლფესი | 21.01.1982 |
| 7. ტრანკუილიო ბარნეტა (შვეიც) | 22.05.1985 |
| 8. ლარს ბენდერი | 27.04.1989 |
| 10. რენატო (ბრა) | 08.02.1988 |
| 13. მიხაელ ბალაკი | 29.09.1976 |
| 14. ჰანო ბალიტში | 02.01.1981 |
| 18. სიდნი სემი | 31.01.1988 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ანდრე შიურლე | 06.11.1990 |
| 11. შტეფან კისლინგი | 25.01.1984 |
| 19. ერენ დერდიოკი (შვეიც) | 12.06.1988 |
| 31. ნიკოლაი იორგენსენი (დან) | 15.01.1991 |
| 38. კარიმ ბელარაბი | 08.04.1990 |
| ***მწვრთნელი:** რობინ დუტი* | *24.01.1965* |

### მაინცი

**დაარსდა:** 16.03.1905
**სტადიონი:** „ბრუხვეგშტადიონი“ (20 300)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 29. კრისტიან ვეტკლო | 11.01.1980 |
| 33. ჰაინც მიულერი | 30.05.1978 |
| **მცველები** | |
| 2. ბო სვენსონი (დან) | 04.08.1979 |
| 3. ზდენეკ პოსპეხი (ჩეხ) | 14.12.1978 |
| 4. ნიკოლჩე ნოვესკი (მაკ) | 28.04.1979 |
| 5. ოიგენ გოპკო | 05.01.1991 |
| 8. რადოსლავ ზაბავნიკი (სერ) | 16.09.1980 |
| 15. იან კირხჰოფი | 01.10.1990 |
| 24. მალიკ ფათი | 29.10.1983 |
| 26. ნიკო ბუნგერტი | 24.10.1986 |
| 34. ფაბიან შიონჰაიმი | 14.02.1987 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. მარკო კალიჯური | 14.04.1984 |
| 7. იოგენ პოლანსკი | 17.03.1986 |
| 11. იუნუს მალი | 24.02.1992 |
| 14. იულ.ნ ბაუმგარტლინგერი (ავს.) | 02.01.1988 |
| 16. ფლორიან ჰელერი | 10.03.1982 |
| 17. ზოლტან შტიბერი (უნგ) | 16.10.1988 |
| 19. ელკინ სოტო (კოლ) | 04.08.1980 |
| 23. მარსელ რისსე | 17.12.1989 |
| 25. ანდრეას ივანშიტცი (ავსტრია) | 15.10.1983 |
| 27. ნოკოლაი მიულერი | 25.09.1987 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. სამი ალაგუი (ტუნ) | 28.05.1986 |
| 10. ერიკ-მაქსიმ ჩუპო მოტინგი (კამ) | 23.03.1989 |
| 13. ენტონი უჯა (ნიგ) | 20.11.1990 |
| 28. ადამ შალაი (უნგ) | 09.12.1987 |
| 30. დენიზ ილმაზი (თურ) | 26.02.1988 |
| 35. პეტარ სლიშკოვიჩი (ხორ) | 21.02.1991 |
| ***მწვრთნელი:** ტომას ტუხელი* | *29.08.1973* |

### ბორუსია (მიონხენგლადბახი)

**დაარსდა:** 01.08.1900
**სტადიონი:** „ბორუსია პარკი“ (54 067)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | 30.04.1992 |
| 21. იანის ბლასვიხი | 02.05.1991 |
| 33. კრისტოფერ ჰაიმეროთი | 01.08.1981 |
| **მცველები** | |
| 2. მათიას ციმერმანი | 16.06.1992 |
| 3. ფილიპ დემსი (ბელ) | 31.10.1978 |
| 4. როელ ბრუვერსი (ჰოლ) | 28.11.1981 |
| 17. ოსკარ ვენდტი (შვედ) | 24.10.1985 |
| 22. ტობიას ლეველსი | 22.11.1986 |
| 31. დანტე (ბრა) | 18.10.1983 |
| 39. მარტინ შტრანცლი (ავსტრია) | 19.06.1980 |
| **ნახევარმცველები** | |
| 8. ლუკას რუპი | 08.01.1991 |
| 11. მარკო როისი | 31.05.1989 |
| 13. რომან ნოიშტედტერი | 18.02.1988 |
| 14. ტორბენ მარქსი | 01.06.1981 |
| 15. პატრიკ ჰერმანი | 12.02.1991 |
| 16. ჰავარდ ნორდტვეიტი (ნორ) | 21.06.1990 |
| 18. ხუან არანგო (ვენ) | 17.05.1980 |
| 23. იუკი ოცუ (იაპ) | 24.03.1990 |
| 24. ტონი იანტშკე | 07.04.1990 |
| 26. მაიკლ ბრედლი (აშშ) | 31.07.1987 |
| 27. იულიან კორბი | 21.03.1992 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. რაულ ბობადილია (არგ) | 18.06.1987 |
| 10. იგორ დე კამარგო (რუმ) | 12.05.1983 |
| 15. ჯოშუა კინგი (ნორ) | 15.01.1992 |
| 19. მაიკ ჰანკე | 05.11.1983 |
| 20. მეთიუ ლეკიე (ავსტრალ) | 04.02.1991 |
| 25. მაჰამადუ იდრისუ | 08.03.1980 |
| 28. ელიას კაჩუნგა | 22.04.1992 |
| ***მწვრთნელი:** ლუსიენ ფავრი* | *02.11.1957* |

### ბაიერნი (მიუნხენი)

**დაარსდა:** 27.02.1900
**სტადიონი:** „ალიანს არენა“ (69 000)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. მანუელ ნოიერი | 27.03.1986 |
| 22. ჰანს-იორგ ბუტი | 28.05.1974 |
| 24. მაქსიმილიან რიდმიულერი | 04.01.1988 |
| 32. რუვენ ზატელმაიერი | 07.08.1987 |
| **მცველები** | |
| 2. ბრენო (ბრა) | 13.10.1989 |
| 5. დანიელ ვან ბუიტენი (ბელ) | 07.02.1978 |
| 13. რაფინია (ბრა) | 07.09.1985 |
| 17. ჟერომ ბოატენგი | 03.09.1988 |
| 21. ფილიპ ლამი | 11.11.1983 |
| 26. დიეგო კონტენტო | 01.05.1990 |
| 28. ჰოლგერ ბადშტუბერი | 13.03.1989 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. ფრანკ რიბერი (საფ) | 07.04.1983 |
| 10. არიენ რობენი (ჰოლ) | 23.01.1984 |
| 23. დანიელ პრანიჩი (ხორ) | 02.12.1981 |
| 27. დავიდ ალაბა (ავსტრია) | 24.06.1992 |
| 30. ლუის გუსტავო (ბრა) | 23.07.1987 |
| 31. ბასტიან შვაინშტაიგერი | 01.08.1984 |
| 39. ტონი კროოსი | 04.01.1990 |
| 44. ანატოლი ტიმოშჩუკი (უკრ) | 30.03.1979 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ნილს პეტერსენი | 06.12.1988 |
| 11. ივიცა ოლიჩი (ხორ) | 14.09.1979 |
| 25. თომას მიულერი | 13.09.1989 |
| 33. მარიო გომესი | 10.07.1985 |
| ***მწვრთნელი:** იუპ ჰაინკესი* | *09.05.1945* |

### ნიურნბერგი

**დაარსდა:** 04.05.1900
**სტადიონი:** „იზი-კრედიტ-შტადიონი“ (46 780)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. რაფაელ შეფერი | 30.01.1979 |
| 22. პატრიკ რაკოვსკი | 02.06.1993 |
| 30. ალექსანდერ შტეფანი | 15.09.1986 |
| **მცველები** | |
| 3. პერ ნილსონი (შვედ) | 15.09.1982 |
| 6. დომინიკ მარო | 04.03.1987 |
| 15. ტიმ კლოზე (შვეიც) | 09.05.1988 |
| 21. მარვინ პლატენჰარდტი | 26.01.1992 |
| 25. ხავიერ პინოლა (არგ) | 24.02.1983 |
| 26. ტიმოთი ჩანდლერი (აშშ) | 29.03.1990 |
| 38. ფილიპ ვოლშაიდი | 06.03.1989 |
| **ნახევარმცველები** | |
| 2. ტიმი სიმონსი (ბელგ) | 11.12.1976 |
| 7. მარკუს ფოილნერი | 12.02.1982 |
| 13. იენს ჰეგელერი | 22.01.1988 |
| 16. იური იუდტი | 24.07.1986 |
| 17. მიკე ფრანტცი | 14.10.1981 |
| 18. ალმოგ კოენი (კან) | 01.09.1988 |
| 20. დანიელ დიდავი | 21.02.1990 |
| 24. ვილსონ კამავუაკა (კონ) | 29.03.1990 |
| 27. მარკუს მენდლერი | 07.01.1993 |
| 28. მანუელ ზაიტცი | 01.08.1990 |
| 31. იულიან ვაისმაიერი | 04.11.1992 |
| 32. ფილიპ კლემენტი | 09.09.1992 |
| **თავდამსხმელები** | |
| 8. კრისტიან აიგლერი | 01.01.1984 |
| 9. ტომაშ პეკჰარტი (ჩეხ) | 26.05.1989 |
| 10. ალბერტ ბუნიაკუ (შვეიც) | 29.11.1983 |
| 14. რობერტ მაკი (სერ) | 08.03.1991 |
| 29. რუბინ ოკოტი (ავსტრია) | 06.06.1987 |
| 33. ალექსანდერ ესვაინი | 25.03.1990 |
| იან გეორგე | 31.01.1992 |
| ***მწვრთნელი:** დიტერ ჰეკინგი* | *12.09.1964* |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● გერმანია. ბუნდესლიგა 2011/2012 განაცხადები

### შალკე (გელზენკირხენი)

**დაარსდა:** 04.05.1904
**სტადიონი:** „ველტინს არენა აუფ შალკე" (61 673)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. რალფ ფერმანი | 27.09.1988 |
| 33. მათიას შობერი | 08.04.1976 |
| 36. ლარს უნერშტალი | 20.07.1990 |
| **მცველები** | |
| 2. ჰანს შარპეი (გან) | 29.06.1976 |
| 3. სერხიო ესკუდერო (ესპ) | 02.09.1989 |
| 4. ბენედიქტ ჰიოვედესი | 29.02.1988 |
| 6. ტიმ ჰუგლანდი | 11.06.1985 |
| 14. კირიაკოს პაპადოპულოსი (საბ) | 23.02.1992 |
| 21. კრისტოფ მეტცელდერი | 05.11.1980 |
| 22. აცუტო უჩიდა (იაპ) | 27.03.1988 |
| 23. კრისტიან ფუხსი (ავსტრია) | 07.04.1986 |
| **ნახევარმცველები** | |
| 10. ლუის ჰოლტბი | 18.09.1990 |
| 11. ალექსანდერ ბაუმიოჰანი | 23.01.1987 |
| 12. მარკო ჰიოგერი | 16.09.1989 |
| 16. იან მორავეკი (ჩეხ) | 01.11.1989 |
| 18. ხოსე მანუელ ხირადო (ესპ) | 29.06.1986 |
| 23. ჯერმეინ ჯონსი | 03.11.1981 |
| 24. პეერ კლუგე | 22.11.1980 |
| 28. კრისტოფ მორიტცი | 27.01.1990 |
| 30. ლევან ყენია (საქ) | 18.10.1990 |
| 31. იულიან დრაქსლერი | 20.09.1993 |
| 32. ჯოელ მატიპი (კამ) | 08.08.1991 |
| 40. ენტონი ანანი (გან) | 21.07.1986 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. რაული (ესპ) | 27.06.1977 |
| 8. ჩიპრიან მარიკა (რუმ) | 02.10.1985 |
| 9. ედუ (ბრა) | 30.11.1981 |
| 17. ჯეფერსონ ფარფანი (პერ) | 28.10.1984 |
| 19. მარიო გავრანოვიჩი (შვეიც) | 24.11.1989 |
| 25. კლაას-იან ჰუნტელაარი (ჰოლ) | 12.08.1983 |
| 26. ანდრეას ვიგელი | 27.07.1991 |
| **მწვრთნელი:** რალფ რანგნიკი | 29.06.1958 |

### შტუტგარტი

**დაარსდა:** 09.09.1893
**სტადიონი:** „მერსედეს-ბენც-არენა" (55 896)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. სვენ ულრაიხი | 03.08.1988 |
| 22. მარკ ციგლერი | 13.06.1976 |
| 30. ბერნდ ლენო | 04.03.1992 |
| **მცველები** | |
| 3. კრისტიან მოლინარო (იტა) | 30.07.1983 |
| 5. სერდარ ტასკი | 24.04.1987 |
| 6. გეორგ ნიდერმაიერი | 26.02.1986 |
| 14. მასა (მექ) | 20.10.1981 |
| 15. არტურ ბოკა (კოტ) | 02.04.1983 |
| 17. მატიო დელპიერი (საფ) | 26.04.1981 |
| 21. ხალიდ ბულარუზი (ჰოლ) | 28.12.1981 |
| 27. სტეფანო ჩელოცი | 02.11.1988 |
| 32. შტეფან ლანგი | 14.08.1993 |
| 34. პატრიკ ბაუერი | 28.10.1992 |
| 38. ერმინ ბიჩაქჩიჩი | 24.01.1990 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. ვილიამ კვისტი (დან) | 24.02.1985 |
| 8. ზდრავკო კუზმანოვიჩი (სერ) | 22.09.1987 |
| 13. ტიმო გებჰარდტი | 12.04.1989 |
| 16. იბრაჰიმა ტრაორე (გვი) | 21.04.1988 |
| 20. კრისტიან გენტნერი | 14.08.1985 |
| 24. მამადუ ბა (გვი) | 25.04.1988 |
| 25. ტობიას რათგები | 03.05.1982 |
| 26. რაფაელ ჰოლცჰაუერი (ავსტრია) | 16.02.1993 |
| 28. ტამაშ ჰაინალი (უნგ) | 15.03.1981 |
| 40. კევინ შტიოგერი (ავსტრია) | 27.08.1993 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. მარტინ ჰარნიკი (ავსტრია) | 10.06.1987 |
| 11. ჟოან აუდელი (საფ) | 12.12.1983 |
| 18. კაკაუ (ბრა) | 27.03.1981 |
| 23. იულიან შიბერი | 13.02.1989 |
| 29. პაველ პოგრებნიაკი (რუს) | 08.11.1983 |
| 31. შინჯი ოკაზაკი (იაპ) | 16.04.1986 |
| 33. პასკალ ბრაიერი | 02.02.1992 |
| 36. კრისტოფ ჰემლაინი | 16.12.1990 |
| 37. ალექსანდერ რიმანი | 12.04.1992 |
| 39. ალექსანდერ აშაუერი (ავსტრია) | 14.03.1992 |
| ***მწვრთნელი:*** *ბრუნო ლაბადია* | *08.02.1966* |

### ვოლფსბურგი

**დაარსდა:** 12.09.1945
**სტადიონი:** „ფოლკსვაგენ-არენა" (30 000)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. დიეგო ბენალიო (შვეიც) | 08.09.1983 |
| 12. ანდრე ლენცი | 19.11.1973 |
| 35. მარვინ ჰიტცი (შვეიც) | 18.09.1987 |
| **მცველები** | |
| 2. პატრიკ ოხსი | 14.05.1984 |
| 3. არნე ფრიდრიხი | 29.05.1979 |
| 4. მარსელ შეფერი | 07.06.1984 |
| 17. ალექსანდერ მადლუნგი | 11.07.1982 |
| 19. პეტერ პეკარიკი (სლოვაკ) | 30.10.1986 |
| 23. მარკო რუსი | 04.08.1985 |
| 31. რობინ კნოხე | 22.05.1992 |
| 34. სიმონ კიაერი (დანია) | 26.03.1989 |
| 36. ბიარნე თოელკე | 11.04.1992 |
| 39. მიხაელ შულცე | 13.01.1989 |
| **ნახევარმცველები** | |
| 5. ია ჩეოლ კოო (ს. კორ) | 27.02.1989 |
| 7. ჟოსუე (ბრა) | 19.07.1979 |
| 8. თომას კალენბერგი (დან) | 20.03.1983 |
| 11. ჰასან სალიჰამიჯიჩი (ბოს) | 01.01.1977 |
| 13. მაკოტო ჰასებე (იაპ) | 18.01.1984 |
| 14. თოლგა ჩიგერჩი (თურ) | 23.03.1992 |
| 15. კრისტიან ტრეში | 01.09.1987 |
| 22. მატეუშ კირხი (პოლ) | 13.06.1990 |
| 24. აშკან დეჟაგა | 05.07.1986 |
| 28. დიეგო (ბრა) | 28.02.1985 |
| 29. იან პოლაკი (ჩეხ) | 19.03.1991 |
| 30. იოჰანდრუ ოროსკო (ვენ) | 14.03.1981 |
| **თავდამსხმელები** | |
| 6. თუნჯაი სანლი (თურ) | 16.01.1982 |
| 9. სრდიან ლაკიჩი (ხორ) | 02.10.1983 |
| 18. მარიო მანჯუკიჩი (ხორ) | 21.05.1986 |
| 21. კევინ შაიდჰაუერი | 13.03.1992 |
| 33. პატრიკ ჰელმესი | 01.03.1984 |
| 40. სებასტიან პოლტერი | 01.04.1991 |
| ***მწვრთნელი:*** *ფელიქს მაგათი* | *26.07.1953* |

### კაიზერსლაუტერნი

**დაარსდა:** 02.06.1900
**სტადიონი:** „ფრიც-ვალტერ-შტადიონი" (48 500)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ტობიას ზიპელი | 22.03.1988 |
| 27. მარკო კნალერი (ავსტრია) | 26.03.1987 |
| 29. კევინ ტრაპი | 08.07.1990 |
| **მცველები** | |
| 2. იან შიმუნეკი (ჩეხ) | 20.02.1987 |
| 3. ლეონ იესენი (დან) | 11.06.1986 |
| 5. მარტინ ამედიკი | 06.09.1982 |
| 6. მათიას აბელი | 22.06.1981 |
| 13. თანოს პეცოსი (საბ) | 05.06.1991 |
| 14. ლუკასი (ბრა) | 14.04.1991 |
| 17. ალექსანდერ ბუგერა | 08.08.1978 |
| 20. როდნი (ბრა) | 11.09.1985 |
| 23. ფლორიან დიკი | 09.11.1984 |
| 34. ვილი ორბანი | 03.11.1992 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. ბასტიან შულცი | 10.07.1985 |
| 7. ოლივერ კირხი | 21.08.1982 |
| 8. კრისტიან ტიფერტი | 18.02.1982 |
| 10. ოლჩაი შაჰანი (თურ) | 26.05.1987 |
| 14. ჟილ ვერმუთი (ისრ) | 05.08.1985 |
| 15. კლემენს ვალხი (ავსტრ) | 10.07.1987 |
| 19. ირჟი ბილეკი (ჩეხ) | 04.11.1983 |
| 21. პიერ დე ვიტი | 26.09.1987 |
| 22. ივო ილიჩევიჩი (ხორ) | 14.11.1986 |
| 25. სტივენ რივიჩი (ხორ) | 09.08.1985 |
| 28. კოსტას ფორტუნისი (საბ) | 16.10.1992 |
| 38. ალან სტულინი (პოლ) | 05.06.1990 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ითაი შეხტერი (ისრ) | 28.06.1983 |
| 10. ჩადლი ამრი (ალჟ) | 14.12.1984 |
| 11. ილიან მიჩანსკი (ბულ) | 20.12.1985 |
| 16. რიჩარდ სუკუტა-პასუ | 24.06.1990 |
| 26. სტივენ ცელნერი | 14.03.1991 |
| 30. დორგე კუემაა (კამ) | 28.06.1983 |
| 32. ადამ ნემეცი | 02.09.1985 |
| იულიან დერშტროფი | 05.01.1992 |
| ***მწვრთნელი:*** *მარკო კურცი* | *16.05.1969* |

### ჰერტა (ბერლინი)

**დაარსდა:** 25.07.1892
**სტადიონი:** „ოლიმპიაშტადიონი" (74 244)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. მაიკელ ერტსი (ჰოლ) | 26.06.1976 |
| 21. საშა ბურხერტი | 30.10.1989 |
| 34. რიხარდ შტრებინგერი (ავსტრია) | 14.02.1993 |
| 35. თომას კრაფტი | 22.07.1988 |
| **მცველები** | |
| 2. კრისტიან ლელი | 29.08.1984 |
| 3. ლევან კობიაშვილი (საქ) | 10.07.1977 |
| 4. რომან ჰუბნიკი (ჩეხ) | 06.06.1984 |
| 5. ანდრე მიატოვიჩი (ხორ) | 13.12.1979 |
| 6. კრისტოფ იანკერი | 14.02.1985 |
| 7. მაიკ ფრანცი | 05.08.1981 |
| 12. რონი (ბრა) | 11.05.1986 |
| 14. სებასტიან ნოიმანი | 18.02.1991 |
| 22. კაკა (ბრა) | 16.05.1981 |
| 26. ნიკო შულცი | 01.04.1993 |
| 27. ალფრედო მორალესი | 01.04.1993 |
| **ნახევარმცველები** | |
| 8. ანდრეას ოტლი | 01.03.1985 |
| 18. პეტერ ნიმაიერი | 22.11.1983 |
| 20. პატრიკ ებერტი | 17.03.1987 |
| 23. ფანოლ პერდედაი | 16.07.1991 |
| 28. ფაბიან ლუსტენბერგერი (შვეიც) | 02.05.1988 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ადრიან რამოსი (კოლ) | 22.01.1986 |
| 10. რაფაელი (ბრა) | 28.03.1985 |
| 11. თუნაი თორუნი (თურ) | 21.04.1990 |
| 13. ნიკიტა რუკავიტსია (ავსტრალ) | 22.06.1987 |
| 16. რობ ფრენდი (კან) | 23.01.1981 |
| 19. პიერ-მიშელ ლასოგა | 15.12.1991 |
| 25. მარკო დიურიჩინი (ავსტრია) | 12.12.1992 |
| 33. აბუ-ბაკარ კარგბო | 21.12.1992 |
| ***მწვრთნელი:*** *მარკუს ბაბელი* | *08.09.1972* |

### აუგსბურგი

**დაარსდა:** 08.08.1907
**სტადიონი:** „ეს-გე-ელ არენა" (30 660)

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. სიმონ იენტცში | 04.05.1976 |
| 30. მოჰამედ ამსიფი | 07.02.1989 |
| 37. იოანის გელიოსი | 24.04.1992 |
| **მცველები** | |
| 2. პაულ ვერჰეგი (ჰოლ) | 01.09.1983 |
| 3. ჯიბრილ სანკო (სიერა ლეონე) | 15.05.1983 |
| 4. დომინიკ რაინჰარდი | 19.12.1984 |
| 5. უვე მიორლე | 03.12.1979 |
| 6. იონას დე რუკი (ბელ) | 20.12.1979 |
| 8. აქსელ ბელინგჰაუზენი | 17.05.1983 |
| 15. სებასტიან ლანგკამპი | 15.01.1988 |
| 18. იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი | 23.09.1984 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. ჰაიმე ჰოსოგაი (იაპ) | 10.06.1986 |
| 10. დანიელ ბაიერი | 18.05.1984 |
| 13. ტობიას ვერნერი | 19.07.1985 |
| 17. მარსელ დე იონგი (კან) | 15.10.1986 |
| 20. მარსელ ნდიენგი (კამ) | 06.05.1982 |
| 21. დომინიკ პაიტცი | 11.09.1984 |
| 23. ენდრიუ სინკალა (ზამ) | 18.06.1979 |
| 24. დანიელ ბრინკმანი | 29.01.1986 |
| 26. ლორენცო დავიდსი (ჰოლ) | 04.09.1986 |
| 28. აკაკი გოგია | 18.01.1992 |
| 29. მორიტც ნებელი | 25.09.1991 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ტორსტენ იორლი | 07.01.1986 |
| 11. ნანდო რაფაელი | 10.01.1984 |
| 19. პატრიკ მაიერი | 28.03.1988 |
| 22. ედმონდ კაპლანი (ალბ) | 31.07.1982 |
| 27. მიხაელ თურკი | 28.05.1976 |
| 33. საშა მიოლდერსი | 20.03.1985 |
| 36. შტეფან ჰაინი | 27.09.1988 |
| **მწვრთნელი:** იოს ლუჰუკაი | 13.06.1963 |

მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

## ● რომა



ლუის ენრიკე

# ლუის ენრიკე თავს იზღვევს

## ...და როსის უმიზნებს

"რომას" მესვეურებმა უკვე არაერთი საინტერესო ტრანსფერი გაჩარხეს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს შეელიენ. მაგალითად, **ფილიპ მექსეს**, რომელმაც "მილანში" გადასვლით დიდი ხნის სურვილი აისრულა და **მირკო ვუჩინიჩის**, რომელიც მომდევნო სეზონიდან "იუვენტუსის" ღირსებას დაიცავს. მიუხედავად ასეთი დანაკარგისა, "რომას" გულშემატკივრები ოპტიმიზმით არიან აღსავსე და **ლუის ენრიკეზე** დიდ იმედებს ამყარებენ. მისი პერსონისადმი ასეთმა მიდგომამ "რომას" ესპანელი თავკაცი ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა, რაზეც მისი კომენტარი ნათლად მეტყველებს:

*"მინდა აქედანვე აღვნიშნო, რომ ჯადოქარი არ ვარ და ხელის ერთი აღებით უძლეველ გუნდს ნამდვილად ვერ ჩამოვაყალიბებ. ერთი ვიცი, რომ ცდას არ დავაკლებთ და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს, როგორი გუნდი გვეყოლება მომდევნო სეზონში, ამის პროგნოზირება ურთულესი საქმეა, რადგან გუნდში ახალი მოსული ვარ და გვინდა თუ არ გვინდა, ადაპტაციისთვის გარკვეული პერიოდი მაინც საჭიროა. ისე კი, საწვრთნელი პროცესი ძალიან კარგად მიმდინარეობს და ფეხბურთელთა მონდომება თვალშისაცემია".*

ლუის ენრიკეს **მაარტენ სტეკელენბურგზეც** ჰკითხეს აზრი, კიპერზე, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ ამსტერდამის "აიაქსიდან" სწორედ "ჯალოროსიში" გადავიდა – აქვე, ესპანელი სპეციალისტის მოსაზრება: *"ჩემი აზრით, სტეკელენბურგი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო კიპერია და ამაში მსოფლიოს ჩემპიონატისას ნათლად დავრწმუნდი. ის, რომ ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები მუნდიალის ფინალში გავიდა, დიდწილად სწორედ მარტენის დამსახურება გახლდათ. ამიტომ, როდესაც მისი გადაბირების შანსი მოგვეცა, ერთი წუთითაც არ გვიფიქრია და გადავდგით ეს ნაბიჯი. ეჭვი არ მეპარება, რომ სტეკელენბურგი გაამართლებს ჩვენს იმედებს და თავის საქმეს უმაღლეს დონეზე შეასრულებს. რაც შეეხება მირკო ვუჩინიჩის ტრანსფერს, ეს ამბავი არ გამკვირვებია, რადგან ჩამოვედი თუ არა რომში, მაცნობეს, რომ ჩერნოგორიელს კლუბის გამოცვლა სურდა. სიამოვნებით დავიტოვებდი, მაგრამ როდესაც ფეხბურთელს შენთან თამაში არ სურს, ან უნდა გაყიდო, ან საერთოდ გაუშვა – ძალიან კარგია, რომ ამ შემთხვევაში გასხვისება მოხდა და ამით ჩვენმა კლუბმაც იხეირა. ვუჩინიჩს წარმატებებს ვუსურვებ, ჩვენ კი ჩვენი გზა გვაქვს გასავლელი".*

ამასობაში, ლუის ენრიკეს უკვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები და ეს მაშინ, როდესაც სეზონი ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ესპანელის წინააღმდეგ ხმა გუნდის ცოცხალმა ლეგენდამ **ბრუნო კონტიმ** აღიმაღლა, რომელიც სულ ახლახან გაათავისუფლეს კლუბის სპორტული დირექტორის პოსტიდან და მის ადგილზე **ვალტერ საბატინი** დანიშნეს. შესაძლოა, სწორედ ამან გამოიწვია კონტიში ასეთი აგრესია – დიახ, აგრესია და თუ არ გჯერათ, შეგიძლია მის კომენტარს გაეცნოთ:

*"სიმართლე გითხრათ, „რომას" ახალი სამწვრთნელო შტაბის მუშაობით იმედგაცრუებული ვარ, რადგან ჯერჯერობით, აშკარად წამგებიან ნაბიჯებს დგამენ. მარტო ის რად ღირს, რომ გუნდის სამი ლიდერი: ფილიპ მექსე, მირკო ვუჩინიჩი და იონ-არნე რიისე გაასხვისეს. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამ სამ მოითამაშეს არაფრისდიდებით არ გავუშვებდი. სიმართლე გითხრათ, "რომას" პერსპექტივებს ეჭვის თვალით ვუყურებ და საკმაოდ სკეპტიკურად ვარ განწყობილი – იმედია ვცდები და ჩემი ვარაუდი არ გამართლდება".*

საინტერესოა, კიდევ რა გეგმები აქვთ სატრანსფერო ბაზარზე "რომას' მესვეურებს? – "კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდია შანსი, **ვალტერ საბატინი ჯუზეპე როსის** მიმართულებით გააქტიურდეს. "ვილიარეალის" 22 წლის ფორვარდის მიმართ ჯერ "ბარსელონა" იჩენდა ინტერესს, შემდეგ კი "იუვენტუსი", თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგა, კატალონიელებმა **ალექსის სანჩესზე** შეაჩერეს არჩევანი, ტურინელებმა კი მირკო ვუჩინიჩზე. შესაბამისად, როსი კვლავ გასაყიდ ფეხბურთელთა რიცხვშია და საინტერესო წინადადებებს ელოდება. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, რომაელები მზად არიან, რომ ჯუზეპეს სანაცვლოდ ესპანური კლუბის ბიუჯეტში 20 მილიონი ევრო გადარიცხონ – ამ ამბავს კლუბის სპორტული დორექტორი ვალტერ საბატინი პრაქტიკულად ადასტურებს:

*"დასამალი არაფერია, ჯუზეპე როსის მიმართ მართლაც გვაქვს ინტერესი და უახლოეს პერიოდში კონკრეტულ ნაბიჯებსაც გადავდგამთ. ჯერ ვერ გეტყვით, როგორ წარიმართება მოლაპარაკების პროცესი, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ წარმატებით დასრულდება. მაქსიმალურად ვცდილობთ, ლუის ენრიკეს ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, რათა ისეთი შედეგი მივიღოთ, როგორსაც ველოდებით".*

ვერ გეტყვით, რა შედეგს ელოდება ვალტერ საბატინი, მაგრამ ერთი კი ნათელია, ლუის ენრიკეს ახალი „ბარსელონასა" ჩამოყალიბება სურს, შეტევის ხაზში აქცენტს აშკარად ტანმორჩილ, მოძრავ და ტექნიკურ ფეხბურთელებზე აკეთებს – **ბოიან კრკიჩი** უკვე გადაიბარა და უკვე **ჯუზეპე როსის** მიმართულებით აპირებს გააქტიურებას, რომელიც სწორედ ასეთ ფეხბურთელთა კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

პრესასთან "რომას" გამოცდილმა უკანახაზელმა **ნიკოლას ბურდისომაც** გააკეთა კომენტარი და შემდეგი განაცხადა: *"მირკო ვუჩინიჩი და ფილიპ მექსე კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათი წასვლით გუნდი ნამდვილად არ დასუსტდება. ჯერ ერთი, ახალი ფეხბურთელები დაგვემატენ და მეორე, "რომაში" შეუცვლელი არც ერთი ფეხბურთელი არ არის. ასე რომ, უკან მოხედვის დრო ნა,მდვილად არ არის და იმაზე უნდა ვიფიქროთ, რაც შეიძლება კარგად მომზადებულნი შევხვდეთ ახალ სეზონს".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. ინტერვიუ


ბარსას ვარსკვლავები დელფინების გვერდით კარგად გაერთნენ

# გვარდიოლა: მხოლოდ ტიტულები

“ბარსელონაში” ამ ეტაპზე ყველაფერი მშვიდადაა. გუნდი ამჟამად მაიამიშია და ფეხბურთელები ვარჯიშის პარალელურად მშვენივრად ერთობიან. ყოველდღიური მზადების თაობაზე ჟურნალისტთა ინტერესი ბუნებრივია. სწორედ ეს გაითვალისწინა ხოსეპ გვარდიოლამ და “ეკიპის” ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა. მან ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა. ზოგადად კი განაცხადა, რომ ასეთ მხურვალე მხარდაჭერას ამერიკელი გულშემატკივრებისგან არ ელოდა. მან ადგილობრივი ფანების ენთუზიაზმი ბარსელონელთა სიყვარულსაც კი გაუთანაბრა. მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

**- სეზონის დაწყებამდე 2 კვირაზე ნაკლები რჩება. როგორ მიდის მზადება?**

- ვემზადებით გეგმის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა. საკონტროლო მატჩებში მიღწეული შედეგები იმედიანად განგვაწყობს. შეკრება საშუალებას აძლევს ზოგიერთ ფეხბურთელს, უკეთ შეიგრძნოს პირველი გუნდის სპეციფიკა. ამ ასპექტს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ.

**- დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულაო, რისი თქმა გსურთ, რომ ახალ ტრანსფერებს კიდევ უნდა ველოდეთ?**

- ტრანსფერებისთვის წერტილის დასმა ჯერ არც გვიფიქრია. ჩვენ კიდევ გვჭირდება ერთი ფეხბურთელი. სახელს ნუ მკითხავთ, რადგან ვიზეც ვლაპარაკობ, ისედაც ხვდებით. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ დუბლებში ჩვენთან უამრავი ტალანტი იზრდება. ჩვენ მათი იმედიც გვაქვს. არასოდეს გვავიწყდება, რომ ჩვენი საფეხბურთო სკოლა გუნდის მომავალია.

**- სეზონი “რეალთან” სუპერთასის მატჩებით იხსნება. უკვე იცით თუ არა, როგორ ითამაშებს თქვენი გუნდი?**

- ჯერ არა. სამუშაო ჯერ კიდევ წინ გვაქვს იქამდე, ვიდრე თამაშის გეგმას ჩამოვაყალიბებ. ამ თამაშზე ერთადერთი რამის თქმა შემიძლია: ეს იქნება გუნდების დაპირისპირება, რომელთაც სურთ ამ ტიტულის მოგება. ამ წუთას ერთადერთი რაზეც ვფიქრობ, ესაა ზოგადად სეზონისთვის გუნდის საუკეთესოდ მომზადება. ფეხბურთელები პირველ მატჩებს იდეალურ ფორმაში უნდა შეხვდნენ. შვებულებიდან ჯერ ყველა ფეხბურთელი არც გამოსულა. ზოგიერთი კი ძველ ტრავმებს იმუშებს. ასე რომ, მათ ფიზიკურ ფორმაზე ჯერ კიდევ სამუშაო გვაქვს. თუმცა სანერვიულო არაფერია, ვიცი, რომ ყველაფერი მოგვარდება.

**- “ბარსელონა” ევროპულ არენაზე აგერ უკვე სამი წელია დომინირებს. რას ფიქრობთ ახალ სეზონზე?**

- მომავალ სეზონზე ფიქრით თავს არ ვილლი. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ კარგი თამაში და მოვიგოთ ტიტულები. დიახ, “ბარსა” წამყვან როლებზეა ევროპაში, მაგრამ ამაზე ფიქრი შორს წაგვიყვანს. არავინ იცის, ეს კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება. მუშაობით კი ვმუშაობთ, რომ არც მომავალში შეიცვალოს რამე. დარწმუნებული ვარ, მომავალი წელინადი ჩვენთვის უფრო რთული იქნება, რადგან ლიდერთან ყველა ცდილობს თავის გამოჩენას.

**- ბუნებრივია, იოლად არაფერი მოვა. თქვენ ხომ “რეალთან” დაპირისპირებები გელით.**

- “რეალთან” მატჩები სეზონის შედეგებს არ განსაზღვრავს. ერთადერთი რაც მაინტერესებს, ეს ტიტულების მოგებაა.

როგორც შესავალში მოგახსენეთ, ბარსელონელები მაიამიში იმყოფებიან. ისინი ამ დღეებში ადგილობრივ “ჩივასს” დაუპირისპირდებიან. თუკი ფეხბურთელებს ქვიშიან სანაპიროზე ნებივრობისთვის დრო მაინცდამაინც არ აქვთ, ამის კომპენსაციას გასართობ ღონისძიებებზე დასწრებით ახერხებენ. ხელმძღვანელობამ **ვიქტორ ვალდესს, სერხიო ბუსკეტსს, ჩავის, დავიდ ვილიასა** და **პედრო როდრიგესს** ნება დართო მაიამის სახელგანთქმულ ოკეანარიუმში წასულიყო. ბუნებრივია, ევროპელ სტუმრებს ადგილზე ღირსეული დახვედრა მოუწყვეს. მათ ჰიდროკოსტიუმები ჩააცვეს და უზარმაზარ აუზში დელფინებთან ერთად ცურვის საშუალება მისცეს. ფეხბურთელებმა მათთან სახელდახელოდ წყალბურთიც ითამაშეს. ბუნებრივია, ამ პროცესს კვალიფიციური მომთვინიერებლები ადევნებდნენ თვალს.


ხოსეპ გვარდიოლა

ამბები

## ფეიენოორდს ფული არ ჰყოფნის

“ჰერენვენის” 22 წლის თავდამსხმელის **ბას დოსტის** საყიდლად “ფეიენოორდს” საკმარისი თანხა არ გააჩნია. ამ ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას იანვარში “აიაქსი” ცდილობდა, თუმცა უარი მიიღო, ახლა კი მისი გადაბირება როტერდამელებმა მოისურვეს. ჰოლანდიური “ფუტბოლ ინტერნეშენელის” ინფორმაციით, “ჰერენვენი” თავდამსხმელში 5 მილიონ ევროს ითხოვს, რაც “დე კუიპის” მკვიდრთათვის ძალიან დიდი თანხაა. “ფეიემ” ამ ზაფხულს წამყვანი თავდამსხმელი **ლუკ კასტენიოსი** “ინტერში” გაუშვა და ახლა მის შემცვლელს ეძებს. დოსტის გარდა “ფეიენოორდში” დენჰააგელი **ლეკს იმერსის** კანდიდატურასაც განიხილავენ, თუმცა ჰააგელთა განცხადებით, ისინი თავის ლიდერს 5 მილიონ ევროდაც არ შეელევიან.

## ფალკაო და გუარინი დაბრუნდნენ



კვირას “ლიონთან” 2:1 დამარცხების შემდეგ “პორტუმ” ფეხბურთელებს ერთდღიანი დასვენების საშუალება მისცა. პორტუგალიის ჩემპიონებმა ვარჯიში სამშაბათსვე განაახლეს. ყველაზე სასიამოვნო ინფორმაცია კლუბის ფანებისთვის ის იყო, რომ მეორე დღეს გუნდს კოპა ამერიკის კოლუმბიელი მონაწილეები **რადამელ ფალკაო** და **ფრედი გუარინი** შეუერთდნენ.

## არგენტინა და ურუგვაი ერთად

არგენტინამ და ურუგვაიმ ფიფაში მსოფლიოს 2030 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე ერთობლივი განაცხადის შეტანა გადაწყვიტეს. ეს იდეა პირველ ეტაპზე საფეხბურთო ჩინოვნიკებს მოუვიდათ და ის ქვეყნების პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა მოიწონეს. არგენტინის პრეზიდენტმა **კრისტინა ფერნანდესმა** და ურუგვაის პირველმა პირმა **ხოსე მუხიკამ** უკვე შექმნეს ერთობლივი კომისია, რომელიც ამ საკითხზე მუშაობას დაიწყებს.

## დეშამი ფეხბურთელებს ყიდის

ფრანგული სააგენტოების ცნობით, “რომამ” და “მარსელმა” უკვე მიაღწიეს შეთანხმებას **ლუჩო გონსალესის** ტრანსფერთან დაკავშირებით. კლუბებს ერთმანეთში გასარკვევი აღარაფერი აქვთ, თუმცა ტრანსფერი შეიძლება მაინც ჩაიშალოს, რადგან “ჯალოროსის” 30 წლის ფეხბურთელთან ანაზღაურების საკითხი ჯერ არ მოუგვარებია. არგენტინელი ამჟამინდელი კლუბის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, მას წელიწადში 3 მილიონ ევროს უხდიან, “რომა” კი მას სულ რაღაც 2 მილიონს სთავაზობს. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ კლუბს არ გაუჭირდება ფეხბურთელის მოხიბვლა, თუკი 2,5 მილიონს შესთავაზებს.

ლუჩოს გარდა “მარსელს” უახლოეს დღეებში დატოვებს ბრაზილიელი **ბრანდაო.** “გრემიოს” აღმასრულებელი დირექტორის **პაულიუ პელაიეს** თქმით, ტრანსფერს წერტილი უახლოეს 24 საათში დაესმება. ფრანგები 31 წლის თავდამსხმელს ისევ იჯარით გაუშვებენ.

პარი სენ-ჟერმენი


სად ითამაშებს დიმიტარ ბერბატოვი ახალ სეზონში, ეს ჯერ თავადაც არ იცის

# პარიზელთა მადა არ ცხრება

“პარი სენ-ჟერმენმა” “რომას” თავდამსხმელის **მარკო ბორიელოს** შეძენის სურვილი გამოთქვა. როგორც ჩანს, ფრანგები ან იტალიელს შეიძენენ, ან ბულგარელ **დიმიტარ ბერბატოვს**. “გაძეტა დელო სპორტის” ინფორმაციით, “ჯალოროსი” თავის ფეხბურთელს 8 მილიონ ევროდ აფასებს. შარშან ეს ფეხბურთელი “რომაში” იჯარით თამაშობდა და დედაქალაქელებმა მისი კონტრაქტი “მილანისგან” მაისში გამოისყიდეს. თუმცა გუნდში **ლუის ენრიკეს** დანიშვნისა და **ბოიან კრკიჩის** მოსვლის შემდეგ ეჭვი არავის ეპარება, რომ ესპანელი აქცენტს ახალგაზრდა თანამემამულეზე გააკეთებს. თავად ფეხბურთელი სავარაუდო ტრანსფერზე კომენტარს არ აკეთებს.

რაც შეეხება ბერბატოვის ტრანსფერს, “მანჩესტერმა” დაადასტურა, რომ ოფიციალური წინადადება პარიზელთაგან უკვე მიიღო, მაგრამ ამ ეტაპზე გარკვეული არაფერია. აღსანიშნავია, რომ “ალისფერმა ეშმაკებმა” მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი მარსელში გამართეს, სადაც “მანიუს” მეორე შემადგენლობა “მარსელს” გაეჯიბრა და 8:2 წააგო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ “პარი სენ-ჟერმენმა” წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე დიდი თანხები გაიღო. ხარჯი უკვე 100 მილიონს ასცდა, მათ შორის “ლურჯ-წითლებმა” 43 მილიონი არგენტინელ **ხავიერ პასტორეში** გადაიხადეს.

აქვე გაცნობებთ, რომ იტალიის ნაკრების მეკარის **სალვატორე სირიგუს** გადაბირებამდე **ლეონარდო** იტალიიდან მეორე მეკარის, ბრაზილიელი **ჟულიო სერჟიოს** შეძენას გეგმავდა. ამის თაობაზე თავად ფეხბურთელი ჰყვება: *“დიახ, მართალია, ლეონარდომ კონტრაქტი რამდენჯერმე შემომთავაზა. ის ცდილობდა აეხსნა ჩემთვის პარიზული კლუბის ფილოსოფია და მიზნები, მაგრამ “ლეჩეს” დამრიგებლის ეუსებიო დი ფრანჩესკოსთვის სიტყვა მქონდა მიცემული, რომ მათთან გადავიდოდი. სიტყვის გატეხა კი არაფრად მიღირდა. ბედნიერი ვარ, რომ ეს არჩევანი გავაკეთე, რადგან აქ ძალიან თბილად მიმიღეს”.*

ბორდო



# ელვამ ბორდო შეარყია

ბორდოს ბაზა დღეს სულაც არ ჰგავს ასეთ წალკოტს, სადაც მხოლოდ ვარჯიშზე უნდა იფიქრო

“დენ ჰააგის” ყოფილი ბომბარდირი, “ანდერლეხტის” 31 წლის წევრი **დმიტრი ბულიკინი** შეიძლება “ბორდოში” გადაბარგდეს. “ინოპროსპორტის” ცნობით, ჟირონდელებმა ბელგიელებს შესაფერისი წინადადებით უკვე მიმართეს – 2,5 მილიონი ევრო ვეტერანი თავდამსხმელის სანაცვლოდ. რუსი შემტევის “აქციები” მას მერე გაძვირდა, რაც მან “დენ ჰააგში” ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, სადაც 30 შეხვედრაში 21 გოლი გაიტანა. ბელიგიის ჟუპილერლიგის ყველაზე ძვირადანაზღაურებად ფეხბურთელს (“ანდერლეხტი” მას წელიწადში 1 მილიონ ევროს უხდის) იმედი ჰქონდა, რომ კარიერის გაგრძელების შანსი ჰოლანდიაშივე მიეცემოდა, მაგრამ მისით “აიაქსის” დაინტერესების შესახებ გავრცელებული ხმები **ფრანკ დე ბურმა** ცალკე უარყო და **დანი ბლინდმა** ცალკე. ჰოლანდიური პრესის ცნობით, ტრანსფერს წინ აღარაფერი უდგას.

“ეკიპის” ცნობით, აკვიტანიის რეგიონის დასავლეთ ნაწილში პატარა ქალაქ ლე აიანში “ბორდოს” საწვრთნელი ბაზა ხანძარმა სერიოზულად დააზიანა, თუმცა კიდევ უფრო დიდი ზარალი მეხანძრეების ოპერატიული მოქმედების წყალობით კლუბმა თავიდან აიცილა. მიზეზი რეგიონში არნახული ძალის ქარიშხალი გახდა, რომელსაც ჭექა-ქუხილი მოჰყვა. ბაზას ელვა დაეცა, რამაც ბუნებრივია ხანძარი გამოიწვია. ქარიშხლის გარდა რეგიონში ძალიან ძლიერი წვიმაც იყო, რამაც ბაზაზე სავარჯიშო მოედანი პრაქტიკულად გამოუსადეგარი გახადა. ამას გარდა წვიმამ შენობებშიც შეაღწია და მაგალითად სატრენაჟორო დარბაზი დატბორა. ყოველივე ამის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ გუნდის ვარჯიშები დროებით შეაჩერა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# ცოცხალი ვარ, ცოცხალი...




**ფრენკ ლემპარდს** „ჩელსიში“ თამაშის ათი წელიწადი შეუსრულდა და აცხადებს, რომ ასაკის მიუხედავად მისი კარიერა ჯერ დასასრულისგან შორს არის. 33 წლის ნახევარმცველი, რომელზეც ამ ბოლო დროს სულ მეტად და მეტად ამბობენ, რომ ძველებურად ველარ თამაშობს, საპირისპირო აზრისაა. მას მიაჩნია, რომ უმაღლეს დონეზე გამოსვლის ძალა ჯერ კიდევ შესწევს. რასაკვირველია, პროფესიულ ფეხბურთში წლობით „ნომარ“ ფეხბურთელს ორგანიზმი ახალგაზრდულად აღარ ემორჩილება, მაგრამ მას ისევე სწყურია თამაში და წარმატება, როგორც 2001 წელს, როდესაც „ჩელსიმ“ „ვესტ ჰემისგან“ 11 მილიონ ფუნტად იყიდა.

*„დრო შეიცვალა, — ამბობს ლემპარდი, — ხალხი მეტისმეტად იოლად ამტკიცებს ამას თუ იმას. მე, მაგალითად, ძალიან მარტივად ჩამომწერეს. არადა, დროა ყველამ დაინახოს, რომ გარშემო ძალიან ბევრ ფეხბურთელს კარიერის საუკეთესო წლები სწორედ 30-ის შემდეგ დაეწყო. გაიხსენეთ გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი. რაიან გიგზმა ჩვენს წინააღმდეგ დიდებულად ითამაშა. და განა მარტო ჩვენს წინააღმდეგ? გიგზმა ძალიან ბევრი შეხვედრა ჩაატარა შესანიშნავად. არადა, ის 37 წლისაა.*

*თუ ფეხბურთელი საკუთარ თავს უვლის, ორგანიზმს აკვირდება, სწორ ნაბიჯებს დგამს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოტივაციას ინარჩუნებს, ოცდაათი წლის შემდეგაც შეძლებს კარგად თამაშს. ამ ასაკში ბევრი რამ იყრის თავს. მე კი ფეხბურთი მიყვარს და მოედანზე გასვლა ყოველ ჯერზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს.*

*დიახ, ფეხბურთი ისე მიყვარს, საკვირაო ლიგაშიც რომ ვთამაშობდე, მაინც კმაყოფილი ვიქნებოდი, მაგრამ უმაღლეს დონეზე გამოსვლას მაინც სხვა გემო აქვს. აქ იძულებული ხარ ყოველდღიურად საუკეთესო ფორმაში იყო, რადგან, საკმარისია ფეხი დაგიცდეს, რომ ყველაფერი დალმა წაგივა. უმაღლეს დონეზე შეღავათი არ არსებობს. სწორედ ეს მაძლევს დიდ ენერგიას. მე ტოპ-ფეხბურთის თამაში მინდა და ვიცი, რაც არ უნდა ხდებოდეს, მზად უნდა ვიყო.*

*განსაკუთრებით რთულია ადგილის შენარჩუნება „ჩელსის“ დონის გუნდში. აქ ძალიან დიდი კონკურენციაა. გამუდმებით მოდიან ახალი ფეხბურთელები, იზრდებიან ახალგაზრდები, რომლებიც შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას ცდილობენ, შენ კი იძულებული ხარ საკუთარ თავს აჯობო“.*

ლემპარდი უმაღლესი დონის პროფესიონალია. მისი საქმისადმი დამოკიდებულება და წვრთნის რეჟიმი მოედანზე საუცხოოდ იჩენს თავს. ბევრი თვისება მას ჯერ კიდევ „ვესტ ჰემის“ დროს ჩამოუყალიბდა. ალბათ, სწორედ პროფესიონალიზმის დამსახურება გახლდათ ის, რომ 33 წლის ასაკშიც კი, ცოტა ხნის წინ გამართულ „აზიის თასზე“ „ლემპსი“ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სწორედ ამიტომ აქვს კონტრაქტის თანახმად ჯერ კიდევ ორი წელიწადი დარჩენილი, არადა მისი ხელფასი, არც მეტი არც ნაკლები, კვირაში 150 ათასი ფუნტია.

„ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** სეზონისწინა შეკრებაზე ლემპარდი გვარიანად დატვირთა და აქ მხოლოდ ფიზიკური დატვირთვა როდი იგულისხმება, აქ, უპირველეს ყოვლისა მის როლზეა ლაპარაკი. არადა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ვეტერანს გასულ სეზონში საზარდულის ტრავმის გამო ოთხი თვე გაუცდა. თან, ტრავმა ექიმებს იოლად არ დაემორჩილა, ჯიუტობდა და რთულდებოდა.

დღეს ფრენკ ლემპარდი პრემიერლიგის ჩემპიონატის დასაწყებად მზად არის, „ჩელსის“ კი, შეგახსენებთ, რომ პირველი თამაში 14 აგვისტოს „სტოკთან“ ელის.

გაზეთები წერენ, რომ ამ სეზონში ლემპარდს გვარიანი კონკურენციის გაძლება მოუწევს. აშკარაა, რომ ვილაშ-ბოაში 18 წლის **ჯოშ მაკეჩრანს** უპირებს თანდათანობით ძირითად შემადგენლობაში შეყვანას. ჟურნალ „ჩელსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ლემპსმა“ თქვა:

*„ვფიქრობ, ჩვენს მოტივაციაზე დადებითად იმოქმედებს ის, რომ გასულ სეზონში ვერაფერი მოვიგეთ. მანამდე, ექვსი თუ შვიდი წლის განმავლობაში ჯილდოს ჯილდოზე ვიგებდით, ბოლოს კი გავწბილდით. რას იზამ, ქვეყნად არ არსებობს გუნდი, რომელიც დაუსრულებლად მოიგებს და ხელმოცარული არასდროს დარჩება. მეორე მხრივ კი, როდესაც ამბიციური კაცი ხარ და ხედავ, სხვები როგორ ზეიმობენ, იმუხტები“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

იუვენტუსი

# მაროტა არ ცხრება

## დელ პიერო ოპტიმიზმით აღსავსეა

მას შემდეგ, რაც ტურინის “იუვენტუსმა” **მირკო ვუჩინიჩი** დაიმატა, გუნდის გულშემატკივრები კიდევ უფრო აივსნენ ოპტიმიზმით. ფაქტია, რომ “ბიანკონერი” უკვე გვარიანად გაძლიერდა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ტურინელები გაჩერებას არ აპირებენ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ანტონიო კონტემ** კლუბის სპორტულ დირექტორს ახალი ფეხბურთელების სია ჩამოუწერა, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ახალი გარემარბების სია და თხოვნა, რომ ერთ-ერთი მაინც გადაიბიროს – ფეხბურთელთა ჩამონათვალი ასეთია: **იბრაჰიმ აფელაი** “ბარსელონადან”, **დიეგო პეროტი** “სევილიადან”, **ნანი** “მანჩესტერ იუნაიტედიდან” და **ხუან მანუელ ვარგასი** “ფიორენტინადან”.

ამ ვარიანტებიდან ნანი ყველაზე არარეალურად მოსჩანს, რადგან პორტუგალიელის გაშვებას ინგლისელები არ აპირებენ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ “ბარსელონამ” აფელაი გაყიდოს, “სევილიამ” კი მორეტი, ამიტომ, მაროტა ისევ ვარგასს მისდგა და ადრე დაწყებული და შემდეგ ჩიხში შესული მოლაპარაკებები ამოატივტივა. ამაზე “ფიორენტინას” სპორტული დირექტორის **პანტელეო კორვინოს** სიტყვები მოწმობს:

*“ტურინის “იუვენტუსის” მესვეურები მართლაც დაინტერესებულნი არიან ვარგასის გადაბირებით და სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ოფიციალური წინადადებით მოგვმართავენ. ჩვენ არ გვსურს სამხრეთამერიკელის გაყიდვა და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავებმებით მოლაპარაკებებში, თუ თანხა სოლიდური იქნება. ბუნებრივია, რომ ეს საკითხი სინიშა მიხაილოვიჩთან შეთანხმდება, რომელიც წყვეტს კიდეც, ვინ უნდა წავიდეს და ვინ დარჩეს გუნდში. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება”.*

გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, “ფიორენტინას” მესვეურებმა ვარგასი ტრანსფერზე დააყენეს და ფასად 18 მილიონი ევრო დაადეს. საინტერესოა, გადაიხდიან თუ არა ტურინელები ამ ოდენობის თანხას...

ამასობაში, **ალესანდრო დელ პიერო** გამოჩნდა ჟურნალისტებთან და კლუბის ირგვლივ მიმდინარე პროცესების შესახებ ისაუბრა: *“გამოგიტყდებით და ასე ოპტიმისტურად განწყობილი ბოლოს მაშინ ვიყავი, როდესაც გუნდში ზინედინ ზიდანი მოვიდა. კლუბის მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე ძალიან აქტიურად მუშაობენ და შევსებაც სოლიდური მივიღეთ. მირკო ვუჩინიჩის ტრანსფერმა ძალიან გამახარა და ერთი სული მაქვს, როდის გავალ მასთან ერთად მოედანზე. საერთოდაც, სეზონის გახსნას მოუთმენლად ველოდები, რათა “იუვენტუსი” ძველ სიმაღლეზე დავაბრუნოთ. მჯერა, რომ ამ ფორმაციის “იუვეს” ყველაფერი შეუძლია”.*

**ლაშა ნიკლაური**




რეალი

# რეალი აზიაში სკოლებს ხსნის




კრისტიანო რონალდოს ქედმაღლობამ ჩინელები ძალიან გააბრაზა

**მადრიდის** “რეალი” ჩინეთში თავისი სახელობის საფეხბურთო სკოლებს გახსნის. აღნიშნული შეთანხმება კლუბმა უკვე გააფორმა “გუანჩჟოუ ევეგრანდთან”. მადრიდელთა მისია იქნება, დროდადრო გააგზავნოს საფეხბურთო სკოლების საუკეთესო სპეციალისტები, რათა ჩინელ მასწავლებლებს პატარა ბავშვების მომზადების საიდუმლოებები გადასცენ, ამას გარდა არ არის გამორიცხული, ესპანელებმა ჩინეთში იჯარით თავისი სკოლის წარჩინებული ფეხბურთელებიც მოავლინონ ხოლმე. *“ჩვენ უკვე შევუთანხმდით ჩინელებს, რომ მათთან ერთად ვიმუშავებთ ახალი სკოლის ჩამოსაყალიბებლად,* - განაცხადა **ფლორენტინო პერესმა**. – *მათთან ერთად მომავალში თანამშრომლობის გაღრმავებასაც ვაპირებთ. ასეთი სკოლების მშენებლობას “რეალი” მარტო ჩინეთში კი არა, სინგაპურსა და საუდის არაბეთშიც აპირებს”.*

ჩინურმა მედიამ “რეალის” უმთავრესი ვარსკვლავი **კრიშტიანო რონალდო** კრიტიკის ქარცეცხლში მოაქცია. აზიელები მას უკიდეგანო ქედმაღლობაში სდებენ ბრალს. საქმე ის არის, რომ მართალია პორტუგალიელი სამშაბათის ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენიაზე გამოცხადდა, მაგრამ შეკითხვებზე ძალიან ბუნდოვან პასუხებს იძლეოდა და ზოგიერთზე ლაპარაკი საერთოდ არ ისურვა. *“ის მთელი პრესკონფერენციის განმავლობაში ეგოისტურად და ქედმაღლურად იყურებოდა. საეჭვოა, ასეთმა საქციელმა ფეხბურთელს რამე დივიდენდები მოუტანოს,”* - განაცხადა ჩინეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტული გამოცემის “ტიტანმედიის” ვიცე-პრეზიდენტმა **იან კაინმა.**

ახლა რაც შეეხება გუნდის შიგნით შექმნილ სიტუაციას:

სამეფო კლუბში **ფაბიო კოენტრაუს** გადაბარგების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი, ხომ არ ემუქრებოდა პორტუგალიელის გამოჩენა **მარსელოს** ადგილს ძირითად შემადგენლობაში. **ჟოზე მოურინიომ** ამ ეტაპზე ნახა გამოსავალი - თანამემამულეს ნახევარდაცვაში ათამაშებს, მაგრამ რა მოხდება, როცა გუნდს დაუბრუნდება **ანხელ დიმარია**? ბრაზილიელი მცველი აცხადებს, რომ კონკურენციისთვის მზადაა და გაუთავებელმა ლაპარაკმა, რომ ის შეიძლება ძირითადს მიღმა აღმოჩნდეს, უკვე დაღალა. *“რეალში” ყოველთვის სერიოზული კონკურენცია იყო. სწორედ ამიტომ სეზონის განმავლობაში უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, რომ სხვაზე უკეთ გამოიყურებოდე. მე ისევე განვაგრძობ მუშაობას, როგორც ადრე, იმედია, ჩემი შრომა გუნდს მეტ სარგებელს მოუტანს,”* – აცხადებს მარსელო.

თურქმა ნახევარმცველმა **ნური შაჰინმა** “რეალის” ამერიკულ შეკრებაზე მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო და მას მერე მკურნალობს. ექიმების ვარაუდით, მას ჯერ კიდევ ორშაბათს უნდა დაეწყო ვარჯიში ძირითად გუნდთან ერთად, მაგრამ “მარკას” ცნობით, ნახევარმცველს გუშინ დილასაც კი არ მისცეს ამის ნება. ჟოზე მოურინიოს თქმით, მას იმედი აქვს, რომ გაუგებრობას მალე დაესმება წერტილი და ფეხბურთელი უახლოეს დღეებში ჩადგება მწყობრში.

**ლევან ბიბილაშვილი**

ძიუდო. პრაღის ტურნირი ახალგაზრდებში

# ქართველებს სასჯელი ემუქრებათ

**SOS ამუქმეებზე პრაღაში გამართული ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასი ჩვენი ნაკრებისთვის ახალი უსიამოვნების მიზეზი გახდა - ზურაბ ეპიტაშვილს (81) დისკვალიფიკაცია ემუქრება.**

ქვეყნის ჩემპიონმა და ევროპაზე ნასვლის რეალურმა კანდიდატმა, პორტუგალიელ **სელიო დიასთან** ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მსაჯთა გადაწყვეტილებებისადმი პროტესტის ნიშნად, კიმონო გაიხადა და ტატამიდან გავიდა. ევროპული ფედერაცია ამიტომ აპირებს მის დასჯას, თუმცა სანქციებით ჩვენი გუნდის თავკაც **გიორგი გუგავასაც** ემუქრება, აქაოდა, კიმონო არ ჩააცვა და ტატამზე არ შემოაბრუნაო. ამასთან დაკავშირებით გუგავას განმარტებას ქვევით წაიკითხავთ, ფაქტი კი უსიამოვნოა. იმედია, გუგავას მხოლოდ გაფრთხილებას აკმარებენ და ევროპის პირველობაზე გუნდთან ერთად ყოფნას არ აუკრძალავენ, აი, ეპიტაშვილის დასჯა კი საგანგებოდ მოუთხოვიათ.

პრაღის ტურნირი ჩვენი გუნდისთვის ბოლო საკონტროლო-შესარჩევი შეჯიბრება იყო 16-18 სექტემბერს ბელგიურ ლომელში გასამართავი ევროპის პირველობისთვის. გუგავამ იქ ისინიც წაიყვანა, ვისაც მანამდეც მოიაზრებდა გუნდის წევრად და ისინიც, ვინც ამაზე პრეტენზიას აცხადებდა. მწვრთნელი დიდ დატვირთვას აძლევდა ამ შეჯიბრებას და გვპირდებოდა, რომ საევროპო ნაკრებს მისი შედეგების გათვალისწინებით დააკომპლექტებდა. მისი გათვლები სწორი აღმოჩნდა - ლიდერებმა კარგად იჭიდავეს, ანუ მისი დასკვნები სწორი ყოფილა, სხვა წონებში კი კონკურენცია თითქმის საბოლოოდ გაირკვა. გუნდმა ჩეხეთში 2-2 ოქრო-ბრინჯაო და 3 ვერცხლი მოიპოვა. ჩემპიონები **გიორგი მესაბლიშვილი** (55) და **ლაშა შავდათუაშვილი** (66) გახდნენ, **ლერი ჭელიძე** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60) და **გიორგი მერმანიშვილი** (90) მეორეზე გავიდნენ, ბრინჯაო კი მძიმეწონოსნებმა - **უშანგი კოკაურმა** და **ლევან მატიაშვილმა** ირგუნეს. ამ ტურნირის შესახებ თავად გიორგი გუგავა გვესაუბრება.

**- შედეგი კარგია და თან უმეტეს წონებში საევროპოდ შეგულებულმა ხალხმაც გაგიმართლათ. მოდით, წონითი კატეგორიების მიხედვით შევაფასოთ გუნდის გამოსვლა პრაღაში.**

- მათ მართლაც გამიმართლეს იმედები. მაგალითად, 55 კილოგრამში ისედაც მესაბლიშვილისა და ჭელიძის წაყვანას ვაპირებდი და პრაღაში ფინალი იჭიდავეს. მარგველაშვილი ძალიან მაგარი ბიჭია, კარგად იჭიდავა, მაგრამ ფინალში ერთ მომენტში მოდუნდა და ასე დასანანად წააგო. 66-ში შავდათუაშვილმა დამაჯერებლად მოიგო, ოთარ არჩვაძემ კი დამატებით დროში ბოლო გდება გაუშვა. ისიც კარგი ბიჭია, კმაყოფილი ვარ. 73-ში კანდიდატებმა ერთნაირად იჭიდავეს - მიხეილ ჩოხელი მეხუთეზე გავიდა, ფრიდონ გიგანი - მეშვიდეზე. უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, მაინც კარგად იჭიდავეს. საერთოდ, იმათი ასპარეზობითაც კმაყოფილი ვარ, ვინც უმედლოდ დარჩა. მაგალითად, 81-ში ოთხივე კარგად გამოვიდა. აქ საქართველოს ვიცე-ჩემპიონ თემურ ხაჩიძეზე ადრეც ვამბობდი, რომ ჯერ ასაკით პატარაა და ჩეხეთშიც ამიტომ წააგო. ძალიან კარგად გამოვიდა ეპიტაშვილი, თუ არ მოხსნეს ახლა. ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში პორტუგალიელ სელიო დიასთან მსაჯებმა ისეთი შეფასებები გააკეთეს, გაოგნებული დავრჩი! ეპიტაშვილი მუცელზე დაეცა და ვაზარი აჩვენეს. პირველ დღეს 4 მედალი მოვიპოვეთ, 2-2 ოქრო-ვერცხლი და მეორე დღეს უკვე დიდი ზეწოლა დაიწყო ჩვენზე. ამას მოველოდი კიდეც, მაგრამ ასეთს ვერ წარმოვიდგენდი. თეთრზე შავს რომ ამბობდნენ, ისეთი არაობიექტურობა იყო. რალაც მიახლოებული გდება რომ ყოფილიყო, მაგალითად, იუკო და ვაზარად შეეფასებინათ, კიდევ ჰო, მაგრამ არაფერი მსგავსი! ეპიტაშვილს მეც ვეჩხუბე კიმონოს გახდისთვის - ეს დაუშვებელია და არ უნდა ექნა, მაგრამ მეტი რა უნდა მელონა - ბიჭი ისე იყო გამწარებული, რომ გამოვიდა, დაწვა და ღრიალებდა, ლამის გაგიჟდა. ახლა ლაპარაკია მის დასჯაზე, მე კი ბრალს იმაში მდებენ, აქაოდა, რეაგირება არ გააკეთა მის ქცევაზეო. ამ წონაში შალვა ნინიძე და ბექა რატიანიც კარგად გამოვიდნენ. ნინიძემ მომავალ ჩემპიონთან, ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორ უნგრელ კრისტიან ტოტთან წააგო დამატებით დროში, ცოტა დააკლდა მოგებამდე. ამ წონაში ხარისხზე მეტად კმაყოფილი ბიჭების ჟინიანობით, მათი ხასიათით ვარ.

90-ში გიორგი მერმანიშვილი გამოკვეთილი ფავორიტია. ის აუცილებლად წავა ევროპაზე, სხვის წაყვანას კი ამ წონაში მე არ ვაპირებ და ვინმე საკუთარი ხარჯით თუ წამოვა, არ დავუშლი. მერმანიშვილმა ფინალი თავისით წააგო უნგრელ გაბორ ვებისთან, ზეწოლა არ ყოფილა, თუმცა ის მაინც მოჭიდავეა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახლა მას სპეციფიკური ვარჯიშები სჭირდება, რადგან აქამდე ფიზიკურად ვამზადებდი - ბაკურიანში 13-დღიანი შეკრება არაა საკმარისი და ამიტომ ასე ადრიანად დავუწყე ფიზიკური მომზადება. გუნდი ჯერ სანახევროდაა ფორმაში, პიკში ევროპისთვის იქნებიან. ამის მიუხედავად, პრაღაში ჩვენი გუნდი სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგა.

100-ში სერიოზული პრობლემებია. იქნებ ელგუჯა ბიბილაშვილი სხვებს ცოტათი კი სჯობია, მაგრამ საერთაშორისო დონეს რომ ვადარებ, დამაკმაყოფილებელი არაფერია. აქ ერთს წავიყვან, ოღონდ ვინ იქნება, ჯერ ვერ გეტყვით, თუმცა ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. საერთოდ რომ არ წავიყვანო ვინმე, არც ეს იქნება გულდასაწყვეტი, რადგან მედლის მომპოვებელი არავინაა. ბიბილაშვილიც და გიორგი ცნობილაძეც ქუთაისელები არიან, იქაურობას კი ვერ ვწვდები, ვერ ვაკონტროლებ ისე, როგორც, ვთქვათ, გორს. ამიტომ არ ვიცი, იქ როგორ ემზადებიან ისინი. ჯერ კიდევ დავაკვირდები შეკრებებზე და ვინმე ოდნავ მაინც თუ მიუახლოვდა მოწინავე დონეს, იქნებ ერთი წავიყვანო ევროპაზე. მძიმეში ორივემ კარგად იჭიდავა. ლევან მატიაშვილი ძალიან კარგად მოდის, დღითი დღე იზრდება და უკვე გადაასწრო კოკაურს. შეიძლება, ევროპაზე ოქროც მოიპოვოს - გააჩნია, როგორ მოემზადება, ისე კი არ გამოვრიცხავ ამას. ის ნახევარფინალში დამარცხდა ყაზახ აიტუარ აბდულოვთან. მოგეხსენებათ, ყაზახები ძალიან სწრაფები არიან და ამან ორჯერ გადაავლო, მაგრამ ვერ დააგდო. ჰანტეიმდე რომ მისულიყო საქმე, გამარჯვებას ამას მისცემდნენ, მაგრამ ამოქმედდა დაუწერელი კანონი - ვერ გაიტან, გაგიტანენო და დამატებითში აბდულოვმა ქულა მოიპოვა. კოკაურიც ნახევარფინალში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, პოლონელ დამიან ნასიადკოსთან, ბრინჯაოსთვის კი გერმანელ სვენ ჰაინლეს მოუგო, ვინც ყველაფერს იგებს ამ წონაში და მგონი, რეიტინგშიც ლიდერია. მატიაშვილთან კონკურენციაში კოკაურმაც მოუმატა და ამათ ორივეს წავიყვან ევროპაზე.

საერთოდ, გუნდის გამოსვლით კმაყოფილი რითიც ვარ და რაც მიხარია, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. დავილალე, არ შემეძლოო და ამგვარები არ ყოფილა - ყველამ ბოლომდე იომა. მესაბლიშვილი ბოლოს ისე იყო დაღლილი, ვერ მხედავდა, მაგრამ მაინც იბრძოლა და მოიგო. მათ სულ იმას ჩავჩიჩინებ, რომ ბოლომდე იმუშაონ. დავიღალე და გავჩერდი - ამას არგუმენტად არ ვილებ. მინდა, მებრძოლი სული ჩავნერგო გუნდში და მივაღწიე კიდეც ამას. ყველამ იცის, რომ ბოლომდე უნდა იბრძოლოს. ჟინი, გამარჯვებისკენ სწრაფვა უკვე არის ნაკრებში. თან კონკურენცია გაიზარდა - ერთმანეთის შედეგებს რომ ხედავენ, მერე მათაც ეთაკილებათ წაგება ანუ მარცხისადმი ფსიქოლოგიური შეუთავსებლობაც გამოუმუშავდათ. ახლაც ფინალი წააგეს, მაგრამ მაინც ვუსაყვედურე - კარგად იჭიდავეთ, თუმცა დამარცხდით და ამიტომ არ ვარ კმაყოფილი-მეთქი. არ მინდა, ფინალში გასვლას დასჯერდნენ და ოქროზე არ იფიქრონ. მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდე - რაც შეგიძლია, ბოლომდე უნდა დაიხარჯო.



გიორგი გუგავა

**- ბოლო სეზონში გუნდის პროგრესი აშკარაა - უფრო დაბალანსებულია, უფრო მეტს შეუძლია მედლის მოპოვება. გარკვეულ მეთოდებზე უკვე ისაუბრეთ, სხვა კი რა შეცვალეთ გუნდის სავარჯიშო სისტემაში?**

- უპირველესად შევეცადე, წონებში კონკურენცია გამეზარდა. საამისოდ საქართველოს ჩემპიონატამდე ჯერ ტურნირები ჩავატარე გორსა და ყვარელში, მერე კი საბერძნეთშიც ვიყავით. თან წინასწარ გავაფრთხილე ყველა, რომ ნაკრები დაკომპლექტდებოდა ყველა ამ შეჯიბრების შედეგებით და არა ერთი რომელიმეთი. ისე ალარ იყო, როცა ვილაცა რაიმეს მოიგებდა და ამით გაინალდებდა ადგილს ნაკრებში. როცა გუნდის ბირთვი გამოიკვეთა, მერე დავიწყე მათი ფიზიკურად მომზადება, რაც ყოველთვის გვაკლდა - შტანგის 7 შეკრება გავიარეთ, კროსებს დავრბოდით, ვაკის კიბეებზე ვარბენინებდი, მანეჟში სწრაფ-ძალოვან ვარჯიშებს ვასრულებდით. ერთი სიტყვით, აქცენტი ფიზიკაზე გადავიტანეთ, რაც გვაკლია, თორემ ლეიბზე ასე თუ ისე ვარჯიშობენ. მაგალითად, მერმანიშვილი იმდენად ნიჭიერია, მითითება არ სჭირდება - სანამ შენ ეტყვი, იმან უკვე იცის, რა უნდა გააკეთოს. ძალიან კარგად აზროვნებს და ერთადერთი, მხოლოდ ფიზიკური მომზადება აკლია, ცოტა ზარმაცია. საერთოდ, ლეიბზე ვარჯიში ყველას უხარია, მაგრამ ფიზიკური - დილით ადრე ადგომა, სირბილი და ამგვარები ეზარებათ. იმავე მატიაშვილს პირველ დღეს სირბილი ისე გაუჭირდა, კუს ტბაზე ასვლისას გაჩერდა და ველარ მირბოდა, მაგრამ ლამის ძალით ავიყვანეთ, ახლა კი არბის, იქაც ტბას წრეს ურტყამს, კიდევ ვარჯიშობს და ჩამოდის. ეტყობათ კიდეც ასეთი მომზადება. პრაღაში ლიდერი გუნდებიდან მხოლოდ აზერბაიჯანელები და რუსები არ ჩამოსულან, რაზეც ძალიან მწყდება გული - მინდოდა, მათთან შემემოწმებინა ბიჭები, სხვები კი ყველანი იყვნენ. აი, ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ჩვენები ერთი თავით მაღლა იდგნენ. რომ ვუყურებდი, მიკვირდა და მიხაროდა - ამდენს თუ მოუმატებდნენ, არ მეგონა. ვფიქრობდი, რომ ფიზიკური მზადების შემდეგ ლეიბზე ცოტა შებოჭილები იქნებოდნენ, მაგრამ პირიქით.

**- იქნებ არც იყოს გამართლებული ამაზე საუბარი, მაგრამ თქვენი აზრით, ამ ბიჭებიდან ვის შეუძლია დიდი ძიუდოს ჭიდაობა?**

- შარშან ავთანდილ ჭრიკიშვილი გვყავდა, რომელიც ერთი ცალკე გუნდი იყო - სადაც წახვიდოდი, იცოდი, შედეგი ექნებოდა. წლეულს ასეთი ტალანტი არ გვყავს, მაგრამ ვფიქრობ, შრომის ხარჯზე ამასაც მივაღწევთ. მესაბლიშვილი და მერმანიშვილი სადაც წავიდნენ, ყველგან შედეგი გააკეთეს. შავდათუაშვილსაც, მაგრამ მას ზედმეტი ვარჯიშისგან ჩავარდნები ჰქონდა - რომ ირბენდა, მერე მოვიდოდა, ლეიბზე მუშაობდა, არ ისვენებდა. ახლა დავულაგეთ სავარჯიშო გრაფიკიც და კარგადაც იასპარეზა. მერმანიშვილი ცოტა არასტანდარტულია, თორემ ძლიერია - მისი დონისა არავინ გვყავს გუნდში. ოლონდ რეჟიმს არ იცავს და ამაზე გვაქვს პრობლემები. როგორც ყველა ნიჭიერი, ისიც რთული ხასიათისაა - ხან უნდა მოეფერო, ხან - დატუქსო და მეც ასე ვექცევი. გუნდიდანაც კი გავაგდე ერთხელ, თუმცა უკვე მივაღწიე რეჟიმის დაცვას. აქამდე ვარჯიშამდე 1 საათით ადრე მისი მწვრთნელი გურამ მოდებაძე ურეკავდა და აფრთხილებდა, დროულად მოსულიყო, მაგრამ ნახევარი საათით მაინც აგვიანებდა. ამიტომაც გავუშვი ვარჯიშიდან, მაგრამ მერე ვილაპარაკეთ და ვუთხარი, კარგი მოჭიდავე ხარ, მაგრამ სხვებიც გიყურებენ, შენი გულისთვის კი ნაკრებს ვერ დავშლი-მეთქი. მომცა პირობა, რომ გამოსწორდებოდა და ჯერჯერობით სიტყვას ასრულებს - ვარჯიშამდე ნახევარი საათით ადრე მოდის დარბაზში. საბედნიეროდ, სხვებთან არ მაქვს ასეთი პრობლემები.

**- დასასრულს, ევროპისთვის როგორი გეგმით მოემზადებით?**

- ჩეხეთიდან დაბრუნების შემდეგ გუნდი 1 კვირით დავასვენე - იქ მხოლოდ 16 გრადუსი იყო ტემპერატურა და ახლავე რომ ვარჯიშზე მომეყვანა, არ ივარგებდა. ორშაბათამდე აკლიმატიზაციას გაივლიან, მერე მოვლენ დარბაზში, სადაც ორი დღე ვივარჯიშებთ, ოთხშაბათს კი ბაკურიანში წავალთ შეკრებაზე. იქ ფიზმომზადების შეკრებას გავივლით, ბოლოს კი დუშეთში ვივარჯიშებთ და იქიდანვე წავალთ ევროპაზე.

**ირაკლი თავაძე**

სასტენდო სროლა. ევროპის ჩემპიონატი

# გუბიევას წარუმატებელი სტარტი

ბელგრადში დაწყებულ სროლის სახეობათა ევროპის ჩემპიონატში ჯერჯერობით საქართველოს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გამოვიდა - მრგვალ სტენდზე მსროლელი მაია გუბიევა, თუმცა წარუმატებლად იასპარეზა. ჩვენებური 35 მონაწილეს შორის ბოლო ადგილზე გავიდა 55 ქულით და არათუ ლიდერებს, წინ მდგომ დუეტსაც კი 4 ქულით ჩამორჩა.

ევროპის ჩემპიონი ესპანელი **ფატიმა გალვესი** გახდა, რომელიც თავიდანვე დაწინაურდა და შესარჩევი ეტაპი 72 ქულით მოიგო. ვერცხლი რუსმა **ელენა ტკაჩმა** ირგუნა, ბრინჯაო - ფრანგმა **დელფინე რაგინეტიმ**. რუსმა და ფრანგმა საკვალიფიკაციო ერთნაირი შედეგით - 71 ქულით დაამთავრეს, ფინალში კი მედალოსანთა სამეულმა ასევე ერთნაირი ქულები გააკეთა - 23-23, თუმცა ესპანელს შესარჩევის ერთქულიანმა ფორამ ოქრო მოუტანა 95 ქულა, მისმა მდევრებმა კი 94-94 დააგროვეს და მათ შორის დამატებითი სროლა დაინიშნა. აქ ტკაჩმა ერთი ქულით იმარჯვა და ვერცხლიც მას ერგო.

ეს ჩემპიონატი სასტენდო სროლის გარდა, ტყვიის სროლაშიც იმართება, ოღონდ მხოლოდ სპორტული პისტოლეტით, ვინაიდან პნევმატურში გაზაფხულზე იტალიურ ბრეშიაში უკვე ჩატარდა. მასში ჩვენგან ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე** გამოვლენ. ოლიმპიური ჩემპიონი 7 აგვისტოს ისვრის, ქადაგიძე - 6-ში. მონაწილენი გვეყოლებიან სასანგრე სტენდზე სროლაშიც. თანაც ვაჟთა სრული გუნდი - **დავით ქვათაძე, გივი შენგელია** და **პავლე ლაკია.** ისინი 12 აგვისტოს ისვრიან.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი



ეკატერინე გორგოძე

# თითო შეხვედრა მოიგეს

სტამბოლში ჩოგბურთელ ქალთა 10-ათასიან საერთაშორისო ტურნირში მეორე გამარჯვება იზეიმა მე-2 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ**. გუშინ მან ესპანელი ნურია პარისას-დიასი დაამარცხა 6:4, 6:0 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ირინა რამიალისონსა (საფრანგეთი)-ქრისტინა შაკოვეცს (გერმანია) შორის გამარჯვებულს შეხვდება.

წარმატებით ითამაშა **ეკატერინე გორგოძემაც.** იგი გერმანიის ქალაქ ჰეჩინგენის 25-ათასიან ტურნირში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება. პირველ რაუნდში თავისუფალი იყო. მეორეში, როგორც გაუწყეთ, ვერონიკა ზავოდსკა (ჩეხეთი) დაამარცხა, გუშინ კი კვალიფიკაციაში მე-9 ნომრად განთესილ ჩილელს - დანიელა სეგულს დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:1, 6:0 და ძირითად ბადეში გაალწია, სადაც ფრანგ ოდრი ბერგოტს (№6) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

# ქართული სპორტი

## ქართული სპორტის თავკაცები

# ალექსანდრე ფარულავა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უწყებას 1920-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ხელმძღვანელობდა.

ქართული სპორტის აღმავლობა განსაკუთრებით დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. 1946 წელს საქართველოს სპორტკომიტეტს სათავეში ჩაუდგა შესანიშნავი პიროვნება და ორგანიზატორი **ალექსანდრე ფარულავა.** სწორედ მას ხვდა წილად საქართველოს სპორტული მოძრაობის ფაქტობრივად ახალ რელსებზე გადაყვანა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო საბჭოთა სპორტული ფედერაციების საერთაშორისო სტრუქტურებში აღიარების პროცესი და გაჩნდა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის რეალური შანსი. სტალინმა უარყო 1948 წელს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შეთავაზება იმ მიზეზით, რომ ომში გამარჯვებული ქვეყანა კარგად მომზადებული უნდა გასულიყო სპორტულ სარბიელზე წარმატების მოსაპოვებლად. ასე გადაიდო 1952 წლამდე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

სწორედ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდში ალექსანდრე ფარულავამ დიდი ძალისხმევით შეძლო, ფეხზე მყარად დაეყენებინა საქართველოს სპორტული მოძრაობა, ქართველმა სპორტსმენებმა არაერთ საერთაშორისო ასპარეზობაში გამოიჩინეს თავი.

შრომა დაფასდა. 1952 წელს ჰელსინკის ზაფხულის XV ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს 14-მა სპორტსმენმა მოიპოვა მონაწილეობის უფლება, მათგან 8 შინ 9 მედლით დაგვიბრუნდა - 3 ოქრო, 4 ვერცხლი, 2 ბრინჯაო. დაიწყო ქართველ ოლიმპიელთა წარმატების ათვლა. ამ თვალსაჩინო მიღწევაში დიდი იყო საქართველოს სპორტული ორგანიზაციების და უპირველესად მისი ხელმძღვანელი ორგანოს დამსახურება ალექსანდრე ფარულავას ხელმძღვანელობით.

1954 წელს ალექსანდრე ფარულავა, როგორც გამორჩეული ორგანიზატორი, უკვე სხვა სფეროში გადაიყვანეს ხელმძღვანელად.

დღეს, 4 აგვისტოს ალექსანდრე ფარულავას დაბადებიდან 95 წელი შესრულდა.

**თენგიზ თომაშვილი**

## ჭადრაკი

# მშვიდობიანი დღე


დავით ზარქუა

კავალა (საბერძნეთი) მოჭადრაკეთა მე-20 საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. A ტურნირში საპრიზო ადგილებისთვის 18 ქვეყნის 109 მონაწილეს (29 დიდოსტატი) შორის სამი ჩვენებურიც იბრძვის. მე-5 ტურში სამქულიანი **გიორგი მარგველაშვილი** მასპინძელ სტელიოს ჰალკიასს დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **ინგა ჭარხალაშვილი** და გეორგიოს ძინძიოსი, ხოლო საქართველოს ჩემპიონმა **დავით ზარქუამ** შავი ფიგურებით იოანის სიმეონიდისს (საბერძნეთი) აჯობა. რაც შეეხებათ ლიდერებს, მე-5 ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა) და დრაგან შოლაკი (სერბეთი), რომლებმაც 4,5-4,5 ქულით მეწინავეობა შეინარჩუნეს. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით 10 მოჭადრაკე ჩამორჩებოდა.

გუშინ მე-6 ტურში ქართველებს მეტოქეებად მასპინძლები ჰყავდათ და სამივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ გიორგი მარგველაშვილი-ანტონიოს პავლიდისი, დავით ზარქუა-სტელიოს ჰალკიასი, გეორგიოს კეძეძისი-ინგა ჭარხალაშვილი. საერთოდაც, გუშინდელი ტური საკმაოდ მშვიდობიანი აღმოჩნდა. ლიდერთა რვა პარტია ყაიმით დამთავრდა. დრაგან შოლაკი (სერბეთი)-ჩანდა სანდიპანი (ინდოეთი), აფჯით გუფთა (ინდოეთი)-დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა), დიმიტრიოს მასტროვასილისი (საბერძნეთი)-გოპალი (ინდოეთი), ვლადიმირ ბურმაკინი (რუსეთი)-ალექსანდრ ზუბარევი (უკრაინა), ათანას კოლევი (ბულგარეთი)-ნიკიტა მაიოროვი (ბელარუსი) ყაიმზე შეთანხმდნენ. მათეულ ბარტელმა (პოლონეთი) შავი ფიგურებით მომჩილ ნიკოლოვს (ბულგარეთი) სძლია და 5 ქულით ლიდერებს - შოლაკსა და სვეტუშკინს წამოეწია. ზარქუას და მაღალაშვილს 4-4, ჭარხალაშვილს კი 3,5 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**



# ქართული სპორტის ქრონიკები

ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს თასის მფლობელები საქართველოდან



# ნოდარ მოდებაძე

დაიბადა 29.10.1950, აკურა, თელავი. **თავისუფალი ჭიდაობა** (+100 კგ). მსოფლიოს თასის მფლობელი (1974), ევროპის ჩემპიონი (1973), სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი (1977) და ორგზის მეორე პრიზიორი (1973, 77), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1975). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

## სათავეები

# კრივი

საქართველოში თანამედროვე კრივის შემოსვლის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1912 წლის 20 დეკემბერი, როცა თბილისის პოლიცმაისტერმა ზასიპკინმა **პეტრე მარლანიძეს** ნება დართო, ბელინსკის ქუჩაზე გაეხსნა „ათლეტური არენა". მარლანიძე მრავალმხრივი სპორტსმენი იყო: ოდესაში დაამთავრა ძალოსნობის კურსები, ბადალი არ ჰყავდა ფრანგულ ჭიდაობასა და კრივში. ერთი ნაწილის აზრით, თანამედროვე კრივში გადადგმულ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ სწორედ მარლანიძის მიერ 1923 წლის 15 ივლისს ორგანიზებული ბრძოლა **მ. ჭინჭარაძესა და კ. ჟიგაჩოვს** შორის. როგორც სამაგალითო ათლეტი და სპორტის ორგანიზატორი, პეტრე მარლანიძე სპორტსაზოგადოება „შევარდენში" მიიწვიეს და ძალოსანთა და მოკრივეთა ხელმძღვანელად დანიშნეს. იმ დროისთვის კრივის სექციები გაიხსნა საქართველოს სხვა ქალაქებშიც, მათ შორის - სოხუმსა და ბათუმში, მოგვიანებით - ფოთსა და ქუთაისში. მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ წლებში საქართველოს მოკრივეებმა მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს.



## ფაქტები და მოვლენები

**საქართველოს** ჩემპიონატში და თასზე ცნობილ მეკარეს **ასლან ბალაძეს** გატანილი აქვს... 12 პენალტი — 12-დან.

■ ■ ■

**თბილისის** „დინამომ" სსრ კავშირის ჩემპიონატთან გამოსამშვიდობებელი, უკანასკნელი 1424-ე მატჩი 1989 წლის 27 ოქტომბერს უკრაინაში კიევის „დინამოსთან" ითამაშა. სხვათა შორის, პირველი მატჩიც 1936 წლის 7 სექტემბერს თბილისელებმა კიეველ თანაკლუბელებთან ჩაატარეს.

■ ■ ■

**„დინამოს"** სტადიონზე დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პერიოდში მაყურებლის დასწრების რეკორდი დაფიქსირდა 1995 წელს. მაშინ საქართველოსა და გერმანიის ნაკრებების მატჩზე ტრიბუნებზე 110 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

■ ■ ■

**თბილისში,** 1993 წლის 18 აგვისტოს 20 საათზე დაიწყო მატჩი, რომლითაც ქართული საკლუბო ფეხბურთი ევროპული ოჯახის წევრი გახდა. ბელფასტის „ლინფილდი" თბილისის „დინამომ" 2:1 დაამარცხა. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს **შოთა არველაძემ და გელა ინალიშვილმა.** საპასუხო მატჩი 1:1.

## შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** თქვენს გაზეთში წავიკითხე (ვიქტორინაში), რომ ბაკურიანში 1961 წლის იანვარში ჩატარებულა ყინულის ჰოკეიში საქართველოს პირველი ჩემპიონატი 7 გუნდის მონაწილეობით. ეს ინფორმაცია ჩემთვის და ალბათ, ბევრისთვის ახალი იყო.

გთხოვთ დაწვრილებით გვიამბოთ, რომელი გუნდები მონაწილეობდნენ პირველ ჩემპიონატში?

**ნიკა სანებლიძე**
ბორჯომი

**პასუხი:** დიახ, ზემოხსენებული ასპარეზობა მართლაც ჩატარდა 1961 წელს ბაკურიანში. პირველ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ახალქალაქის, ქუთაისის, ადიგენის და აბაშის გუნდები. როგორც ხედავთ, სარბიელზე გამოვიდა არა 7, არამედ 6 გუნდი. საქმე ისაა, რომ თბილისის პირველმა გუნდმა განაცხადი კი წარადგინა, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონატში გამოდიოდა და ბაკურიანში ველარ ჩავიდა. საქართველოს პირველი ჩემპიონი გახდა ახალქალაქის გუნდი, რომელმაც ფინალში ბათუმელებს სძლია - 9:4. მეორე ჩემპიონატი ბაკურიანშივე 1962 წელს გაიმართა, ამჯერად ტურნირში თბილისის ორი, ბორჯომის, მესტიის, ახალციხის, ახალქალაქის, ქუთაისის და ბათუმის გუნდები მონაწილეობდნენ. ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა, რომელმაც წინა წლის გამარჯვებული ახალქალაქის გუნდი ფინალში 4:2 დაამარცხა.

# კროსვორდი

**თარაზულად:** 3. გრანდ ... ; 6. ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 7. ძიუდოისტი ... ხერგიანი; 9. ... ფაჩულია; 10. დოღის ცხენი, რომელიც მაღალ შედეგს აჩვენებს მოკლე დისტანციებზე; 11. დიდოსტატი ... გურიელი; 14. ქართული ცხენოსნური თამაში; 15. რბენა რელიეფურ ტრასაზე; 17. სუმოს ქამარ-სახვევი; 18. ლატვიის საფეხბურთო კლუბი; 19. მთამსვლელი ... გიუტაშვილი; 20. ევროპის ჯუჯა ქვეყანა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი; 25. ქართული სპორტული გაზეთი; 26. ქართლში გავრცელებული ხალხური თამაში; 28. ძიუდოისტი ... კურტანიძე; 31. ორთაბრძოლის ძველბერძნული სახეობა; 32. ხელბურთის სამშობლო.

**შვეულად:** 1. ქართული ჭიდაობის ფანდი; 2. სომხური ეროვნული ჭიდაობა; 3. „შევარდენის" წინამორბედი სპორტსაზოგადოება; 4. ბაქოს საფეხბურთო კლუბი; 5. ზამთრის VI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 6. ძველი თაობის ქართველი ფეხბურთელი, მეკარე; 8. დროის მონაკვეთი კრივში; 12. ჩვენთვის ცნობილი მოლდავეთის საფეხბურთო კლუბი; 13. ალპინისტის ფეხსაცმელი; 14. იხ. სურათი: ... ქეცბაია; 16. შეფასება ძიუდოში; 21. სპორტნაწარმის კომპანია; 22. ცხენოსნობის უძველესი ქართული სახეობა; 23. ამერიკულ ფეხბურთში, კალათბურთსა და ა. შ. პროფესიონალ სპორტსმენთა შერჩევის პროცესი; 24. ახალქალაქის საფეხბურთო კლუბი; 27. ზამთრის I ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 29. აკრობატული ილეთი; ; 30. გაფრთხილება ძიუდოში.

## თარიღი

### 04-10 აგვისტო

**04. 1981 წ.** დაიბადა **მალხაზ ასათიანი** - ფეხბურთი.

**04. 1954 წ.** სსრკ ჩემპიონატის მატჩში ხარკოვის „ლოკომოტივს" თბილისის „დინამომ" შინ 7:1 მოუგო. ამ შეხვედრაში სსრკ პირველობაზე დინამოელთა მე-700 გოლი **ავთანდილ ღოღობერიძემ** გაიტანა.

**04. 1916 წ.** დაიბადა **ალექსანდრე ფარულავა** - საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე 1946-1954 წლებში. გარდაიცვალა 1999 წელს.

**05. 2007 წ.** ჩეხეთში ახალგაზრდა ძიუდოისტთა „ა" კატეგორიის ტურნირის გუნდური პირველობა საქართველოს ნაკრებმა მოიგო. ოქროს მედალი მოიპოვა **ნიკო კუციამ** (81 კგ), ბრინჯაო-**ვარლამ ლიპარტელიანმა** (90), **კონსტანტინე შუკვანმა** (96) და **ლევან მუქერიამ** (მძიმე).

**06. 1980 წ.** დაიბადა **თედო ზიბზიბაძე**-რაგბი.

**07. 2007 წ.** დაიბადა **დავით ჯანაშია**-ფეხბურთი.

**09. 1945 წ.** დაიბადა **ზურაბ საკანდელიძე**-კალათბურთი. გარდაიცვალა 2004 წელს.

**09. 1936 წ.** დაიბადა **სერგო კოტრიკაძე**-ფეხბურთი. გარდაიცვალა 2011 წელს.

**10. 1963 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა დანიის „ესბერგთან" სტუმრად 2:2 ითამაშა ამხანაგური მატჩი. გოლები სტუმართაგან **ბარქაიამ** და **კალოევმა** გაიტანეს.

## ვიქტორინა

**1. საქართველოს კალათბურთელთა კლუბებმა ბოლოს რომელ წელს ითამაშეს ევროპის საკლუბო ტურნირების ჯგუფურ ეტაპზე?**

ა — 2000 წელს
ბ — 2002 წელს
გ — 2006 წელს

**2. ქართველი ალპინისტებიდან ვინ დალაშქრა პირველმა ევერესტი მეორედ, თანაც უკანა მხრიდან?**

ა — მიხეილ ხერგიანმა
ბ — რომა გიუტაშვილმა
გ — ბიძინა გუჯაბიძემ

**3. ქართველი ფეხბურთელებიდან პირველი ვინ შედიოდა „ფედოტოვის კლუბის" საუკეთესო ხუთეულში?**

ა — ავთანდილ ღოღობერიძე
ბ — ბორის პაიჭაძე
გ — სლავა მეტრეველი

**4. რომელ წელს ჩატარდა რაგბიში მსოფლიოს თასის პირველი გათამაშება?**

ა — 1979 წელს
ბ — 1987 წელს
გ — 1991 წელს

**5. ვის მიენიჭა ერთ-ერთ პირველს საბჭოთა კავშირში საქართველოდან კალათბურთში საპატიო მსაჯის წოდება?**

ა — გიორგი ავალიშვილს
ბ — როლანდ ხომერიკს
გ — ვახტანგ ჯაფარიძეს

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ქალი საქართველოდან, ვინც მსოფლიოს პირველობაზე იჭიდავა, იყო **ელა გილიგაშვილი.**

**პირველმა** საბჭოთა საფეხბურთო მწვრთნელებიდან **ნოდარ ახალკაცმა** დაიწყო ფეხბურთელებისთვის პულსით რეგულარული დატვირთვები.

**პირველად** საქართველოს ცხენოსნებმა სსრ კავშირის პირველობაში მონაწილეობა მიიღეს 1951 წელს. გუნდი თბილისის, ზუგდიდის, ცხაკაიას (სენაკი), ფოთის, აბაშის, წალენჯიხის და გუდაუთის მხედრებით დაკომპლექტდა.

ძიუდო

# ტაისონი კიმონოში


ბექა ლვინიაშვილი

წელიწადნახევრის წინ „ლელოს“ რუბრიკაში „დიდი სპორტის კარიბჭესთან“ მკითხველს **ბექა ლვინიაშვილი** (81) წარვუდგინეთ, როგორც ძიუდოისტთა შორის მომავალი თაობის ერთ-ერთი პერსპექტიული ჭაბუკი. სასიხარულოა, რომ სპეციალისტების და ჩვენი ვარაუდი გამართლდა და აი, მიმდინარე სეზონში თუ ვინმე შეიძლება ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის აღმოჩენად ჩაითვალოს, სწორედ ის. წლევანდელი ბრწყინვალე სეზონი ბექამ საქართველოს პირველობაზე მოპოვებული გამარჯვებით დაიწყო, რასაც ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოაყოლა, მერე ორ საერთაშორისო ტურნირზეც გაიმარჯვა და ახლახან ოლიმპიური ფესტივალიდანაც ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. შესაბამისად გასაკვირი არაა, რომ მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კიევში, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ერთ-ერთ მთავარ იმედად სწორედ ის მიიჩნევა.

საჭიდაო არენაზე პირველი ნათლობა ბექას მშობლიური რუისის (ქარელი რ-ნი) ნახერხზე, ქართული ჭიდაობის შეჯიბრებაზე აქვს მიღებული. მალევე მამამისმა, რომელიც წარსულში ასევე მოჭიდავე იყო, გორის ძიუდოს დარბაზში **ანზორ თენაძეს** და **ნიკო ბიბილაშვილს** მიუყვანა დასაოსტატებლად. *„ბექამ პირველი დღიდანვე მიიქცია ყურადღება თავისი შესაშური ფიზიკური აღნაგობით და შრომისმოყვარეობით. ასეთი მონაცემების ფალავანს ხომ წარმატების მეტი შანსი აქვს და სასიამოვნოა, რომ ჩვენც სწორი მიმართულება ავიღეთ მის ძლიერ მოჭიდავედ ჩამოსაყალიბებლად. ამასთან, ბევრი ვიმუშავეთ ტექნიკის დახვეწაზე, ფიზიკური შესაძლებლობებით მას არასოდეს უჭირდა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე, რომ უმცროს ასაკშივე ხშირად დაგვყავდა საერთაშორისო შეჯიბრებებზე, რამაც საერთაშორისო არენაზეც შესძინა გვარიანი გამოცდილება“* - გვიყვება ნიკო ბიბილაშვილი.

ერთხანს ლვინიაშვილის მონდომება ზღვარსაც გასცდა და თვითშემოქმედებამ კინაღამ საბოლოოდ ჩამოაშორა იგი არენას. *„ზედმეტი ვარჯიშით „გადამწვარი“ ვიყავი, ცოტა ხანს გულზეც კი შემექმნა პრობლემები. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა კი ჩვენი ნაკრების თავკაცის გიორგი ვაზაგაშვილის დამსახურებაა. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნათლად გამარკვია სწორად მეცადინეობის ნიუანსებში, არადა, იქამდე ვარჯიშზე იგი თუ რამეს ერთხელ გაკეთებას მავალებდა, მე ჯიუტად სამ-ოთხჯერ ვაკეთებდი. როგორც იტყვიან, თავს არ ვზოგავდი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბაკურიანის შეკრებისას მწვრთნელი ორჯერ გუნდიდან გაშვებითაც დამემუქრა. საბოლოოდ ამ გადამეტებულ დატვირთვას შევეშვი, ნორმალურ რიტმში ჩავჯექი და შედეგიც მივიღე“* - ამბობს ბექა ლვინიაშვილი.

ამ ნიჭიერ ჭაბუკს გორის დარბაზსა თუ ჭაბუკთა ნაკრებში ყველა მეტსახელ „ტაისონით“ მიმართავს, მაგრამ მსოფლიოში პოპულარულ მოკრივესთვის მიბაძვა თავად არც უცდია. *„ცნობილი მოკრივის მეტსახელი ფიზიკური მონაცემების გამო ბავშვობაში შემარქვეს თანატოლებმა. მართალია, მოკრივის კარიერაზე არასოდეს მიოცნებია და ჩემი ერთადერთი გატაცება ძიუდო იყო, მაგრამ ნაცნობებმაც არ დაიშალეს და ასე დავრჩი ყველასათვის „ტაისონად“, ოღონდ კიმონოში“* - გვეუბნება ჩვენი წერილის გმირი.

ნიშანდობლივია, რომ ლვინიაშვილმა ნებისმიერ წლევანდელ შეჯიბრებაზე მუდამ დამაჯერებლად (იპონით, ან ქულათა დიდი უპირატესობით) აჯობა მეტოქეებს. თანაც, როგორც თავად გვითხრა, ყოველ მომდევნო ტურნირზე თავდაჯერება ემატება, თუმცა იქვე ცდილობს ემოციებს არ აჰყვეს და გამარჯვებებმა მასზე თავბრუდამხვევად არ იმოქმედოს. თავს იკავებს მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე პროგნოზებისგანაც.

ბოლოს კი ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოსაზრებასაც გაგაცნობთ: *„გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ ბექა ლვინიაშვილი ძალიან კარგი პიროვნება და უაღრესად პერსპექტიული ახალგაზრდაა. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ბიჭის შრომისმოყვარეობით, თავმდაბლობით და რაც მთავარია, ტალანტით! თუ მან მწვრთნელებს მომავალშიც დაგვიჯერა და ასეთივე კალაპოტში განაგრძო მუშაობა, დარწმუნებული ვარ, რომ დინამიურად გააგრძელებს ზრდას და საბოლოოდ ძალიან დიდ შედეგებსაც მიაღწევს“* - იმედიანადაა გიორგი ვაზაგაშვილი.

**ვასილ ბალახაძე**

ქადრაკი

# პაიკიძის ორიდან ორი

ინდოეთში 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გუშინ მე-2 ტურის პარტიები გათამაშდა. ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **ნაზი პაიკიძემ** შავი ფიგურებით 50-ე სვლაზე აზერბაიჯანელი ულვია ფატალიევა დაამარცხა. პერუელმა დეიზი კორიმ, ასევე, შავებით ინდოელ ნანდიჰაას სძლია, ოლგა გირიამ (რუსეთი)-აისა იმეევას (რუსეთი) მოუგო, კუბრა ოზთურქმა (თურქეთი)-პრია ნემას (ინდოეთი), როუთ რადმინიმ (ინდოეთი)-პონ კრიტიკას (ინდოეთი), ნარმინ კაზიმოვამ (აზერბაიჯანი)-ბალა კანამას (ინდოეთი), ირინა ბულმაგამ (რუმინეთი)-კარლა სერან ჰერედიას (ეკვადორი). ყველა გამარჯვებულმა ორ-ორ ქულას მოუყარა თავი. მოულოდნელი იყო ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტის, მე-2 ნომრად განთესილი რუსი დიდოსტატის - ანასტასია სავინას წაგება ფრანგ კაროლ ფორესტიესთან. არადა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი მეტოქეს რეიტინგში 297 პუნქტით უსწრებს.


ქეთი წანალაშვილი

თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი **ქეთი წანალაშვილი** ტურნირზე მეექვსე ნომერია. მან კენჭისყრაზე ჩასვლა დააგვიანა, ამიტომ პირველ ტურში მეტოქის გარეშე დარჩა და გათამაშების ცხრილში ნული ჩაეწერა. გუშინ კი თეთრი ფიგურებით საკმაოდ სუსტ არგენტინელ აილენ მარტინესს დაუზავდა, რომელიც ჩვენებურს რეიტინგში 307 პუნქტით ჩამორჩება. მართალია, ორ ტურში 1,5 ქულის დაკარგვა დიდი დანაკლისია, მაგრამ წინ კიდევ თერთმეტი ტურია დარჩენილი და მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება.

მესამე ტურში, რომლის ორთაბრძოლებიც დღეს გაიმართება, ორქულიანი მეწინავენი ასე დაწყვილდნენ: ნაზი პაიკიძე-კუბრა ოზთურქი, დეიზი კორი-ელენა სემიონოვა (რუსეთი), ჰულკატ ტახირჯანოვა (უზბეკეთი)-ოლგა გირია, როუთ რადმინი-ჯულიანა საემი ტერაო (ბრაზილია), კაროლ ფორესტიე-ირინა ბულმაგა, ნარმინ კაზიმოვა-ლასია (ინდოეთი). ქეთი წანალაშვილი შავებით შეთი შრისტის (ინდოეთი) დაუპირისპირდება.

ვაჟთა ტურნირში 15 ოროსანია. ასე რომ, აქ გამოკვეთილ კონკურენტზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# ეს გამერო ვინ ყოფილა

მაკედონიაში შესარჩევ ტურნირზე გამგზავრების წინ საქართველოს კადეტთა ნაკრების თავკაცმა **გია კაზანჯიანმა** აღნიშნა - ჩვენი მთავარი საფიქრალი წინა ხაზია, ტანმაღალი კალათბურთელების ნაკლებობას განვიცდითო. ეს გუშინ პორტუგალიასთან მატჩში თვალნათლივ გამოჩნდა - მეტოქემ ჩვენს გუნდს ფარქვეშ აშკარად აჯობა, ბურთი 54-ჯერ მოხსნა, როცა ქართველები ფარიდან ასხლეტილ ბურთს მხოლოდ 33-ჯერ დაეუფლნენ. მეტსაც გეტყვით: პორტუგალიელებმა 19 მოხსნა საქართველოს ნაკრების ფარზე მიითვალეს.

გია კაზანჯიანმა ისიც დასძინა, სწრაფი თამაშით უნდა ვეცადოთ უპირატესობის მოპოვებასო. სისწრაფე კი უკანახაზელებს მოეთხოვებათ, თუმცა ვერც პერიმეტრზე ვაჯობეთ გუშინდელ მეტოქეს - პორტუგალიელებმა გაცილებით მეტი სამქულიანი გამოიყენეს (7:3). გადამწყვეტი სწორედ მესამე პერიოდის დასაწყისში ჩაგდებული სამი სამქულიანი იყო - სამივე ტყორცნა **დიოგო გამერომ** გამოიყენა და პირენეელთა უპირატესობა 15 ქულამდე გაიზარდა (49:34).

ამის შემდეგ ქართველები ბევრს ეცადნენ, მაგრამ თამაშის შემოტრიალება ვერ მოახერხეს.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე ჩვენმა კადეტებმა პირველი ადგილის დაკავების შანსი უკვე დაკარგეს, მეორე პოზიციისთვის კი ფინეთს შეებრძოლებიან. ორივე გუნდს თითო მოგება აქვს და დღევანდელ მატჩში გამარჯვებული მეორე ეტაპს მეორე პოზიციაზე დაასრულებს.

**3 აგვისტო**

**საქართველო-პორტუგალია 52:67**

**14:21, 17:16, 12:19, 9:11**

**საქართველო:** ბოლქვაძე (25 წთ, 13ქ, 2პ, 2ჩ), ქიტოშვილი (11 წთ, 1ქ), ამირხანაშვილი (15 წთ, 3ქ, 2ჩ, 2მ), ლილუაშვილი (13 წთ, 2ქ), ტომარაძე (12 წთ, 3ქ, 2მ), დვალი (4 წთ), აბულაძე (26 წთ, 8ქ, 2ჩ), ჯაყელი (16 წთ, 2ქ, 4მ), ცქიტიშვილი (8 წთ), გამრეკლიძე (25 წთ, 15ქ, 9მ), დარახველიძე (24 წთ, 4მ), პულუზაშვილი (22 წთ, 5ქ, 4მ, 7დ).

**პორტუგალია:** გიმარაეში (11ქ, 10მ), მარკესი (14ქ), ინსალი (14ქ, 10მ), გამეირო (17ქ, 13მ)...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 131/114 | 4 |
| 2. ფინეთი | 2 | 1 | 1 | 129/127 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 1 | 1 | 122/134 | 3 |
| 4. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 2 | 130/137 | 2 |

**დღეს**

16:30 პორტუგალია-ლუქსემბურგი

18:45 საქართველო-ფინეთი

**ვაჟა სიმონიშვილი**

სატრანსფერო სიახლენი

# მეტრეველმა დინამო სერია A-შიც მოძებნა



საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ნიკა მეტრეველი** მომავალ სეზონში სარდინიის ქალაქ სასარის „დინამოს“ ღირსებას დაიცავს. იგი 2015 წლამდე კონტრაქტით სიენას „მონტეპასკის“ ეკუთვნის, მაგრამ სასარელებმა მის ხელმძღვანელობას მეტრეველის დათმობა სთხოვეს და ქართველი კალათბურთელი სარდინიაზე განათხოვრების წესით ერთ სეზონს ითამაშებს.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **მატეო საკეტი** ახალი შენაძენით კმაყოფილია და აცხადებს, რომ გუნდი პერსპექტიული, მზარდი და მშრომელი ფორვარდით გაძლიერდა.

ნიკა 1991 წელსაა დაბადებული და 210 სმ სიმაღლისაა. იგი გასულ სეზონში რიმინის „კრაბსთან“ ერთად იტალიის „ლეგადუეში“ ასპარეზობდა. ერთი წლით ადრე ასევე ქვედალიგელი „ფერენტინოს“ ღირსებას იცავდა, მანამდე კი „მონტეპასკისთან“ ერთად იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატი აქვს მოგებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

# ვინ ცეცხლს ანთებს... ვინ არა!



ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე 35 დღე დარჩა. გუნდები [illegible]ალებით ემზადებიან და უკვე, ფაქტობრივად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, ვინ მოხვდება მსოფლიოს თასზე და ვინ არა. ვინც უკვე საკმაოდ ცხელია, მოედანზე ცეცხლს ანთებს და ვინ კიდევ გაცივდა.

## ისინი მოედანზე ცეცხლს ანთებენ

**ქუადე კუპერი და ვილი გენია** - ბრისბენის „რედსისა" და ავსტრალიის ნაკრების წამყვანი დუეტი შეტევით პოტენციალში პირდაპირ ინვებიან. კუპერის და გენიას დიდი დამსახურებაა, ბრისბენულმა კლუბმა ზე რაგბის გათამაშება რომ მოიგო. გამორიცხული არ არის, ამ ბიჭებმა „ვოლაბებს" წლეულს სამი ერიც მოაგებინონ. მათ „ბოკე" უკვე ბეჭებზე დასცეს, ახლა „ოლ ბლექსის" ჯერია და მერე წინ მსოფლიოს თასია...

**მანუ ტუილაგი** - საყოველთაოდ ცნობილი სამოელი ხუთი ძმიდან ის ყველაზე უმცროსია. დიდი ხანი არ გავიდა მას შემდეგ, რაც მანუმ ინგლისელ ვარსკვლავს, გარემარბ **კრის ეშტონს** ყბაში უთავაზა. ამას ხელი არ შეუშლია ლესტერელი შუამარბისთვის შესანიშნავი სეზონი ჩაეტარებინა. ეშტონი და ტუილაგი შერიგდნენ და „პომების" თავკაცი **მარტინ ჯონსონი** აღფრთოვანებას ვერ მალავდა ისე გაუხარდა, 20 წლის ამომავალი ვარსკვლავის ნაკრებში მიწვევის საშუალება რომ მიეცა.

კულუარული ინფორმაციით, მანუ ტუილაგი 13 აგვისტოს უელსთან მატჩში ძირთად შემადგენლობაში იქნება.

**ქორი ჯეინი** - სამი კვირის წინათ მას ნაკრების 30-კაციან შემადგენლობაში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი ჰქონდა. ჯეინმა ხელზე თითი დაიშავა და სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობდა. ახლა ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მან „ბოკესთან" ბრწყინვალედ ითამაშა, ორი ლელო გაიტანა და „ოლ ბლექსის" მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** ხოტბა შეასხა. სავარაუდოდ, ქორი ჯეინს თავის გამოჩენის საშუალება ამ უქმეებზე ავსტრალიასთან მატჩშიც ექნება. ვნახოთ, როგორ ითამაშებს ბიჭი.

**არგენტინა და იტალია** - მსოფლიოს თასზე მოასპარეზე ყველა გუნდის ეკიპირება უკვე ვნახეთ. ყველაზე „სტილნები" არგენტინისა და იტალიის ნაკრებები იქნებიან. ამ საქმეში იტალიელებს ბადალი არ ჰყავთ, „პუმებმაც" ფეხი აუწყვეს. კარგად უმუშავიათ ფერებზე სამოას ნაკრების დიზაინერებსაც.

**ნატალ შარქსის გოგონები** - აი, ესენი კი მართლა ცეცხლს ანთებენ. „ქარის თასის" გათამაშების მატჩების მსვლელობისას ისინი საცვლების ამარა ცეკვავენ და ... მგონი საკმარისია.

## ისინი დანიდინის ზამთრის საღამოებზე უფრო ცივები არიან

**მეთ გიტო** - განგაშის ზარი მის კარიერაში მაშინ დაირეკა, როცა სამი კვირის წინ ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა, **რობი დინსმა** გუნდის შემადგენლობაში არ შეიყვანა. გიტოს ამ მატჩიდან ერთი კვირის თავზე არც სამხრეთაფრიკელებთან უთამაშია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ვოლაბების" კვართით მას ვერც ოქლენდში ვიხილავთ „ოლ ბლექსთან" დაპირისპირებაში. ცხადია, მწვრთნელის გადასაწყვეტია, წაიყვანოს თუ არა მეთი მსოფლიოს თასზე, მაგრამ თუ ბოლო ხანს მის მიერ ნაკრებში ჩატარებულ უფერულ მატჩებს და „ბრამბიზში" გატარებულ წარუმატებელ სეზონს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის ახალ გუნდს, ფრანგულ „ტულონს" დაგეგმილზე ადრე შეუერთდება.

**მორნი სტეინი** - შესაძლოა მის მიმართ ზედმეტად მკაცრნი ვართ. ძნელია, გუნდს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ამჟამად სამხრეთ აფრიკის ნაკრები იმყოფება, რაიმე ხეირიანი შესძინო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მორნი სტეინი ძალიან შორსაა თავისი საუკეთესო სათამაშო ფორმიდან.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ „ბოკეს" თავკაცი **პიტერ დე ფილიერსი** მის შემცვლელს ეძებს. ამ შემთხვევაში მას არჩევანის გაკეთება **პატრიკ ლამბიესა** და **ბუჩ ჯეიმზის** შორის მოუწევს.

**ფიჯის ნაკრები** - ოთხი წლის წინ ამ ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს თასის მშვენება იყო. ფიჯელებმა უელსელები გაანბილეს და მეოთხედფინალში ლამის სამხრეთ აფრიკის ნაკრებსაც სძლიეს. ამჟამად მდგომარეობა სულ სხვაგვარად იქნება. ფიჯური რაგბის მამები დღემდე სპონსორებს ეძებენ და ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან. ამას ისიც დაუმატეთ, რომ საკმაოდ ბევრ მოთამაშეს ახალ ზელანდიაში შესვლის უფლება არ მისცეს ამ ქვეყნის დიქტატორულ რეჟიმთან კავშირის გამო.

ასეა, ფიჯელებისთვის ახალ ზელანდიაში ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები არ მოიძებნება.

**ყველა კივი, ვისაც მსოფლიოს თასი არ აღაფრთოვანებს** - ახალი ზელანდიიდან ონლაინ გამოკითხვის გამაოგნებელი შედეგები მივიღეთ. აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს თასის გათამაშებას მოუთმენლად მოსახლეობის მხოლოდ 37 პროცენტი ელოდება, არ ელოდება 35 პროცენტი, ხოლო დანარჩენისთვის სულ ერთია, ჩატარდება თუ არა. რა?! წარმოუდგენელია! რაღაც აქ ისე არ არის. იმედი გვაქვს, რაღაც შეცდომაა, თუ არა და, როგორც კი შეჯიბრება დაიწყება, ეს მონაცემები რადიკალურად შეიცვლება.

**ინგლისის რაგბის კავშირი** - ეს ისტორია დიდი ხანია, გრძელდება. არადა, აღარ დასრულდა ამ ორგანიზაციაში ფინანსური თუ პოლიტიკური დავა-კამათი. ინგლისის რაგბის კავშირს აღმასრულებელ დირექტორ **პიტერ ტომასს** ბოლოს ყოველივემ თავი ისე მოაბეზრა, რომ გუდა-ნაბადი აიკრა და წავიდა.

ინგლისურ რაგბის დღემდე არ ჰყავს ხელმძღვანელი, აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ადამიანური რესურსის მმართველი და ასე შემდეგ. როგორც მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, ამას კიდევ დიდხანს არ ეშველება. არადა მატარებელი მიქრიიის.



მსოფლიოს თასი

## Gorgodzilla Georgia's answer to Jonah Lomu

Look out, the Beast is coming! Mamuka Gorgodze, Georgia's loose forward and occasional lock, is a true rugby monster. Originally a basketball player, he stands at 1.96 metres tall and weighs in at an impressive 118 kilograms. "Gulliver" or "Gorgodzilla" is seen as Georgia's answer to Jonah Lomu.

Gorgodze made his international debut in 2003 at the tender age of 18 and has now been capped 37 times by the country of his birth, scoring a Georgian record total of 15 tries. Still only 27, he was recently awarded the honorary title of "Knight of Georgian Sport", the first time the award has gone to a rugby player. He was recently voted by the French sports magazine Midi Olympique as best number 7 in France's Top 14 and was selected for the magazine's Top 14 Dream Team. Gorgodze, who plays for Montpellier, has also gained the title of Best Foreign Player from French daily sports paper L'equipe.

With 23 of the 32 members of



# გორგოძილა, საქართველოს პასუხი ჯონა ლომუს

მსოფლიოს 20 საუკეთესო ქვეყნის ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმისთვის ემზადება. გამალებული სამზადისია თავად ახალ ზელანდიაში. „როუდ შოუ", რომლის დროსაც მსოფლიოს თასი ამ ქვეყნის ქალაქებში ჩამოატარეს, გუშინწინ დასრულდა. ამ ღონისძიებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ახალ ზელანდიაში ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი თუ ჯეელი მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყების მოლოდინით ცხოვრობს.

ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ საკმაოდ აქტიურია ამ მხრივ ვაირარაპას რეგიონი, რომლის ქალაქ მასტერტონშიც საქართველოს ნაკრები ერთ კვირას დაყოფს. მასტერტონელები, როგორც უკვე ვწერდით, „ბორჯღალოსნების" ქომაგობას აპირებენ. რეგიონის ცენტრალურმა გაზეთმა „ვაირარაპას ნიუსმა" ახლახან ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, **მამუკა გორგოძის** შესახებ წერილი გამოაქვეყნა სათაურით „გორგოძილა - საქართველოს პასუხი ჯონა ლომუს".

წერილში დეტალურად და ლაკონურადაა მოთხრობილი მამუკას სპორტული ბიოგრაფიისა და კარიერის ყველაზე საინტერესო დეტალების თაობაზე. ამასთან, მოკლედაა აღწერილი, როგორ ემზადება ჩვენი ნაკრები მომავალი მსოფლიოს თასისთვის.

აღსანიშნავია, რომ მასტერტონში საქართველოს ნაკრებს მოუთმენლად ელიან და ადგილობრივებმა **კეტრინ როსიტერ-სტიდის** ხელმძღვანელობით „ბორჯღალოსნების" ქომაგთა კლუბი შექმნეს. საორგანიზაციო კომიტეტს ჩვენი ეროვნული გუნდის სტუმრობისას რამდენიმე ღონისძიება აქვს დაგეგმილი. მაგალითად, საქართველოს ნაკრები მასტერტონში 19 სექტემბერს დღის პირველ ნახევარში ჩავა. საღამოს კი ადგილობრივი მაორების რელიგიური ზეიმი გაიმართება. ჩვენს მორაგბეებს მათ სალოცავთან, მარაესთან მიიწვევენ. მათ პატივსაცემად გაიმართება მაორთა ცეკვები. ადგილობრივები ნაციონალური ტანსაცმლით იქნებიან შემოსილნი. მასტერტონის სარაგბო კლუბის მოთამაშეები კი ტრადიციულ საბრძოლო რიტუალ ჰაკას შეასრულებენ.

22 სექტემბერს მასტერტონის ცენტრალურ ქუჩაზე, ქუინ სტრიტზე საქართველოს ნაკრების ამ ქალაქში სტუმრობასთან დაკავშირებით აღლუმი გაიმართება. სკოლის მოსწავლეები, სპორტული კლუბების წარმომადგენლები და უბრალოდ, ქალაქის მოსახლეობა ჩვენი ნაკრების ფერებში იქნება გამოწყობილი.

გამორიცხული არ არის, აღლუმში საქართველოს ნაკრებმაც მიიღოს მონაწილეობა, რაც ადგილობრივებისთვის უდიდესი პატივი იქნება.

24 სექტემბერს დედოფალ ელიზავეტას სახელობის პარკში საქართველოს ნაკრებს ბარბექიუზე დაპატიჟებენ. ეს არის ტიპური ახალზელანდიური პიკნიკი, რომელზეც უხვად იქნება წარმოდგენილი ადგილობრივი სამზარეულოს საუკეთესო ნიმუშები, ჰანგი (მეთოდი, რომლითაც მაორები საკვებს ამზადებენ).

აქვე გაიმართება ეგრეთ წოდებული სახალხო სეირნობა. მინი-რაგბის მოედანზე თავიანთ ოსტატობას მასტერტონელი ბავშვები აჩვენებენ. მასპინძლებს იმედი აქვთ, რომ მათ თამაშში ქართველი მორაგბეებიც ჩაერთვებიან.

ამის გარდა **სერ ბრაიან ლოჰორი,** რომელიც 1987 წელს მსოფლიოს თასზე გამარჯვებული ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, საქართველოს ნაკრებს შინ დაპატიჟებს და გულთბილად გაუმასპინძლდება.

ამის გარდა, ქალაქ მასტერტონის მერი ჩვენს გუნდს სასტუმროში ეწვევა, რომლის დროსაც ქართველ მორაგბეებს საშუალება მიეცემათ, ადგილობრივი წარმოების ღვინო დააჭაშნიკონ და თავად ღვინის მწარმოებლებსაც გაეცნონ. აღსანიშნავია, რომ ეს რეგიონი ახალ ზელანდიაში საუკეთესო ღვინის მწარმოებელ მხარედ ითვლება.

ერთი სიტყვით, რუმინეთის ნაკრებთან მატჩამდე, რომელიც 28 სექტემბერს მასტერტონიდან 60 კილომეტრით დაშორებულ პალმერსტონში გაიმართება, საქართველოს ნაკრებს საკმაოდ საინტერესო მოვლენებით დახუნძლული წვრთნისა და დასვენების პირობები ექნება. ამ მატჩზე მასტერტონი და მიმდებარე პატარა დასახლებული პუნქტების მცხოვრებლები ჩვენი გუნდის ქომაგები იქნებიან.

| მსოფლიოს თასი |
|---|
| 14 სექტემბერი |
| საქართველო-შოტლანდია |
| 18 სექტემბერი |
| საქართველო-ინგლისი |
| 28 სექტემბერი |
| საქართველო-რუმინეთი |
| 2 ოქტომბერი |
| საქართველო-არგენტინა |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

კრივი


მაიკ ტაისონი

# ექთანი ტაისონი

ლეგენდარული ამერიკელი მძიმეწონოსანი **მაიკ ტაისონი** აგრძელებს კეთილი საქმეების კეთებას. ამჯერად, მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა ექთნად იმუშავა ერთ-ერთი საავადმყოფოს ღარიბი პაციენტების განყოფილებაში.

ეს აქცია რეალიტი-შოუს - Same Name-ის („სეხნიები") ეგიდით ჩატარდა, რომელიც ტელეარხ CBS-ზე გადის. ამ პროექტში ცნობილი სახეები დროებით უცვლიან პროფესიას საკუთარ სეხნიებს.

ტაისონის სეხნია (უნდა ემთხვეოდეს გვარიც და სახელიც) მიჩიგანის შტატის ქალაქ ზილანდში ცხოვრობს. რეალიტი-შოუს ეგიდით მან სიმბოლური საკრივო ორთაბრძოლა გამართა სპორტსმენ ტაისონთან, შემდეგ კი თავისი ადგილი დაუთმო საავადმყოფოში მოკრივეს. ამ აქციიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდა.

როგორც გამოცემა Detroit Free Press წერს, პროგრამა Same Name ტაისონის მონაწილეობით CBS-ის არხზე 7 აგვისტოს გავა.

სპორტი და ფინანსები

# ნუ ითამაშებთ ბოულინგს

გუშინდელ ნომერში ჩვენ შემოგთავაზეთ ESPN Magazine-ის კვლევის შედეგები. ცხრილში მოცემული იყო 180 ქვეყნის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სია. დღეს შეგვიძლია გავიგოთ, სპორტის რომელ სახეობაში უხდიან ვარსკვლავებს ყველაზე მაღალ ხელფასს.

2010 წლის შედეგების მიხედვით, ყველაზე სარფიანი ყოფილა ბეისბოლში ან კრივში წასვლა, ხოლო ყველაზე ნაკლები შემოსავალი ბოულინგში მოღვაწე ქალებს აქვთ.

| სახეობა | სპორტსმენი | შემოსავალი |
|---|---|---|
| ბეისბოლი | ალექს როდრიგესი | 32 000 000 |
| კრივი | მენი პაკიაო | 32 000 000 |
| ავტოსპორტი | კიმი რაიკონენი | 26 333 333 |
| კალათბურთი | კობი ბრაიანტი | 24 800 000 |
| ფეხბურთი | კრისტიანო რონალდო | 19 500 000 |
| ცხენოსნობა (ჟოკეი) | რამონ დომინგესი | 17 411 880 |
| ამერიკული ფეხბურთი | პეიტონ მენინგი | 15 800 000 |
| ჩოგბურთი (კაცები) | რაფაელ ნადალი | 10 171 998 |
| ჰოკეი | ვენსან ლეკავალიე | 10 000 000 |
| | რობერტო ლუონგო | 10 000 000 |
| პოკერი | ჰონათან დუჰამელი | 9 443 519 |
| გოლფი (კაცები) | ლუკ დონალდი | 5 867 601 |
| ჩოგბურთი (ქალები) | კიმ კლაისტერსი | 5 035 060 |
| გოლფი (ქალები) | ნა იეონ ჩოი | 1 871 165 |
| ხარებით რბოლა | რენატო ნუნიესი | 1 594 527 |
| დარტსი | ფილ ტეილორი | 1 044 000 |
| თევზაობა | კევინ ვენდამი | 915 500 |
| მარათონი (ქალები) | ლილია შობუხოვა | 695 000 |
| მარათონი (კაცები) | სამუელ ვანჟირუ | 617 000 |
| სერფინგი (კაცები) | კელი სლეიტერი | 516 000 |
| სამთო თხილამურები (ქალები) | ლინდსი ვონი | 509 542 |
| როდეო | ტრევორ ბრეზილი | 507 920 |
| სამთო თხილამურები (კაცები) | ივიცა კოსტელიჩი | 464 440 |
| სუმო | ჰაკუჰო | 400 000 |
| პლაჟის ფრენბურთი (კაცები) | დალჰაუზერი/როჯერსი | 387 700 |
| პლაჟის ფრენბურთი (ქალები) | ლარისა/ჟულიანა | 351 300 |
| ტრიატლონი (ქალები) | ემა სნოუსილი | 239 800 |
| ტრიატლონი (კაცები) | ტიმ დონი | 223 600 |
| ჰოთ-დოგის ჭამა | ჯოი ჩესტნუტი | 218 500 |
| სქვოში | ნიკ მეტიუ | 166 926 |
| ბოულინგი (კაცები) | ვალტერ უილიამსი | 152 670 |
| სერფინგი (ქალები) | სტეფანი გილმორი | 140 700 |
| ბილიარდი (კაცები) | დარენ ეპლტონი | 118 494 |
| ბილიარდი (ქალები) | გა-იან კიმი | 67 930 |
| ბოულინგი (ქალები) | შენონ პლუჰოვსკი | 40 300 |

ალექს როდრიგესი


ჩოგბურთი. ტურნირები

# ორ კარლსბადს შორის დაკარგული სერბი

გასული საჩოგბურთო დღის მიმოხილვა ქალთა ერთადერთი ტურნირით დავიწყოთ, რომელიც ამ კვირას მიმდინარეობს.

ამერიკის ქალაქ კარლსბადში პირველი წრის მატჩები დასრულდა და პარალელურად მეორე წრე დაიწყო. სატურნირო ბადეში ერთადერთ ჩოგბურთელს ვხედავთ, ვისაც ეს ტურნირი ადრე მოუგია. ეს გახლავთ იაპონელი ვეტერანი **კიმიკო დატე** - მან აქ შორეულ 1996 წელს მოიპოვა მთავარი პრიზი. მაშინ აზიელმა კარლსბადში ისეთი სახელოვანი ჩოგბურთელები დაამარცხა, როგორებიც იყვნენ - **გაბრიელა საბატინი, კონჩიტა მარტინესი** და **არანჩა სანჩეს-ვიკარიო.** ვინც იცის, იქნებ 40 წელს გადაცილებულ იაპონელს ამჯერადაც გაუმართლოს. ამისთვის მან პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა - პირველ წრეში დაამარცხა არგენტინელი **ხისელა დულკო**, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან დულკოს გასულ კვირას ქორწილი ჰქონდა და ტურნირისთვის მოსამზადებლად ნამდვილად არ ეცალა.

ამ დღეს ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება **საბინ ლისიცკიმ** მოიპოვა. გერმანელმა 52 წუთში გაანადგურა უნგრელი **გრეტა არნი.** მართალია, ლისიცკის მოწოდება არ წაუვიდა, სამაგიეროდ, ხუთიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და ამით აიცილა თავიდან ზედმეტი გართულებები.

რუმინელმა **სიმონა ჰალეპმა ტამირა პაჩეკს** პირველი სეტი „მშრალი" ანგარიშით მოუგო, მაგრამ მაინც მოახერხა წაგება, არადა, საერთო ჯამში მეტოქეზე 16 ქულით მეტი მიითვალა. კარგი მატჩი ჩაატარა **მარია კირილენკომ**, რომელმაც ორ სეტში მოუგო **რებეკა მარინოს** - რუსმა საათისა და 18 წუთის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა კანადელს. ასევე აღვნიშნავთ **მარინა ერაკოვიჩის** გამარჯვებას **ელენა ვესნინაზე.** ამ უკანასკნელმა ათი ბრეიკ-პოინტი გაატანა ქარს და მხოლოდ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება.

გაიმართა მეორე წრის სამი მატჩი და სამივე ფავორიტმა გაიმარჯვა. **აგნიეშკა რადვანსკამ** პირველი სეტის „მშრალი" ანგარიშით მოგებით მიანიშნა **ელენა ბალტაჩას**, რომ მას შანსი არ ჰქონდა. **ვერა ზვონარევამ ჯილ კრეიბასის** წინააღმდეგ ოთხივე ბრეიკ-პოინტი მოიგერია. რაც შეეხება ტურნირის მეორე ნომერს **ანდრეა პეტკოვიჩს**, მან საათსა და 17 წუთში მასპინძელი **ალექსა გლეტჩი** გაანადგურა. თუმცა გერმანელმა ორჯერ მოასწრო საკუთარი მოწოდების წაგება, საპასუხოდ კი ოთხი ბრეიკი მიითვალა.

■ ■ ■

საინტერესო ამბავი შეემთხვა სერბ **ბოიანა იოვანოვსკის**, რომელმაც კინაღამ დააგვიანა **რობერტა ვინჩისთან** პირველი წრის მატჩზე. როგორც აღმოჩნდა, ამერიკაში ორი კარლსბადი არსებობს. ტურნირი კალიფორნიის შტატში იმართება, მაგრამ ასეთივე სახელის ქალაქი ყოფილა ნიუ მექსიკოს შტატში და სწორედ იქ ჩაფრინდა იოვანოვსკი. 19 წლის ჩოგბურთელი თითქმის ცარიელ აეროპორტში 15 წუთი ელოდა მისთვის განკუთვნილ სპეციალურ ავტობუსს, რის შემდეგაც ტურნირის ორგანიზატორებს დაურეკა და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა ეს გაუგებრობა.

სერბმა მაინც მიასწრო პირველი წრის მატჩს, რომელშიც მან სამ სეტში წააგო იტალიელ **რობერტა ვინჩისთან** - 6:3, 4:6, 1:6.


კიმიკო დატე 1996 წელს

### WTA
### Mercury Insurance Open

კარლსბადი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**I წრე**

**კიმიკო დატე (იაპ)**-ხისელა დულკო (არგ) 7:5, 6:0; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:1, 4:6, 7:5; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 0:6, 6:4, 7:5; ფლავია პენეტა (იტა)-**ალბერტა ბრიანტი (იტა)** 6:1, 2:6, 2:6; მარია კირილენკო (რუს)-რებეკა მარინო (კან) 6:3, 6:2; **სარა ერანი (იტა)**-სანია მირზა (ინდ) 6:2, 6:3; ოლგა გოვორცოვა (ბლრ)-**ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)** 6:7, 6:2, 3:6; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 6:2; **საბინ ლისიცკი (გერ)**-გრეტა არნი (უნგ) 6:0, 6:2; **ბარბორა სტრიკოვა (ჩეხ)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:4, 1:6, 7:5; შუაი ჟენგი (ჩინ)-**სლოუნ სტივენსი (აშშ)** 4:6, 2:6; იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა)-ალა კუდრიავცევა (რუს) 3:6, 2:6.

**II წრე**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:0, 7:6; **ვერა ზვონარევა (რუს)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 7:5; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:3, 6:4.

# ფინელის იუბილე

ვაშინგტონის ტურნირზე მეორე წრეში ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ამ შეჯიბრების ყოფილი ჩემპიონები: ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** შარშანდელი ტრიუმფატორის **დავიდ ნალბანდიანის** წინააღმდეგ. გამარჯვებული მასპინძელი გამოვიდა, რომელმაც მარტის შემდეგ პირველად შეძლო ზედიზედ ორი მატჩის მოგება. ჯეიმსმა ეს საკმაოდ იოლად მოახერხა. 72 წუთის განმავლობაში მან შვიდი ეისი ჩააწოდა და სამიდან სამი ბრეიკ-პოინტი მოიგერია.

პრობლემა არ ჰქონია კიდევ ერთ ამერიკელ **ჯონ ისნერს** - მან კლასის ხარჯზე იოლად გაიარა გერმანელი **ტობიას კამკეს** ბარიერი.

გასულ კვირას ლოს ანჯელესის ტურნირის ნახევარფინალში გასულმა **ალექს ბოგომოლოვმა** ამჯერად პირველივე წრეში წააგო **რაიან სვიტინგთან. გრიგორ დიმიტროვმა** 12 ეისის წყალობით ორ საათსა და 40 წუთში მოუგო **ტიმ შმიჩეკს.** წელს ATP-ის ტურში მეორე გამარჯვება მოიპოვა ვეტერანმა გერმანელმა **ტომი ჰაასმა** - მან ორ სეტში დაამარცხა ამერიკელი **ამირ დელიჩი.** აღსანიშნავია, რომ ჰაასმა პირველ მოწოდებაზე ქულების 92 პროცენტი მოიგო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფინელი **იარკო ნიემინენის** მატჩი მეორე წრეში. სკანდინაველმა ორ სეტში მოუგო რუს **იგორ კუნიცინს.** ეს შეხვედრა იმით არის აღსანიშნავი, რომ ნიემინენისთვის ეს იყო კარიერაში მე-300 გამარჯვება. დღეისთვის იარკოსთვის პროფესიულ ტურში მოგება-წაგების ბალანსი 300:240-ს შეადგენს.

ნიემინენმა პროფესიული კარიერა 2000 წელს დაიწყო და ზედიზედ ათი წლის განმავლობაში სეზონს საუკეთესო ასეულში ასრულებდა. ფინელის საუკეთესო სარეიტინგო მიღწევაა მე-13 ადგილი (2006 წლის ივლისი). სულ მას ATP-ის ტურში 10 ფინალი აქვს ნათამაშები და აქედან ერთი ტიტული მოიგო - 2006 წელს ოკლენდში.

და კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც ვაშინგტონის ტურნირს ეხება. აქ გამოსვლაზე უარი განაცხადა ამერიკელთა პირველმა ნომერმა **მარდი ფიშმა.** როგორც იცით, მან ბოლო ორი კვირის განმავლობაში ატლანტასა და ლოს ანჯელესში ითამაშა: პირველ შემთხვევაში მთავარი პრიზი მოიგო, მეორეში კი ფინალამდე მიაღწია. ახლა, ფიშმა დაღლილობა მოიმიზეზა და ამის გამო თქვა უარი თამაშზე.

■ ■ ■

ავსტრიის კიტცბუელში პარალელურად მიმდინარე გრუნტის ტურნირზე მხოლოდ ოთხი შეხვედრა ჩატარდა და ამით პირველი წრე დასრულდა.

ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა **მარსელ გრანოლერსმა ფილიპო ვოლანდრი** დაამარცხა. მართალია, ესპანელი მხოლოდ მეშვიდე ნომრად არის განთესილი ავსტრიაში, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევა, რადგან გასულ კვირას შვეიცარიის გშტაადში მთავარი პრიზი მოიპოვა.

გრანოლერსის შემდეგი მეტოქე **ანტონიო ვეიჩი** იქნება, რომელმაც იმავე დღეს მასპინძლების ერთ-ერთი მთავარი იმედი **ანდრეას ჰაიდერ-მაურერი** დაამარცხა. ამისთვის მას ორსაათნახევარი და სამი სეტი დასჭირდა. სხვათა შორის, ეს ხორვატი რეიტინგის მეორე ასეულის ბოლოში იმყოფებოდა, მაგრამ მაინც შეუძლია გრუნტზე ნებისმიერი ფავორიტისთვის პრობლემების შექმნა. შეგახსენებთ, რომ ვეიჩმა წლევანდელი როლან გაროსი საკვალიფიკაციო ტურნირიდან დაიწყო და საბოლოოდ, მესამე წრეს მიაღწია, სადაც მომავალ ჩემპიონ **რაფაელ ნადალთან** დამარცხდა.

### ATP
### Bet-At-Home Cup

კიტცბუელი (ავსტრია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**I წრე**

**ჟოაო სოუზა (ბრა)**-იეჟი იანოვიჩი (პოლ) 6:3, 4:6, 7:6; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:4, 6:2; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 6:3, 6:3; **ანტონიო ვეიჩი (ხორ)**-ანდრეას ჰაიდერ-მაურერი (ავსტრია) 6:7, 6:4, 6:2.

### Legg Mason Tennis Classic

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 165 500 დოლარი

**I წრე**

**მიხაელ ბერერი (გერ)**-პაოლო ლორენცი (იტა) 7:5, 6:1; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-საშა ზვერევი (გერ) 6:4, 1:6, 6:1; ალექს ბოგომოლოვი (აშშ)-**რაიან სტივინგი (აშშ)** 2:6, 4:6; **ფლავიო ჩიპოლა (იტა)**-მარსელ ილჰანი (თურ) 7:6, 6:0; ამირ დელიჩი (აშშ)-**ტომი ჰაასი (გერ)** 2:6, 3:6; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 4:6, 7:6, 7:6; **სომდევ დევარმანი (ინდ)**-დენის გრემელმაირი (გერ) 6:2, 6:3.

**II წრე**

**კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 3:6, 6:2, 7:6; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 7:5, 6:4; დავიდ ნალბანდიანი (არგ)-**ჯეიმს ბლეიკი (აშშ)** 2:6, 4:6; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ტობიას კამკე (გერ) 6:1, 6:3.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# ლიგა სასამართლოში წავიდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია სასამართლოში უჩივის მოთამაშეთა პროფკავშირს. ეს გადაწყვეტილება ლიგის ხელმძღვანელობამ სამშაბათს გამართული წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ მიიღო. NBA მოთამაშეებს ადანაშაულებს იმაში, რომ მათ არ სურთ პატიოსნად და ღიად მოლაპარაკებათა წარმართვა. გარდა ამისა, ლიგას არ მოსწონს პროფკავშირის აგრესიულობა, რაც ზეწოლაზე აგებულ ტაქტიკაში გამოიხატება.



ლიგის კომისარი დევიდ სტერნი

როგორც სააგენტო AP წერს, ლიგა ითხოვს იმის აღიარებას, რომ ლოკაუტი არ არღვევს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას. თუ მოთამაშეთა პროფკავშირი აასრულებს მუქარას და უარს იტყვის საკუთარ სტატუსზე, NBA მოთამაშეებთან მოქმედი კონტრაქტიების განწყვეტას მოითხოვს.

რამდენიმე საათში ასოციაციის ამ მუქარას უპასუხა მოთამაშეთა პროფკავშირმა. ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **ბილი ჰანტერმა** ოფიციალური განცხადება გააკეთა:

*„NBA-ის მსგავსი ტაქტიკა მათი ნეგატიური მიზნების კიდევ ერთი დადასტურებაა. პროფკავშირი არ აპირებს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში თავისი სტატუსის შეცვლას. ორი წლის განმავლობაში ჩვენ პატიოსნად ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს, ვარწმუნებდით NBA-ს, დაბრუნებოდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას, რათა უმოკლეს დროში მიგვეღო გადაწყვეტილება და ახალი სეზონი საფრთხის ქვეშ არ დაგვეყენებინა“.*

■ ■ ■

სერიოზული პრობლემებია ევროპის ჩემპიონატის წინ საბერძნეთის ნაკრებში. კერძოდ, გუნდს გამოაკლდა ძირითადი ცენტრი **სოფოკლის შორცანიდისი**. ამის მიზეზი კალათბურთელის მეგობარი გოგონას ავადმყოფობაა.

შორცანიდისი არ აპირებდა საწვრთნელი შეკრების მიტოვებას. მან მხოლოდ ორდღიანი შვებულება ითხოვა შეყვარებულის მოსანახულებლად, მაგრამ უარი მიიღო. სწორედ ამის შემდეგ განაცხადა უარი თელ-ავივის „მაკაბის“ ცენტრმა ევროპის ჩემპიონატში გამოსვლაზე.

ახლა საბერძნეთის კალათბურთის ფედერაცია შორცანიდისისთვის საჯარიმო სანქციების დაწესებას აპირებს. მანამდე კი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ელიას ცუროსმა** სოფოკლისის ნაცვლად გუნდში მიიწვია ესპანეთის „ბილბაოს“ ცენტრი **დიმიტრის მავროიდისი**.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე საბერძნეთის ნაკრებს კიდევ ერთი წამყვანი ცენტრი **ლუკას მავროკეფალიდისი** გამოაკლდა.

● მძლეოსნობა

# ამერიკა ფავორიტებს კარგავს

ჯერემი უორინერი




მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის წინ სერიოზული დანაკლისი განიცადა ამერიკის ნაკრებმა - ამ გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა 400 მეტრზე მორბენალი **ჯერემი უორინერი**, რომელიც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ. უორინერმა ივლისში მარცხენა ტერფზე მყესი გაიწყვიტა და სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს სარბენ ბილიკზე გასვლას. უორინერის თქმით, ახლა ის მთლიანად ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადებაზე გადაერთვება.

უორინერს ზუსტი დიაგნოზი მხოლოდ ამ კვირას დაუსვეს. 27 წლის მორბენალმა აღიარა, რომ ეს მისთვის ძალიან სამწუხარო ინფორმაცია იყო, რადგან სერიოზულად ფიქრობდა 400 მეტრზე ტიტულის შენარჩუნებას.

ჯერემიმ 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ორი ოქრო მოიგო - გაიმარჯვა 400 და 4x400 მეტრზე ესტაფეტაში. 2008 წელს პეკინში მან გაიმეორა ესტაფეტაზე წარმატება, 400 მეტრზე კი მეორე დაიკავა - მასზე წინ აღმოჩნდა მეორე ამერიკელი **ლაშონ მერიტი**.

მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატი სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში 27 აგვისტოს დაიწყება და 4 სექტემბერს დასრულდება. ამერიკის ნაკრების შემადგენლობა 9 აგვისტოს გამოცხადდება. შეგახსენებთ, რომ ასევე ტრავმის გამო ტეგუში არ გაემგზავრება გუნდის საუკეთესო სპრინტერი **ტაისონ გაი**.

ასევე ცნობილი გახდა, რომ პლანეტის პირველობას გამოტოვებს ცნობილი სპრინტერი **ფრენსის ობიკველუ**. 100 მეტრზე ათენის თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ერთ-ერთი ბოლო ტურნირისას დაიზიანა ფეხი, რის გამოც ოქტომბრამდე ვერ შეძლებს ტურნირებში მონაწილეობის მიღებას.

● ცურვა

# ფელპსი საუკუნის გაცურვას გვპირდება

ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** აცხადებს, რომ გაისად ლონდონის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა ცნობილი ავსტრალიელი მოცურავის **იან ტორპის** გამოსვლა იქნება. თანამედროვე სპორტის ვარსკლავები 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ფელპსი კიდევ ერთ „საუკუნის გაცურვას“ წინასწარმეტყველებს.

ტორპი დიდ სპორტს ხუთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სამ დისციპლინაში დაგეგმა გამოსვლა: 200 მეტრი თავისუფალი სტილით, აგრეთვე 4x100 და 4x200 მეტრზე თავისუფალი ესტაფეტები.

2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე ფელპსმა, ტორპმა და ჰოლანდიელმა **პიტერ ვან დენ ჰუგენბანდმა** დაუვიწყარი გაცურვა აჩუქეს სპორტის მოყვარულებს. ის ფინალი სწორედ 200 მეტრზე შედგა.

*„თავისუფალი სტილით 200 მეტრი კარგი გასართობი გახდა გულშემატკივრებისთვის, რადგან აქ შესაძლებელია ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენების შეკრება. ძალიან მინდა კიდევ ერთხელ გავიდე სტარტზე ტორპის წინააღმდეგ. ამ გაცურვას მოუთმენლად ველოდები. მთელი კარიერის განმავლობაში მასთან ერთად მხოლოდ ორჯერ მომინია ცურვამ და არ ღირს ამ სიამოვნების დაკარგვა“*, - აცხადებს 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი.

ცოტა ხნის წინ, ფელპსმა 200 მეტრი შანხაიში მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაცურა, მაგრამ თავის თანამემამულესთან **რაიან ლოხტსთან** წააგო.

*„წელს ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. ვფიქრობ, ერთი წლის შემდეგ ლონდონში სპორტსმენები კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოვლენ“*, - აგრძელებს მაიკლი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი გამოსვლით ფელპსი მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი ოქროთი დაასრულა პირველობა.

*„საკუთარ თავს ყოველთვის უმაღლეს მიზნებს ვუსახავ. ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ ჩემი გამოსვლით. ეს ის არ არის, რასაც ვგეგმავდი. ასე რომ, ტემპს კიდევ უნდა მოვუმატო. ეს არის ოლიმპიადის წინ ჩემი მიზანი“*, - ასრულებს ინტერვიუს ლეგენდარული ამერიკელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




მაიკლ ფელპსი

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **III საკ. ეტაპი. II მატჩები** | |
| რუბინი-დინამო (კ) | 2:1 (2:0) |
| მალმიო-რეინჯერსი | 1:1 (1:0) |
| ვასლუი-ტვენტე | 0:0 (0:2) |
| პლზენი-რუსენბორგი | 3:2 (1:0) |
| სლოვანი-აპოელ | 0:2 (0:0) |
| ციურიხი-სტანდარდი | 1:0 (1:1) |
| ვისლა-ლიტექსი | 3:1 (2:1) |
| დინამო (ზ)-ჰიკ | 1:0 (2:1) |
| მარიბორი-მაკაბი (ჰ) | 1:1 (1:2) |
| პარტიზანი-გენკი | 1:1 (1:2) |
| ტრაბზონი-ბენფიკა | 1:1 (0:2) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ივატა-ინდეპენდიენტე | 2:2 პენ. 4:2 |
| გუანგჟოუ-რეალი | 1:7 |
| სუონსი-სელტიკი | 2:0 |
| ნორვიჩი-სარაგოსა | 1:1 |
| დერბი-ასტონ ვილა | 2:0 |
| მურსია-ალმერია | 2:2 |
| სალამანკა-სპორტინგი | 0:4 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოფენბახი-ზანდჰაუზენი | 2:0 |
| უნტერჰახინგი-ჰაიდენჰაიმი | 1:1 |
| ვერდერი A-რეგენსბურგი | 1:4 |
| **ნორვეგია** | |
| ჰაუგესუნდი-სიოგნდალი | 4:0 |
| ლილესტრიომი-ტრომსიო | 3:2 |
| ბრანი-ვიკინგი | 3:2 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ასკერი-ლოვ ჰამი | 5:3 |
| ბრინი-რანჰაიმი | 3:1 |
| ჰამ კამი-ბოდო გლიმტი | 2:2 |
| კონგსვინგერი-ალტა | 1:1 |
| მიონდალენი-ჰიოდი | 3:1 |
| სანდნესი-ნილი | 1:0 |
| სტრომენი-რანდაბერგი | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| ლოზანა-ლუცერნი | 0:1 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-ჰაფნარი | 0:1 |
| ფილკირი-ვესტმანაიეარი | 1:3 |
| ტორი-ფრამი | 3:0 |
| ვალური-გრინდავიკი | 1:1 |
| ვიკინგური-სტიარნანი | 1:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კიტცბუელი** | |
| ჩელა-ხიმენო ტრავერო | 6:4, 3:6, 6:3 |
| სეპი-რიბა | 7:5, 6:4 |
| ფონინი-**ხირალდო** | 3:6, 4:6 |
| **WTA. კარლსბადი** | |
| **დუშევინა**-ჰერცოგი | 4:6, 6:1, 6:4 |
| არვიდსონი-**ბრიანტი** | 6:0, 6:7, 6:7 |
| ერაკოვიჩი-**რაზანო** | 1:6, 3:6 |
| გორჯესი-**სტივენსი** | 3:6, 5:7 |
| **პენგი**-როდიონოვა | 6:1, 6:3 |
| ვინჩი-**ჟენგი** | 4:6, 2:6 |
| **ჰანტუხოვა**-სტრიკოვა | 6:1, 6:3 |
| კუდრიავცევა-**მაკჰეილი** | 2:6, 1:6 |

● TV პროგრამა

**4 აგვისტო. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** რეალის აზიური ტურნე. ამხანაგური მატჩი. გუანჯოუ-რეალი.
**12:00** გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. ზანდჰაუზენი-დორტმუნდი.
**14:00** გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. მიმოხილვა.
**16:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**14:30** სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე.
**16:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-გრემიო.
**18:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი.
**20:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. 2010-11. პსჟ-ლილი.
**22:30** გერმანიის თასი. 1/32 ფინალი. მიმოხილვა.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. 2010-11. ბაიერნი-დორტმუნდი.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. აუდის თასი. ფინალი. ბაიერნი-ბარსელონა. მიუნხენი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ატლანტა-ორლანდო.
**13:45** K1. ბრძოლა წესების გარეშე.
**16:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. ლონდონი. ინგლისი.
**19:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. მარია შარაპოვა-პეტრა კვიტოვა. ლონდონი. ინგლისი.
**20:45** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-შოტლანდია.
**22:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ატლანტა-ორლანდო.
**23:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).

**I არხი**

**21:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. დინამო-რეიკიავიკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**05:00** ცურვა. აშშ-ის ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**00:00** ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**11:55** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. მე-3 ადგილისთვის. ჩინეთი (LIVE).
**15:25** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. ფინალი. ჩინეთი (LIVE).
**04:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-სან ანტონიო (LIVE).

**EUROSPORT**

**16:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**17:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**19:30** ველოსპორტი (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ინგლისი. კოლუმბია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**18:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**19:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. შესარჩევი ეტაპი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-ავსტრია. კოლუმბია (LIVE).

● ამბები

**ჩოგბურთი**

## ნახევარფინალი კორდობაში

ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ დევისის თასის ნახევარფინალის ჩატარების ადგილად ქალაქი კორდობა აირჩია. ამ ანდალუსიურ ქალაქში მატჩი 16-18 სექტემბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში ესპანელებმა სტუმრად ამერიკა დაამარცხეს, საფრანგეთმა კი გერმანიას აჯობა. მეორე ნახევარფინალური წყვილი სერბეთმა და არგენტინამ შეადგინეს.

**ველოსპორტი**

## კონტადორი არდადეგებზე

თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო ველომრბოლმა, დანიური „საქსო-ბანკის“ ლიდერმა **ალბერტო კონტადორმა** წლევანდელი ტურ დე ფრანსის წაგების შემდეგ გამოაცხადა, რომ არ აპირებს რიგით მესამე პრესტიჟულ ველომარათონზე - ვუელტაზე გამოსვლას. ტურის სამგზის ჩემპიონმა მიზეზად დაღლილობა დაასახელა.

*„ტურ დე ფრანსის შემდეგ ასე დაღლილი არასოდეს ვყოფილვარ, თანაც არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც. ჩვენი საჯინიბოს ბოსთან ბიარნე რიისთან სამომავლო გეგმებზე უნდა დავილაპარაკო, თუმცა უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რომ დასვენების დრო მოვიდა“*, - განაცხადა ალბერტო კონტადორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


მომავალი ეტაპის ხედი

# რბოლა მანჰეტენის ფონზე

ნიუ ჯერსის შტატის ქალაქების - უიჰოკენისა და დასავლეთ ნიუ იორკის მერები მოლაპარაკებას იწყებენ პოტენციურ ინვესტორებთან. მათი მიზანია 2013 წელს ნიუ იორკში ფორმულა 1-ის გრანპრის ჩატარება, - წერს გამოცემა The Jersey Journal.

**რიჩარდ ტერნერმა** და **ფელიქს როუგმა** უკვე გამართეს რამდენიმე საქმიანი შეხვედრა, სადაც ლაპარაკი იყო აღმოსავლეთი ბულვარისა და რივერროუდის ქუჩების რაიონში საქალაქო ტრასის მშენებლობის შესახებ. ამ რაიონის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა ლამაზი ხედი მანჰეტენზე, რომელიც ჰუძონის მოპირდაპირე ნაპირიდან იშლება.

უიჰოკენის მერის ტერნერის თქმით, თუ ისინი შეძლებენ მოლაპარაკებების შედეგიანად დასრულებას და პროექტი წარმატებული გამოვა, ორივე ქალაქს პერსპექტივაში მრავალმილიონიანი შემოსავლის იმედი ექნება. თუმცა ჯერ მოლაპარაკებები საწყის სტადიაშია.

*„უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ეს ყველაფერი მოეწონება ჩვენი ქალაქის მოსახლეობას“*, - თქვა ტერნერმა.

მერების მიერ გავრცელებულ პრესრელიზში წერია, რომ გრანპრის შეუძლია შექმნას ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების შესანიშნავი პერსპექტივა: *„ეკონომიკური გაურკვევლობის პერიოდში, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი შემოსავალი, ფორმულა 1-ის საკუთარი ეტაპი დადებით იმპულსს წარმოქმნის, რომელსაც აუცილებლად იგრძნობს ჩვენი მოსახლეობა. ინვესტორებმა უკვე მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩვენი ქალაქები ყოველწლიურად მნიშვნელოვან ფინანსურ კომპენსაციებს მიიღებენ“*.

ახალი პროექტი ემთხვევა ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნისა** და გუნდების წარმომადგენელთა სურვილს - რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს „სამეფო რბოლების“ წარმომადგენლობა ჩრდილოეთ ამერიკაში. 2012 წლის კალენდარში შესულია აშშ-ის გრანპრი, რომელიც ტეხასის ახალი ავტოდრომზე გაიმართება და ქუჩის რბოლა მანჰეტენის ფონზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა ოკეანის გაღმა არც თუ ისე პოპულარული სარბოლო სერიისთვის.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, დაისმის კითხვა: თუ უახლოეს წლებში კალენდარს კიდევ ერთი ამერიკული რბოლა დაემატა, დღეს მოქმედ რომელ ეტაპს გაიღებენ მსხვერპლად? თურქული რბოლა უკვე ამოიღეს კალენდრიდან. რომელია შემდეგი?

# ბრიატორე ფერარიში მიდის?

## მერსედესმა მშველელად სკუდერიას ყოფილი ინჟინერი მიიწვია

ფრანგული საჯინიბო „რენოს“ ყოფილმა ბოსმა **ფლავიო ბრიატორემ** თავისი სიყვარული გამოხატა ლეგენდარული იტალიური საჯინიბოს - „ფერარის“ მიმართ. „გაძეტა დელო სპორტის“ მონაცემებით, ბრიატორე უახლოეს ხანში, შესაძლოა, „სკუდერიას“ კონსულტანტის თანამდებობაზე დაინიშნოს. თავად ფლავიომ არ დაადასტურა ეს ინფორმაცია, თუმცა არც გამორიცხა მოვლენათა ამგვარი განვითარება.

*„შეგიძლიათ, „ფერარის“ ნამდვილი ტიფოზი მიწოდოთ. წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია - ყველაფერი შეიძლება მოხდეს“*, - განაცხადა ბრიატორემ, რომელიც დიდი ხნით იყო დისკვალიფიცირებული ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ და არ შეეძლო ავტოსპორტში მოღვაწეობა.

გარდა ამისა, ფლავიო ბრიატორეს მიაჩნია, რომ „ფერარის“ პილოტს **ფერნანდო ალონსოს** შეუძლია ფორმულა 1-ის ისტორიაში საუკეთესო პილოტი გახდეს. დღეისთვის ესპანელი ავტომრბოლი მეოთხე ადგილს იკავებს საერთო ჩათვლაში და ლიდერ **სებასტიან ფეტელს** 89 ქულით ჩამორჩება.

*„ალონსო იმსახურებს ფორმულა 1-ის ისტორიაში საუკეთესო პილოტის სტატუსს*, - ამბობს ბრიატორე. - *ფერნანდომ კარიერის ბოლომდე „ფერარიში“ დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო და იმედია, ამ გუნდის მანქანით უფრო მეტ ტიტულს მოიგებს, ვიდრე შუმახერი. მას დღეს „რედ ბულის“ მსგავსი სწრაფი ბოლიდი რომ ჰყოლოდა, რბოლებს დიდი უპირატესობით მოიგებდა. ის დიადი პილოტების - ალენ პროსტის, აირტონ სენასა და მიხაელ შუმახერის გვერდით დგას“*.


ფლავიო ბრიატორე

შეგახსენებთ, რომ ფერნანდო ალონსო ბრიატორეს ხელმძღვანელობით ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი - 2005 და 2006 წლებში.

■ ■ ■

იტალიური ჟურნალის „ავტოსპრინტის“ ცნობით, „მერსედეს გრანპრი“ სათანამშრომლოდ იწვევს „ფერარის“ ყოფილ ტექნიკურ დირექტორს **ალდო კოსტას**.

რამდენიმე თვის წინ „სკუდერიაში“ ამ გამოცდილი სპეციალისტის განთავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს. ნაწილობრივ ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „ფერარიმ“ ახალი სეზონი იმაზე გაცილებით ცუდად დაიწყო, ვიდრე ამას ჩემპიონატის წინ გეგმავდა.

ამ მომენტისთვის ალდო კოსტა „აკადემიურ შვებულებაში“ იმყოფება, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე სხვა გუნდში გადასვლის უფლება არ აქვს. თუმცა იტალიურ პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ კოსტას სამსახურით „მერსედესის“ შეფი **როს ბრაუნია** დაინტერესებული, რომელიც ამ სპეციალისტს „ფერარიში“ ერთობლივი თანამშრომლობიდან იცნობს.

როგორც „ავტოსპრინტი“ წერს, ბრაუნმა კონცერნ „დაიმლერის“ შეფთან **დიტერ ცეტშესთან** საუბრისას „მერსედეს გრანპრის“ პრობლემები ტექნიკური პერსონალის არასაკმარისი რაოდენობით ახსნა და შტატების გაზრდის უფლება მიიღო. ამასთან, ლაპარაკია გერმანულ გუნდში საუკეთესო საჯინიბოებიდან - „რედ ბულიდან“, „მაკლარენიდან“ და „ფერარიდან“ გამოცდილი პროფესიონალების მიწვევაზე.

# თურქეთი არ ნებდება

თურქეთის გრანპრი შეტანილი იყო 2012 წლის ჩემპიონატის კალენდრის წინასწარ ვერსიაში, მაგრამ გასულ კვირას გახდა ცნობილი, რომ საგაისო განრიგის კორექტირებულ ვარიანტში ისტანბულ-პარკის რბოლას ვერ ვხედავთ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ **ბერნი ექლსტოუნი** მზად იყო მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის, როცა ორჯერ გაზარდა რბოლის ჩატარებისთვის გადასახადი - 2012 წლიდან ეს თანხა 13-დან 26 მილიონამდე გაიზარდა.

თუმცა გუშინ, თურქეთის საავტომობილო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **მუმთაზ თაჰინჯიოგლუმ** განაცხადა, რომ რამდენიმე საქმიანი შეხვედრა გამართა და ქვეყნის გრანპრის კალენდარში დაბრუნების იმედი აქვს.

*„ჩვენ ვცდილობთ თურქეთში ფორმულა 1-ის ეტაპის შენარჩუნებას და მთავრობაში მზად არიან ყველაფერი გააკეთონ ამ მიზნის შესასრულებლად*, - ამბობს პრეზიდენტი. - *ექლსტოუნს თურქეთში მოვიწვევთ და მასთან მოლაპარაკებებს გავმართავთ“*.

■ ■ ■

„მაკლარენის“ პილოტი **ლუის ჰემილტონი** ბელგიის გრანპრის (28 აგვისტო) წინ კარგად დასვენებას აპირებს. მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონისთვის უნგრეთის ეტაპი არც ისე წარმატებული გამოდგა - ლუისის მანქანას კარგი ტემპი ჰქონდა, მაგრამ ბრიტანელი პილოტი მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა.

*„იმედგაცრუებული ვარ იმით, რომ მე და ჯენსონმა დუბლის შესრულება ვერ შევძელით. ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ბრალია. არ მინდა იმ რბოლის გახსენება. ახლა ერთთვიანი არდადეგების დრო დადგა და კარგად დასვენებასა და გართობას ვაპირებ.*

*გუნდმა კარგად იმუშავა იმისთვის, რომ სეზონის შუაში მე და ბატონი მსოფლიოს ჩემპიონატის საერთო ჩათვლის ზედა ნაწილში ვყოფილიყავით.*

*ძალიან სამწუხაროა, რომ უფრო მეტი ქულის დაგროვება ვერ შევძელი, მაგრამ ვფიქრობ, მომავალი რბოლისთვის ნორმაში ჩავდგები“*, - ამბობს ჰემილტონი.


ლუის ჰემილტონი

ჩოგბურთი

# ნადალი ტვიტერშია

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** Facebook-ის სოციალურ ქსელში გამოჩენის შემდეგ Twitter-ში გადაწყვიტა საკუთარი გვერდის გახსნა. გუშინ ესპანელმა ჩოგბურთელმა მშობლიურ და ინგლისურ ენებზე პირველი ჩანაწერი დატოვა თავის მიკრობლოგში:

*„ყველას მივესალმები! ახლა მე ჩემი გვერდი მაქვს Twitter-ში! სასიამოვნოდ აღელვებული ვარ იმ ფაქტით, რომ აქედანაც ვიგრძნობ თქვენს მხარდაჭერას. უახლოეს დროში ჩემზე უფრო მეტს შეიტყობთ. რაფა“*.

ნადალის მეგობარი და კოლეგა, არგენტინელი **ხუან მონაკო** უკვე მიესალმა ამ ფაქტს თავის მიკრობლოგში და ამის შესახებ თავის ნაცნობებს შეატყობინა.

*„დღეს Twitter აფეთქდება! ჩვენთან რაფა მოვიდა! ისიამოვნეთ“*, - ასე გადმოსცა თავისი ემოციები არგენტინელმა.


რაფა ნადალი

ჩოგბურთი

# რასისტი ფოსტალიონი უსარგებლო შოტლანდიელის წინააღმდეგ

ინგლისელი ფოსტალიონი **დარენ სუეინი** დააჯარიმეს და საზოგადოებისთვის სასარგებლო იძულებითი სამუშაოები დაუწესეს ბრიტანელი ჩოგბურთელის **ენდი მიურეის** მისამართით რასისტული გამოხდომების გამო.

ვებგვერდი Fox Sports წერს, რომ ფოსტალიონმა ქალაქ ქოვენთრიში ერთ-ერთი საფოსტო განყოფილების კედელი დაახლოებით 12 ნახატით ააჭრელა. მათ ერთი შინაარსი ჰქონდათ: ფოსტალიონმა ყველას შეახსენა, რომ ენდი ჯერაც ვერ ახერხებს „დიდი სლემის“ ტურნირის მოგებას. ერთ ნახატზე ეწერა: „უსარგებლო შოტლანდიელი“ (useless Jock. Jock - ეს არის შოტლანდიელის შეურაცხმყოფელი სლენგი).

პოლიციელებმა ფარული კამერების მეშვეობით ამოიცნეს სუეინი და თან გამოძიებაში კალიგრაფიის ექსპერტები ჩართეს. ფოსტალიონი დამნაშავედ სცნეს რასობრივ დისკრიმინაციაში. ამის გამო ის დაახლოებით ხუთი ათას დოლარს გადაიხდის, აგრეთვე ქალაქის სასამართლოში ანაზღაურების გარეშე 200 საათს იმუშავებს.

*„ეს ნაღვლიანი ისტორიაა. სუეინს აქამდე კარგი დახასიათება და ბრწყინვალე რეპუტაცია ჰქონდა“*, - განაცხადა ფოსტალიონის ადვოკატმა **ანდრის სკუდრამ**.

45 წლის დარენ სუეინის საქციელის მიზეზებზე ბრიტანულ პრესაში არაფერი დაუწერიათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**